# სარბიელი

სპორტული გაზეთი — ოთხშაბათი 9 აგვისტო 2000 №151 (1173) — ფასი 50 თეთრი



„ბეითარის“ ვარსკვლავი ჯოვანი როსო (№7) და მწვრთნელის თანაშემწე ფელიქს ნაიმი

# ელი გუტმანი კარგი კაცია

## ყველაფერზე ამბობს: გუდ!

### ვიტ ჯორჯიას დამარცხებამდე ბეითარის მწვრთნელს შოთა არველაძე სურდა

გუშინ ნაშუადღევს საქართველოს პირველად ეწვია ებრაული საფეხბურთო კლუბი უეფას თასის პირველ საკვალიფიკაციო ეტაპზე თბილისის „ვიტ ჯორჯიასთან“ სათამაშოდ.

„ბეითარის“ ერთ-ერთი მწვრთნელი, ელი გუტმანის თანაშემწე ფელიქს ნაიმი კი უკვე ხუთი დღეა, თბილისშია. როგორც ყველა უცხოელს, ნაიმსაც ბევრი ვინმე და რამე აკვირვებს ჩვენში, თუმც ცდილობს, არაფერს მიაქციოს ზედმეტი ყურადღება. მისი მიზანი და დავალება ერთია, რაც შეიძლება მეტი ინფორმაცია შეაგროვოს „ვიტ ჯორჯიაზე“.

ნაიმი ვეტერინარებს გერმანიაშიც არ მოსცილებია, თითქმის ყველა იქაურ მატჩს დაესწრო, მაგრამ მაინც ვერ ისვენებს. ერთთავად იმას გაიძახის, კარგი გუნდი გყავთო.

ორიოდ დღის წინ ინტერვიუ ვთხოვეთ. უარი არ უთქვამს, მაგრამ უმჯობესი იქნება, თავად მთავარ მწვრთნელს დაელაპარაკოთო. გუტმანთან ინტერვიუს მოკვარახჭინებაც ითავა, თან დასძინა, შარშან ჰაიფას „ჰაპოელიში“ მუშაო: ისას სტამბოლში თურქულ „ბეშიქთაშს“ რომ ვხდებოდით, ასევე ადრე მომინია ჩასვლა. აეროპორტშივე შვიდი ტელეკომპანიისა და რამდენიმე გაზეთის წარმომადგენელი დამხვდა. არ ვიცოდი, რა მექნა. აქ კი მშვიდად ვარ, თქვენს გარდა არავინ მომკარებიაო.

ნაიმმა პირობა შეასრულა. თბილისში ერთი საათის ჩამოსული „ბეითარის“ მთავარი მწვრთნელი ელი გუტმანი „სარბიელთან“ სასაუბროდ სავარძელში მოხერხებულად მოკალათდა. წყნარი და თავაზიანი კაცი ჩანს გუტმანი, მოკრძალებით საუბრობს, ქებას არ იშურებს და ხშირად იმეორებს: „გუდ, გუდ!“

— მგზავრობამ ხომ არ დაგღალათ?

— თითქმის ექვსი საათი თვითმფრინავში გავატარეთ. სამშობლოდან ბულგარეთში, ქალაქ ვარნას აეროპორტში ჩავფრინდით და მერე ვეწვიეთ თბილისს. ცოტა დაღლილები კი ვართ.

— როგორია პირველი შთაბეჭდილებები?

— ურიგო ნამდვილად არ ეთქმის. თავს კომფორტულად ვგრძნობთ. კარგი იქნება, თუ ასე გაგრძელდება.

— თქვენ და თქვენმა თანაშემწემ „ვიტ ჯორჯიაზე“ საკმაო ინფორმაცია შეაგროვეთ. პირადად კი გერმანიაში ჩვენებურთა ერთ საკონტროლო შეხვედრასაც დაესწარით. რას იტყოდით თქვენს ხვალინდელ მეტოქეზე?

— მართალი ბრძანდებით, ინფორმაციის სიმწირეს არ ვუჩივით. „ვიტ ჯორჯია“ თანამედროვე ფეხბურთს თამაშობს. ვეტერინარებს რამდენიმე მაღალი დონის შემსრულებელი ყავთ, ყიფიანი, მელქაძე, ქორიძე... სხვებიც კარგად გამოიყურებიან. ძნელი ბრძოლაა მოსალოდნელი.

იხილეთ მეორე გვერდი

# ჯანაშია უგოლოდ და ალბათ ულიგოდ დაგვირჩა

**ჩემპიონთა ლიგა. მესამე საკვალიფიკაციო ეტაპი**
პირველი მატჩები. 8 აგვისტო

ზიმბრუ (მოლდოვა) 0:1 სპარტა (ჩეხეთი)
0:1 ობაიდინი (61)

ბრონდბიუ (დანია) 0:2 ჰამბურგი (გერმანია)
0:2 ბარბარესი (83), 0:2 მაჰდავიკია (85)

შტურმი (ავსტრია) 2:1 ფეიენოორდი (ჰოლანდია)
0:1 კორნეევი (7), 1:1, 2:1 შოპი (22 პ, 90 პ)
გაძევება: ხულიო კრუზი (90) (ფეიენოორდი)

ბეშიქთაში (თურქეთი) 3:0 ლოკომოტივი (რუსეთი)
1:0 ნიჰათი (10), 2:0 ნუმა (80), 3:0 კარჰანი (90)

**უეფას თასი. პირველი საკვალიფიკაციო ეტაპი**
პირველი მატჩები. 8 აგვისტო

ქიაფაზი (აზერბაიჯანი) 0:2 ანთალია (თურქეთი)
0:1 ხინალი (37), 0:2 ანიელოვიჩი (52)
გაძევება: მაგომედოვი (18) (ქიაფაზი)

აკრანესი (ისლანდია) 0:3 გენტი (ბელგია)
0:1 სხეპენსი (32), 0:2 პედერსენი (78), 0:3 ოლკესე (90)

**ინტერტოტოს თასი. ფინალი**
პირველი მატჩები. 8 აგვისტო

ოსერი (საფრანგეთი) 0:2 შტუტგარტი (გერმანია)
0:1 ტიამი (18), 0:2 ბალაკოვი (70 პ)

სიგმა (ჩეხეთი) 2:2 უდინეზე (იტალია)
1:0 მუხა (12), 2:0 კობარი (24 პ), 2:1 ვალენი (42), 2:2 სოსა (65)
გაძევება: ბერტოტო (23) (უდინეზე)

სელტა (ესპანეთი) 2:1 ზენიტი (რუსეთი)
0:1 იგონინი (2), 1:1 კარპინი (22), 2:1 ხუანფრანი (90)
გაძევება: გუსტავო ლოპესი (74) (სელტა)


ბეშიქთაში — ლოკომოტივი 3:0. რუსლან ნიგმატულინს და „ლოკომოტივს“ პირველმა ნიჰათ კაჰმეჯმა (მარჯვნივ) გაუტანა

ეროვნული ბიბლიოთეკა



„ბეითარის" მთავარი მწვრთნელი ელი გუტმანი

# გუტმანი კარგი კაცია

## ყველაფერზე ამბობს: გუდ!

დასაწყისი პირველ გვერდზე

**— თქვენი სიტყვები გვაფიქრებინებს, რომ თბილისში იოლ გასეირნებას არ ელით.**

— პირიქით. ძნელი და დაძაბული თამაში იქნება. ახლა ევროპაში სადღა ნახავთ სუსტ მეტოქეს.

**— თბილისში უძლიერესი შემადგენლობით გვეწვიეთ. უეფას განაცხადშიც 23 მოთამაშე გყავთ. „ბეითარი" საბოლოოდ დაკომპლექტეთ, თუ კიდევ ვინმეს შეიმატებთ?**

— ვინც მე მსურდა, ყველა გადმოვიბირე. კლუბის ხელმძღვანელებმაც, მხოლოდ მათი იმედი უნდა გქონდესო. მგონი, ამჟამინდელი კონტინგენტი ოპტიმალურია.

**— როგორ ფიქრობთ, რას მიაღწევს „ბეითარი" ევროსარბიელზე და ისრაელის ჩემპიონატში?**

— ახლა ძნელია ამაზე საუბარი. ფაქტობრივად ახალშეკრებილი გუნდია, ახალი ფეხბურთელებით. მართალია, წინასასეზონო სამზადისი შვეიცარიაში გავიარეთ, მაგრამ ჯერაც ბევრი რამეა დასახვეწი. ვნახოთ, რა და როგორ იქნება.

**— „ბეითარმა" რუსი კეჩინოვი გუნდში არ მიიღო...**

— კეჩინოვი ძალიან კარგი ფეხბურთელია, მაგრამ ჩვენთან ტრავმირებული ჩამოვიდა. მუხლი სერიოზულად აწუხებდა. სანამ ის განიკურნებოდა და ფორმაში ჩადგებოდა, მანამ... ამიტომ თავი შევიკავეთ და კეჩინოვიც უკან გაბრუნდა.

**— „ბეითარი" „ვიტ ჯორჯიას" თამაშის ერთი დღით გადადებას, უარეს შემთხვევაში ორი საათით გვიან დაწყებას სთხოვდა. საერთო ენა ვერ გამონახეთ და ეს საქმე საბოლოოდ როგორ მოგვარდა?**

— იყო პრობლემა, მაგრამ დიდიც არაფერი, სალაპარაკოდაც არ ღირს. როცა სათამაშოდ გავალთ, ბოლომდე ვიბრძოლებთ. მინდორზე ეს უმნიშვნელო პრობლემა აღარავის ემახსოვრება.

**— მას შემდეგ, რაც „ბეითარის" თავკაცი გახდით, პირველად მილიონ დოლარად ჯოვანი როსო შეიძინეთ. მერე 450 ათას დოლარად იუგოსლავიური „პარტიზანიდან" ცენტრალური მცველი მილან სტოიანოვსკი იყიდეთ, რომელსაც ასევე პარტიზანელი ბრანკო სავიჩიც მიაყოლეთ. ეტყობა, „ბეითარს" დაცვასა და შეტევაში უჭირდა...**

— „ბეითარის" თავდასხმას წუნი არც ჩემს მისვლამდე დაედებოდა, მაგრამ ჯოვანი როსომ შეტევა კიდევ უფრო გააძლიერა. დაცვაში კი მართლაც იყო პრობლემები, თუმც სტოიანოვსკიმ და სავიჩმა გუნდის უკანა ხაზი გააძლიერეს და ახლა დაცვა სოლიდურად გამოიყურება.

**— ვიცით, რომ „ბეითარის" კაპიტანი იოსი აბუკსისი ტრავმირებულია, მაგრამ თქვენ თბილისში მაინც იახლეთ. იგი ხვალ ითამაშებს?**

— ამას უშუალოდ თამაშის წინ გადავწყვეტ. ზუსტად მაშინ მეცოდინება, შევიყვან თუ არა მას სამატჩო განაცხადში. მისი გამოჯანმრთელების პროცესი სწრაფად მიმდინარეობს, მაგრამ ბოლომდე განკურნებული ჯერაც არ არის.

**— რა ტაქტიკით აპირებთ თამაშს?**

— ეს მთლიანად მეტოქეზეა დამოკიდებული. გერმანიაში „ვიტ ჯორჯიამ" მატჩების უმრავლესობა სამი მცველით ხუთი ნახევარმცველითა და ორი თავდამსხმელით ჩაატარა. რა იქნება ხვალ, არ ვიცი, თუმც თამაშის საწყის წუთებში ალბათ ყველაფერი გაირკვევა.

**— ზოგადად ქართულ ფეხბურთზე როგორი აზრის ბრძანდებით?**

— თქვენ გყავთ რამდენიმე ძალიან კარგი ფეხბურთელი. შოთა არველაძე, ქინქლაძე... ისრაელშიც რამდენიმე ჩინებული ლეგიონერია.

ისრაელისა და საქართველოს ეროვნული გუნდების დაპირისპირებაც ვნახე და შემიძლია ეს გითხრათ: თქვენმა ნაკრებმა ერთ-ერთი საუკეთესო მატჩი ითამაშა — კარგი სანახავი იყო.

*გუტმანთან ამით მოვრჩით, შოთას თაობაზე კი ფელიქს ნაიმი გამოგვიტყდა, ჰაიფას „ჰაპოელში" მუშაობისას არველაძის გადაბირება გვსურდა, მაგრამ ვერ მოვახერხეთო...*

**მამუკა კვანტალიანი**
**ვახტანგ ბჟიძაძე**

# თბილისი აფრიკაა

## და დღე იყო ღამე...

— ექვსი საათი ვიმგზავრეთ. ფეხბურთელები ძალიან დაღლილები არიან და კარგი იქნება, თუ დიდხანს არ შეაყოვნებთ. ხვალინდელი ვარჯიშის შემდეგ კი რამდენიც გსურთ, ესაუბრეთ — გვითხრა იერუსალიმის „ბეითარის" მწვრთნელის თანაშემწე ფელიქს ნაიმმა, სიგარეტს მომიკიდეთო, გვთხოვა და მწვრთნელის მითითებით ფეხბურთელებს ავტობუსისკენ მიანიშნა — მცხეთაში სავარჯიშოდ მიდიოდნენ. „ბეითარის" ლიდერი, ხორვატი ჯოვანი როსო და უკრაინელი, საბჭოეთის დროს ოდესის „ჩერნომორეცშიც" ნათამაშევი სერგეი ტრეტიაკი კი თითქოს გამოლაპარაკებას ელიანო, რატომღაც შეყოვნდნენ და ჯგუფს ჩამორჩნენ. ჩვენც ვისარგებლეთ და ავტობუსისკენ გზად მათ ერთი-ორი კითხვით მივმართეთ:

### ჯოვანი როსო

— „ვიტ ჯორჯიაზე" საერთოდ არაფერი ვიცი. ქართველებიდან მხოლოდ გახოკიძე გამიგია, ის ჰოლანდიაში, პსვ-ში თამაშობდა. ხომ ქართველია? ხომ არ მეშლება?

— *არ გეშლებათ.*

— მეტი არავის ვიცნობ, და წარმოდგენა არ მაქვს, აქედან გამომდინარე, პროგნოზსაც ვერ გავაკეთებ, აბა, რა გითხრათ, უცნობ გუნდს დავამარცხებთ-მეთქი? ყველაფერს გავაკეთებთ მოსაგებად, დანარჩენი მეტოქეზეა. ისე, თბილისში ძალიან ცხელა, სუნთქვაც კი მიჭირს, 8 საათისთვის ალბათ ცოტა აგრილდება.

— *აქ იერუსალიმზე მეტად ცხელა?*

— კი, თანაც საკმაოდ. ჩვენ „ვიტ ჯორჯიასთან" მატჩისთვის შვეიცარიაში ვემზადებოდით და იქაურ ტემპერატურასთან შედარებით თბილისში ნამდვილი აფრიკაა.

### სერგეი ტრეტიაკი

ხვალ ალბათ არ ითამაშებს. ის ძირითად შემადგენლობაში იშვიათად ხვდება, კაი სტაჟიანი სათადარიგოა.

— მწვრთნელმა თბილისში გამომგზავრების წინ კრებაზე გვითხრა: „ვიტ ჯორჯიასთან" ხუმრობა არ შეიძლება, საკმაოდ აწყობილ-დალაგებული გუნდია და ფრთხილად უნდა ვიყოთო. მეც კარგად ვიცი, რომ ქართულ გუნდებს ბევრის გამწარება შეუძლიათ, მით უმეტეს, თუ მეტოქე ვერცხლის პრიზიორია. ისიც ვიცი, რომ „ვიტ ჯორჯია" ძალიან ახალგაზრდა ფეხბურთელებითაა დაკომპლექტებული და, როგორც ყველა ქართველს, ტექნიკა არც მათ დააწუნებათ. ტექნიკურ გუნდთან კი, რად უნდა თქმა, ყველას უჭირს. თამაში „დინამოს" სტადიონზე იქნება?

— *დიახ.*

— ბევრი ხალხი მოვა?

— *ძნელი სათქმელია.*

— საქართველოში კარგად ქომაგობენ...

ტრეტიაკს ნაიმმა მხარზე ხელი დაჰკრა, აჩქარდიო, ალბათ უთხრა, ისიც დაემორჩილა და დანარჩენებს შეუერთდა.

ნაიმმა თვალი ჩაგვიკრა, ხვალეო, მოგვაძახა.

### დავიდ ამსალემი

ვიდრე ებრაელთა ხორვატსა და უკრაინელს გავესაუბრებოდით, „შერატონში" „ბეითართან" ერთად ჩამოსული ნაცნობი კოლეგა დავიდ ბენშემონის დახმარებით გუნდის მცველ და მის სეხნია ამსალემს ვთხოვეთ, ორიოდ სიტყვა „ვიტ ჯორჯიასთან" მატჩამდე:

— რთული მეტოქე რომ გვყავს, ამაში ალბათ თქვენც დამეთანხმებით. კარგი ფეხბურთელები თამაშობენ ამ გუნდში. თბილისში ჩვენთვის ერთი გოლის გატანა მაინც აუცილებელია. იერუსალიმში კი არა მგონია, მოგება გაგვიჭირდეს. დარწმუნებული ვარ, ჩვენი 21 000-იანი სტადიონი პირთამდე გაივსება და „ვიტ ჯორჯიას" საქმე გაურთულდება. ქართველებს მშვენივრად ვიცნობ, ევროპის ძლიერ კლუბებში ისინი საკმაოდ კარგად თამაშობენ, ჩვენს ქვეყანაში კი დარასელია და ტყებუჩავა არიან.

— *ტყებუჩავა „დინამოს" მწვრთნელის თანაშემწეა.*

— „დინამოს"? ისრაელში თამაშობდა და...

ამსალემს აღარ გაუგრძელებია. ის სასადილოდ მიიპატიჟეს, ჩვენ კი კოლეგასთან ერთად დავრჩით და ახლა მოკლედ იმასაც გეტყვით, რაც ბენშემონმა გვითხრა:

— „ვიტ ჯორჯიას" დამარცხებისთვის ჯოვანი როსოს კლუბის ხელმძღვანელობა 15 ათას დოლარს ჰპირდება, დანარჩენებს — 12, 10, 8 ათასს. „ბეითარის" ყველაზე მაღალანაზღაურებადი ფეხბურთელიც როსოა. მას, თუ გუნდი ისრაელის ჩემპიონი გახდება და თასსაც მოიპოვებს, 500 ათას დოლარს მისცემენ, თუ არადა — 350 ათასს. საერთოდ „ბეითარს" ფინანსურად ისრაელში ვერავინ გაუტოლდება. მათი წლიური ბიუჯეტი რომ 50 მილიონი შეკელია, სხვების 10-20 მილიონით ნაკლებია.

„ვიტ ჯორჯიასთან" გუნდის კაპიტანი აბუქსისი ალბათ ვერ ითამაშებს, მაგრამ გუტმანმა თბილისში მაინც წამოიყვანა, ყოველ შემთხვევისთვის.



სერგეი ტრეტიაკი

„ბეითარი" თბილისში მატჩისთვის საკმაოდ სერიოზულად ემზადებოდა, მწვთრნელს მეტოქეზე რამდენჯერ ვკითხე, იმდენჯერ მიპასუხა, კარგი გუნდია, ძალიან ვნერვიულობო. მართლაც სანერვიულოდ აქვს გუტმანს საქმე. კლუბის მეპატრონე ულტრამილიონერ გად ზეევს ბევრი ფული დაახარჯინა და უეფას თასის გათამაშებას „ბეითარი" პირველივე ეტაპზე რომ გამოეთიშოს, ხომ ხვდებით, რაც მოელის?

ერთი სიტყვით, არ ვიცი. მეც დარწმუნებული ვარ, „ბეითარს" წინ ურთულესი მატჩი აქვს.

ერთიცაა, ივრითული კალენდრით 9 აგვისტოს იუდეველთა ტაძრის დანგრევის და გლოვის დღეა. რაკი იმავე კალენდრით დღე საღამოდან საღამომდე იყო, გამოდის, ისრაელის ერთ-ერთმა ყველაზე მორწმუნე გუნდმა, „ბეითარმა" 10 აგვისტოს 20 საათამდე უნდა იმარხულოს და იუქმოს.

მერე კოლეგამ თბილისის „დინამოს" ამბები გამოგვკითხა, ასეთი უსაშველო რა ხდებაო. გიორგი დემეტრაძეც გვიხსენა, ახლა კიევის „დინამოში" რომ თამაშობს, ადრე „ბეითარში" უნდა დარჩენილიყო, მაგრამ კლუბის მაშინდელ პატრონებს პირობებზე ვერ შეუთანხმდაო, და... ისრაელიდან დაურეკეს, „ვიტ ჯორჯიას" ვარჯიშს აუცილებლად დაესწარიო...

**კობა ინასარიძე**



„ბეითარის" ფეხბურთელები „შერატონიდან" მცხეთას „არმაზის" სტადიონზე სავარჯიშოდ მიდიან

# ბეითარი ჩვეულებრივი გუნდია

**იერუსალიმელები** თბილისის აეროპორტში ტრაპს გამოსცდნენ თუ არა, სასაზღვრო ფორმალობები მოილიეს და მაშინვე მომლოდინე ავტობუსში მოწყვნენ, ბარგის მიღებაში წამები თუ დაკარგეს და ჰაიდაა, სასტუმრო „შერატონისკენ“.

აბა, სტუმარ-მასპინძლისგან ასეთ ოპერატიულობას ვინ ელოდა. სასტუმრო „შერატონში“ მისულ სარბიელელებს „ბეითარი“ იქ დახვდა. ნახევარი გუნდი უკვე ნომრებში დანაწილებულიყო, მეორე ნახევარი კი ლიფტებში შედიოდა.

სასტუმროს ფოიეში მხოლოდ ებრაელი ჟურნალისტები და კლუბის მომსახურე პერსონალი ტრიალებდა.

მალე ფეხბურთელებიც გამოჩნდნენ. ყველას შავი სპორტული შარვალი და ყვითელი ფერის მაისურა ემოსა. დახეტიალობდნენ ფოიეში კენტად, წყვილად და ჯგუფურადაც.

სრულიად უცნობი სახეები, მხოლოდ ფოტოებზე თუ გვინახავს და მათზე ყურმოკვრით გაგვიგია რამე. ერთი შეხედვით ჩვეულებრივზე ჩვეულებრივი გუნდია. თბილისს და საქართველოს ესენი ვერაფრით გააკვირვებენ. ეეჰ, ქართველ ქომაგებს ასეთები უნახავთ?!

ჯერაც არ გავშინაურებულვართ, ამიტომ მარჩიელობა გვიწევს. ეს ჯოვანი როსოა. ტანმაღალი და მეტად სუსტი აღნაგობის ხორვატი. მანერებზე ეტყობა, რომ მწვრთნელის რჩეულია. არადა, ფოტოზე სულ სხვანაირი, ათლეტური ჩანს.

სულ მარტო და ცალკე დაიარება „ბეითარის“ ვეტერანი, უკრაინის ნაკრების ყოფილი მოთამაშე სერგეი ტრეტიაკი, მეტსახელად ტიკ ტაკი. იგი აქაურობას სერიოზული სახით ათვალიერებს, სახეზე ნაკვთიც არ შეტოკებია.

ვიღაც ლიფტიდან კოჭლობით გამოდის. რაღაც თავს კარგად ვერ უნდა გრძნობდეს, თუმცა მაინც იღიმება. თანაგუნდელებს შეერია, მერე დიდხანს ფეხზე დგომას მოერიდა და იქვე, კიბის საფეხურზე ჩამოჯდა. ეს აუცილებლად იოსი აბუკსისი იქნება. კი, ნამდვილად ისაა, „ბეითარს“ ტრავმირებული მის გარდა არავინ ჩამოჰყოლია.

ჟან ტელასნიკოვი და ალონ მიზრახი „შერატონის“ სუვენირების სექციამ დააინტერესა. საგულდაგულოდ დაათვალიერეს ყველაფერი.

სხვები კი დგანან ფოიეს შუაგულში, ერთმანეთში საუბრობენ და ადგილიდან არ იძვრიან. ცხადია, ვიღაცას თუ ვიღაცეებს ელიან.

ისინიც გამოჩნდნენ. არა, იმის ცნობა ძნელი არ არის, „ბეითარში“ ასეთი ფერხორციანი, კლუბის თავჯდომარე მოშე დადაში უნდა იყოს. გვერდზე დირექტორატის წევრი აბრაამ ლევი მოჰყვება. მათ უკან „ბეითარის“ სტრატეგები — მთავარი მწვრთნელი ელი გუტმანი და თანაშემწე ფელიქს ნაიმი მოაბიჯებენ.

კამპანიაც შეიყარა. ბეითარელებს ბევრი არც უფიქრიათ, პირდაპირ დასანაყრებლად გასწიეს. სამხარი დაახლოებით ოც წუთს გაგრძელდა. ფეხბურთელები ისევ ცალ-ცალკე, წყვილად და ჯგუფურად გამოვიდნენ რესტორნიდან. ფოიეში არ შეყოვნებულან, პირდაპირ ნომრებისკენ გასწიეს.

გუტმანი, ნაიმი, დადაში და ლევი სასამხროდ ყველაზე ბოლოს შევიდნენ და იქიდან ასევე ბოლოს გამობრუნდნენ. შორს არსად წასულან, იქვე მრგვალ მაგიდასთან სა[illegible]ლდახელო აუდიენცია მოაწყვეს. საუბრობდნენ მშვიდად, ყოველგვარი დაძაბულობის გარეშე. ათ წუთში თათბირსაც მორჩნენ და დასასვენებლად გასწიეს.

სრულ შვიდ საათზე „ბეითარს“ ავტობუსმა მოაკითხა და მცხეთაში, „არმაზზე“ სავარჯიშოდ წაიყვანა.

მეტოქეზე პირველი შთაბეჭდილებები უბრალოა. ბეითარელები ჩვენებურებისგან თითქმის არაფრით გამოირჩევიან. მათ ჰყავთ ორიოდ ტანმაღალი მოთამაშე, ისეთი, როგორც ვიტ ჯორჯიელი გოჩაშვილია. დანარჩენს უშუალოდ თამაში გვიჩვენებს. „ბეითარი“, ალბათ, ხვალ საღამოს ყველა კარტს გახსნის.

**მამუკა კვანტალიანი**



მეორედ საქართველოში: მილან სტოიანოვსკი (№20) და ბრანკო სავიჩი



იოსი აბუკსისი



ლევან ცქიტიშვილი

## ცქიტიშვილს სახსრებმა უმტყუნეს

**ხვალ** „ფრაიბურგი“ ბოლო მოსამზადებელ ვარჯიშს ჩაატარებს და 11 აგვისტოს დაელოდება — შაბათს ბუნდესლიგა იღებს სტარტს, „ფრაიბურგს“ კი პირველივე ტურში დიდი გამოცდა ელის, ფოლკერ ფინკეს გუნდი „შტუტგარტს“ მასპინძლობს.

საპირველმატჩოდ სრულ სამზადისში არიან ლევან კობიაშვილი და ალექსანდრე იაშვილი, რასაც ვერ ვიტყვით „ფრაიბურგის“ მესამე ქართველზე — ლევან ცქიტიშვილზე. მისმა ტრავმამ ლამისაა ქრონიკული ხასიათი მიიღო. კლუბის ექიმებმა ლევანს უცნაური დიაგნოზი დაუსვეს — სახსრების კანტუზია. ტრავმის გამო ქართველი ფეხბურთელი, ბუნებრივია, ვერ ვარჯიშობს, მას ინტენსიური თერაპიული კურსი უტარდება.

ფოლკერ ფინკე კი პირველი მატჩის წინ გვარიანად შეფიქრებულა. ეს გასაგებიცაა, „შტუტგარტთან“ მის გუნდს ცქიტიშვილის გარდა ომარ კონდე, აბდერ რამდანე და ფლორიან ბრუნსი გამოაკლდება. საეჭვოა ადელ სელიმის თამაშიც. მწვრთნელს ნუგეშად ანდრეს ცაიერის, ტობიას ვილის და მარკო ვაისჰაუპტის გამოჯანმრთელება რჩება.

**პაატა კვანტალიანი**

| | გასხვისებულები | ახალწვეულები | სეზონთშორისი |
|---|---|---|---|
| **ტორპედო** *დავით ყიფიანი* | სომხიშვილი (მილანი), გოგიაშვილი, ჭანტურია (თავისუფალი აგენტი), მეგრელაძე, მაღლაკელიძე, ვაჩიბერაძე (ტრანსფერზე არიან) | გუჩუა, სიჭინავა, გაბიდაური (დინამო), ზ. არჩვაძე (ბათუმი), ჩხაიძე (ლოკომოტივი), შალამბერიძე (კოლხეთი), მამალაძე (თბილისი), თავბერიძე (ინტერი), სტურუა, გ. გოგოლაძე (სამგურალი) | დილა 4:0, სპარტაკი (ვარნა, ბულგარეთი) 1:0, ჩერნომორეცი (ბურგასი, ბულგარეთი) 0:2, 1:1, კალიაკრა (კავარნა, ბულგარეთი) 7:0, ცრვენა ზვეზდა (იუგოსლავია) 0:4, 2:0 |
| **ვიტ ჯორჯია** *სერგო კოტრიკაძე* | მამარდაშვილი, მორჩილაძე (თსუ), თოდუა (ლოკომოტივი) | სულთანიშვილი (დილა), მერლანი, დეკანოსიძე, ადამია, ინწკირველი (თსუ), ჭილაძე (ს.ა. იბერია) | თსუ 0:1, ჭაბუკიანი 2:0, ზოოვეტი 4:0, ჰოჰენჰამელნი 4:0, კოტბუსი 1:1, უნიონ ბერლინი 1:2, ჰანზა 0:1, ლიუბეკი 1:1, ზარაუ 7:1, ზანკტ პაული 1:3, ჰაილიგენჰაფენი (რვავე გერმანია) 6:0, ცხუმი 7:1 |
| **დინამო** *რევაზ არველაძე* | ხიზანეიშვილი (სპარტაკი, რუსეთი), დიდავა, ნიტაიშვილი (მაკაბი, თ-ა, ისრაელი), გუჩუა, სიჭინავა (ტორპედო), ო. გველესიანი (ბათუმი), გ. შენგელია (ლოკომოტივი), ხუციშვილი, მინაშვილი (?) | კ. გოგოლაძე (სიონი), ხუჯაძე (ბათუმი), მაზიაშვილი (თსუ), თ. მაისურაძე (ინტერი), ბურდული, ბათიაშვილი, ტყებუჩავა, ჩივაძე, კანდელაკი, ნორაკიძე, გადელია, ზამთარაძე (თბილისი), ნ. ლობჟანიძე (არ თამაშობდა) | შამქირი (აზერბაიჯანი) 1:1, სტანდარდი (ბელგია) 2:2, 1:1, შუქურა 2:0, ლოკომოტივი 1:0, 2:3 |
| **ბათუმი** *ჯანი კარნეველი* | მ. მახარაძე (კარიერა დაასრულა), ხომერიკი (არაუ, შვეიცარია), ზ. არჩვაძე (ტორპედო), მაჭუტაძე, თ. ტულუში (შუქურა), ხუჯაძე (დინამო), ჩლაიძე, თარგამაძე (?) | კ. მეტრეველი (ნივა, ტერნოპოლი, უკრაინა), ო. გველესიანი (დინამო), ბ. შენგელია (სიონი), კ. მეავანაძე (შუქურა), ქვაჩახია, მ. ქობულაძე (კოლხეთი), ბედიაშვილი, ჩოხელი (გორდა), გაბისონია (ქიაფაზი, აზერბაიჯანი), ნინუა (ბელასიცა, ბულგარეთი), ბარქაია (თსუ), კაკაბაძე (მერანი) | ხოფასფორი (თურქეთი) 3:1, 2:1, კოლხეთი 2:1, შუქურა 2:1 |
| **კოლხეთი** *გია ტყებუჩავა* | ტრაპაიძე (ტავრია, უკრაინა), შალამბერიძე (ტორპედო), ქვაჩახია, მ. ქობულაძე (ბათუმი), ე. გვასალია (?, ისრაელი) | რ. ხაჭაპურიძე (დილა), ბ. ჩიტაია (ცხინვალი), კრასოვსკი, თედეევი, დ. კვირკველია, გოჩა ჭანტურია, თოფურია, ზ. ლეჟავა, ბურჭულაძე (კოლხეთი 2) | ხოფასფორი (თურქეთი) 3:2, გურია 3:0, ბათუმი 1:2 |
| **სიონი** *სპარტაკ არჩვაძე* | კ. გოგოლაძე (დინამო), ბ. შენგელია (ბათუმი), ა. ბოკერია (თსუ), ვ. მაისურაძე (?) | ასპინძელაშვილი, ირემაშვილი (არსენალი), ბარნოვი, კ. მელქაძე (თბილისი), ტარიელაშვილი, დ. ჯანელიძე (მილანი), მესიაჩენკო (ოკეანე), ბაქრაძე (ლოკომოტივი) | ლოკომოტივი 1:0, 3:1, მილანი 0:2 |
| **იბერია** *სოსო ფრუიძე* | ვ. გიგიაძე, ი. გიგიაძე (ტორპედო ზილი, რუსეთი), ნაროუშვილი (ლოკომოტივი), ივეჩიანი (გორდა) | | სმენა (მოსკოვი, რუსეთი) 3:0, ურალეცი (ნიჟნი ტაგილი, რუსეთი) 1:3, ურალმაში (ეკატერინბურგი) 1:2, მეტალურგი (ვერხნაია სალდა, რუსეთი) 6:0, 7:0, 4:2 |
| **დილა** *მერაბ ხუციშვილი* | სულთანიშვილი (ვიტ ჯორჯია), რ. ხაჭაპურიძე (კოლხეთი), მარეხაშვილი (კარიერა დაასრულა); მერაბ კოჭლაშვილი (მწვრთნელი) | ა. ხმალაძე, გ. ტულუში (არსენალი), გრიგალაშვილი, ხოხობაშვილი, ეჯოშვილი (ცხინვალი), მ. ბურნაძე (მილანი), ჯაფარიძე, ბუთხუზი, ბადრიშვილი (გორის საფეხბურთო სკოლა); მერაბ ხუციშვილი (მწვრთნელი) | ტორპედო 0:4, ლოკომოტივი 1:3, 1:3, 2:1, მერანი 1:4 |
| **მერანი** *სერგო გაბელაია* | ჯიშკარიანი (კარიერა დაასრულა), კაკაბაძე (ბათუმი), დავითაშვილი (ლოკომოტივი) | ოდიშარია (ხობი), კაკუბავა (შამქირი, აზერბაიჯანი) | ლოკომოტივი 1:2, 0:0, დილა 4:1 |
| **ლოკომოტივი** *რევაზ ძოძუაშვილი* | ჯიშკარიანი (ტორპედო ზილი, რუსეთი), გ. ჩიხრაძე (ჰ.ბეით შანი, ისრაელი), კაციაშვილი, გ. გვაზავა (მეტალურგი), ბაქრაძე (სიონი), ჭიჭვეიშვილი (ჰ.ქვარ სავა, ისრაელი), ჩხაიძე (ტორპედო), დ. გოდერძიშვილი (მერანი), ჯულელი (?, კვიპროსი ან ისრაელი), ნიკურაძე (გორდა), რ. ონიანი (?) | გონჩაროვი (თბილისი), ნაროუშვილი (იბერია), დ. არჩვაძე (თსუ), თოდუა (ვიტ ჯორჯია), ა. ჯელაძე (ალ იტიჰადი, საუდეთი), გ. შენგელია (დინამო), ს. ბურნაძე (გორდა), დავითაშვილი (მერანი), ლონლაძე (სამგურალი) | გორდა 0:1, 1:1, დილა 3:1, 3:1, 1:2, მერანი 2:1, 0:0, სიონი 1:0, 3:1, დინამო 0:1, 3:2 |
| **თსუ** *თენგიზ კაცია* | მერლანი, დეკანოსიძე, ადამია, ინწკირველი (ვიტ ჯორჯია), ბარქაია (ბათუმი), მაზიაშვილი (დინამო), დ. არჩვაძე (ლოკომოტივი), ხართიშვილი (?) | მამარდაშვილი, მორჩილაძე (ვიტ ჯორჯია), ა. ბოკერია (სიონი), ე. ალადაშვილი, ხარებავა (არსენალი), შედანია (ზოოვეტი), არეშიძე (ცხუმი), ზვ. ლაბაძე (თბილისი), ჭედია (ლაზიკა) | ვიტ ჯორჯია 1:0, გორდა 0:0, ზოოვეტი 3:1, მილანი 0:0, 2:0, ჭაბუკიანი 3:2 |
| **გორდა** *იასონ ალადაშვილი* | გ. კილასონია, ვ. კილასონია (თურანი, თაუზი, აზერბაიჯანი), ს. ბურნაძე (ლოკომოტივი), ბედიაშვილი, ჩოხელი (ბათუმი) | ივეჩიანი (იბერია), კიბირია (საუ), სურმავა, ფოჩხუა (მრეტები), ნიკურაძე (ლოკომოტივი) | ლოკომოტივი 1:0, 1:1, თსუ 0:0, ხაზარი (აზერბაიჯანი) 2:0 |

**შენიშვნა: საბოლოო მხოლოდ დახრილი ტრანსფერებია**




ინგლისის ასოციაციის თასის მომგებ „ჩელსის“ და მის ქართველ ნახევარმცველ რატი ალექსიძეს (ზედა რიგში მარცხნიდან მესამე) კვირას „ჩარითი შილდი“ ელის

# არისტოკ-რატი №27

ინგლისის თასის მფობელი „ჩელსი“ ამჟამად ჰოლანდიაშია და სეზონისწინა შეკრებას იქ გადის. დასავლეთ-ლონდონელები შინ შაბათს დაბრუნდებიან, კვირას კი „უემბლიზე“ ქვეყნის ჩემპიონ „მანჩესტერ იუნაიტედს“ დაუპირისპირდებიან „ჩარითი შილდის“ ანუ ინგლისის სუპერთასის მოსაპოვებლად. გამორიცხული არაა, სეზონის პირველსავე შეხვედრაში ითამაშოს რატი ალექსიძემ, რომელმაც ლონდონში გადასვლის 6 თვის თავზე საკუთარგვარიანი მაისურა მიიღო — ჩვენებური 27-ე ნომრითაა „ჩელსის“ განაცხადში შეყვანილი. მის გარდა სეზონის განაცხადში კიდევ სამი ახალწვეულის გვარია — ჰოლანდიელი ჯიმი ფლოიდ ჰაისელბაინკი მეცხრე ნომრით ითამაშებს, სილვიო მარიჩს მე-12 ერგო, ისლანდიელ ეიდურ გუდიონსენს — 22-ე.

საინტერესოა, რომ რატი პირველი ქართველი როდი იქნება, ვისაც პრიმიერლიგაში 27-ე ნომრით უთამაშია — შარშან გიო ქინქლაძეც „დერბი ქაუნთის“ შემადგენლობაში სწორედ ამ ნომრით გამოირჩა. წლეულს ქინქლაძემ საწადელს მიაღწია და ხელთ საყვარელი მეათე ნომერი იგდო.

**გიგა ქობახიძე**

# ტორპედო ოთხით მცირდება

ჩემპიონთა ლიგის მეორე საკვალიფიკაციო ეტაპზე იუგოსლავურ „ცრვენა ზვეზდასთან“ ორი მატჩის ჯამში დამარცხებულმა „ტორპედომ“ სამდღიანი პაუზის შემდეგ ვარჯიში განაახლა. სხვა რა დარჩენია, საქართველოს ჩემპიონი ახლა მეთორმეტე ეროვნულისათვის იკრებს ძალებს და წვრთნას თავისსავე ბაზაზე გადის.

მუხნარის ტყეპარკში მდებარე ბაზაზე ორი თვის წინ დაწყებული დიდი სარეკონსტრუქციო სამუშაოების შესახებ ადრეც დაგვიწერია. ამჯერად იმას ვიტყვით, რომ საქმე არ შენელებულა, წინ მიიწევს და რაც გაკეთდა, უმაღლეს დონეზე, მაღალხარისხოვნად. საცხოვრებელი კორპუსის სამი სართულიდან პირველი სრულ მზადყოფნაშია, დარჩენილ ორზეც მალე მორჩებიან სამუშაოს მშენებლები. დიახ, სულ ცოტაც და კორპუსი მწყობრში ჩადგება და გვერწმუნეთ, ქართულ სპორტულ სინამდვილეში „ტორპედოს“ ბაზას ანალოგი არ მოეძებნება.

კვირას ქუთაისში „ტორპედოს“ დამფინანსებლის ფირმა „არგომარ ოილის“ პრეზიდენტი ბრძანდებოდა. ზურაბ ხინიკაძის მოსკოვიდან ჩამოსვლა შემთხვევითი არ ყოფილა. იგი იმერეთის გუბერნატორთან „ტორპედოს“ და საერთოდ ქუთაისური ფეხბურთის მომავალზე ბჭობდა და, ბუნებრივია, კლუბის აქაურ თავკაცებთანაც საქმიანი საუბრები ჰქონდა.

„არგომარ ოილის“ პრეზიდენტის ქუთაისში „სტუმრობას“ პირველი შედეგიც მოჰყვა. თუმც ჯერ ოფიციალურად არ გაცხადებულა, მაგრამ „ტორპედოს“ მესვეურთ რადიკალური ზომებისათვის მიუმართავთ — გუნდიდან ოთხ მოთამაშეს ათავისუფლებენ. ვინ არიან ეს ოთხი? მეკარე გრიგოლ ჭანტურია, მცველი ირაკლი მაღლაკელიძე, ნახევარმცველი ზაზა ვაჩიბერაძე და თავდამსხმელი გიორგი მეგრელაძე. ჭანტურიას „ტორპედოსთან“ კონტრაქტის ვადა დასრულებულია, ხოლო დანარჩენი სამი ტრანსფერზეა დაყენებული.

ცნობილი გახდა, რომ „ტორპედოში“ დარჩებიან სალიგოდ შემატებული მეკარე ზურაბ მამალაძე, უკანახაზელები ზურაბ არჩვაძე და გია ჩხაიძე. რაც შეეხება „დინამოში“ ნათამაშევ თენგიზ სიჭინავას და ვალტერ გუჩუას, აგრეთვე კოლხ ჯონი შალამბერიძის საბოლოოდ გატორპედოელებას, ქუთაისურ კლუბს ამ საკითხის დადებითად გადაწყვეტის დიდი სურვილი აქვს და აუცილებელ ფორმალობათა მოგვარებასაც შეეცდება.

გუშინ „ტორპედოს“ ბაზაზე ერთი ახალწვეულიც გამოჩნდა. გუნდთან ერთად ქვეყნის მოყვარულთა ნაკრების წევრმა, ექს დინამოელმა გიორგი გაბიდაურმა ივარჯიშა. არ არის გამორიცხული, ტორპედოელებს ეს ფეხბურთელიც შეემატოს. „ტორპედომ“ სავარჯიშოდ ზვიად სტურუაც იხმო. მოგეხსენებათ, წინა ჩემპიონატის მეორე წრეში ქუთაისელებმა სათადარიგო მეკარე „სამგურალში“ გაანათხოვრეს, ბოლო თვე კი სტურუა თსუ-ში გადიოდა წვრთნას.

„ტორპედოს“ დღეს საკონტროლო მატჩი აქვს და სწორედ რომ მეზობელ წყალტუბოში შეკრებაზე მყოფ თსუ-ს გაეჯიბრება. თამაში „ტორპედოს“ სტადიონზე 19 საათსა და 30 წუთზე დაიწყება. 12 აგვისტოს ქუთაისელები „ბათუმთან“ სტუმრად თამაშს აპირებენ.

**იუზა კაციტაძე ქუთაისიდან**



ყოფილი ტორპედოელები გია ჭანტურია, გიორგი სოხიაშვილი, ზაზა ვაჩიბერაძე და გია მეგრელაძე ცოტა ხნის წინ ერთად ზეიმობდნენ საქართველოს ჩემპიონობას

# არჩილ არველაძე კიოლნში საუკეთესოა

ახალი სეზონიდან ქართველი გულშემატკივარი უეჭველად ორმაგი ინტერესით მიადევნებს თვალს გერმანიის ჩემპიონატს. ბუნდესლიგაში ხომ უკვე ორი „ქართული“ გუნდია. კობიაშვილს, იაშვილს და ცქიტიშვილს ქართველი ბუნდესლიგელის რანგში არჩილ არველაძეც შეუერთდა. არველაძე პირველად მოსინჯავს ძალებს „კიოლნის“ შემადგენლობაში გერმანიის ჩემპიონატში. ერთ დროს სახელოვანი „კიოლნი“ შელახული რეპუტაციის (ეს გუნდი წლეულს აღზევდა მეორე ბუნდესლიგიდან) აღდგენას ლამობს და კარს მომდგარი ჩემპიონატისთვის გამალებულ სამზადისშია. როგორც ჩანს, გუნდის ხელმძღვანელთა სამომავლო გეგმებში არცთუ მცირე ადგილი უჭირავს არჩილ არველაძეს, ამის დასტურად ისიც გამოდგება, რომ ქართველი ფორვარდი სისტემატურად თამაშობს საკონტროლო მატჩებში და გერმანული პრესის მოწონებასაც ხშირად იმსახურებს. „მოქნილი, ტექნიკური, გოლის ალღოთი დაჯილდოებული ფეხბურთელია“ — ასეთი ფრაზით მოიხსენია „კიკერმა“ არჩილ არველაძე „კიოლნისა“ და ერთ-ერთი სამოყვარულო გუნდის საკონტროლო შეხვედრის შემდეგ. შოთას ტყუპისცალი დღითიდღე ფორმაში შედის. ამის დასტურად ორიოდე დღის წინ გამართული „კიოლნის“ მორიგი საკონტროლო მატჩიც გამოდგება. გერმანელები ესპანურ „სოსიედადს“ მასპინძლობდნენ. „კიოლნს“ პირველ ნახევარში უდიდესი უპირატესობა ჰქონდა მეტოქეზე, მაგრამ ბრწყინვალედ თამაშობდა სტუმართა მეკარე, თუმცა, მე-40 წუთზე „სოსიედადის“ მეკარისგან მანამდე ორჯერ გაწბილებულმა არველაძემ თავისი შანსი გამოიყენა და ეფექტური გარღვევა მეტოქის კარის აღებით დაასრულა, მეორე ნახევარში ესპანელებმა სამი უპასუხო გოლი გაუტანეს მასპინძლებს და 3:1 გაიმარჯვეს. არჩილ არველაძემ კი 90 წუთი დაჰყო მოედანზე და „კიკერისგან“ მოკრძალებული შეფასებაც მიიღო: „იგი საუკეთესო იყო თავისი გუნდიდან“ — იტყობინება გერმანული გამოცემა.

ბუნდესლიგის დაწყებამდე „კიოლნი“ ორ საკონტროლო მატჩსაც გამართავს და 11 აგვისტოს ჩემპიონატის პირველ ტურში „შალკეს“ ესტუმრება.

**პაატა ქვანტალიანი**



არჩილ არველაძე

# ქართლ-კახეთი იმერეთში

მეხუთე დღეა, ბოლნისური „სიონი“ საწვრთნელ შეკრებაზე იმყოფება. ქვემოქართლელებმა წინასაჩემპიონატო დასკვნითი სამზადისისთვის ტყიბული აირჩიეს. სპარტაკ არჩვაძემ „სიონის“ მთავარმა მწვრთნელმა, 18 ფეხბურთელი იახლა. მათ, არჩვაძის თქმით, კახა გოგოლაძეც უნდა დამატებოდა, მაგრამ ეს ფეხბურთელი დღესაც „დინამოს“ რიგებში ემზადება და ტყიბულში არ ჩასულა.

10 დღეა, შეკრებაზე იმყოფება წნორის „მილანიც“. კახელებმა მოსამზადებლად რაჭის სოფელი ხიმში აირჩიეს. იქ მათ კლუბის პრეზიდენტმა ავთანდილ მანგოშვილმა წვრთნისთვის საუცხოო პირობები დაახვედრა. „მილანს“ უმაღლეს ლიგაში გადასვლა დაუსახავს მიზნად და სამისოდ ამთავითვე ემზადება. წნორელები ჩემპიონატის წინ რიგით მესამე შეკრებას გადიან, ასეთი ფუფუნება კი ბევრ უმაღლესლიგელისთვისაც სანატრელია.

დროა, „სიონი“ და „მილანი“ დავაკავშიროთ. ამ ორმა გუნდმა ერთმანეთი ჭიათურაში მონახა და საკონტროლო მატჩიც შედგა. კახელებმა რანგით მაღალ მეტოქეს ტოლი არაფერში დაუდეს და 2:0 იმარჯვეს. „მილანიდან“ ტოკლიკიშვილმა და გლუნჩაძემ გამოიჩინეს თავი.

„სიონი“ და „მილანი“ ჭიათურაში ზეგაც შეხვდებიან ერთმანეთს. შეგახსენებთ, რომ ორივე გუნდი შეკრებაზე ჩემპიონატის დაწყებამდე დარჩება. „სიონი“ 19 აგვისტოს ქუთაისში ჩავა „ტორპედოსთან“ სათამაშოდ, „მილანი“ კი 26 აგვისტოს (სწორედ ამ დღეს იწყება პირველი ლიგის ჩემპიონატი) სამტრედიას ესტუმრება და იქაურ „ოკეანეს“ დაუპირისპირდება.

**პაატა ქვანტალიანი**

ექიმი კარდიოლოგი
გია მაზავრაშვილი
○ სუ ჯოკ აკუპუნქტურა
○ სუ ჯოკ ჰომეოპათია და ფიტოთერაპია
○ კვებისა და ფიზიკური რეჟიმის კორექცია (აპრობირებულია სპორტულ მედიცინაში)
მკურნალობის მოსალოდნელი შედეგის განსაზღვრა უფასო კონსულტაციით.
თბილისი. ვაჟა-ფშაველას 83/11. სუ ჯოკ თერაპიის ცენტრი
ტელეფონი: 31-55-35, 38-67-56

ეროვნული ბიბლიოთეკა

იხილეთ წინა „სარბიელი“

# მოკვლევა

## საქართველოს სახელმწიფო მინისტრს ბატონ გია არსენიშვილს

### ინფორმაცია თბილისის „დინამოსა“ და ბორის პაიჭაძის სახ. ეროვნული სტადიონის პრობლემების შემსწავლელი სამთავრობო კომისიის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ

სამთავრობო კომისიის დავალების შესაბამისად საგადასახადო შემოსავლების საგადასახადო დეპარტამენტის მსხვილ გადამხდელთა ინსპექციის მიერ შემოწმდა სააქციო საზოგადოება „ბორის პაიჭაძის სახ. ეროვნული სტადიონის“ ბიუჯეტთან ანგარიშსწორების საკითხი.

შემოწმება მსხვილ გადამხდელთა ინსპექციის მიერ დამტკიცებული პროგრამის შესაბამისად შეეხო 1999 წლის 1 ოქტომბრიდან 2000 წლის 1 ივლისამდე განვლილ პერიოდს.

როგორც დადგინდა, ეროვნულ სტადიონს 1999-2000 წელს ბიუჯეტიდან თანხები არ მიუღია, მას 1999 წელს ქ. თბილისის მერიიდან სუბსიდიის და მიზნობრივი დანიშნულებით გამოეყო 505 ათასი ლარი. აქედან კაპიტალური რემონტის ჩასატარებლად — 221 ათასი ლარი, ხოლო დანარჩენი (სუბსიდიის სახით) 284 ათასი ლარი გადაირიცხა მსხვილ გადამხდელთა ინსპექციაში ქონების, მიწის და ხელფასიდან საშემოსავლო გადასახადების დავალიანებების დასაფარავად.

შემოწმებით გამოვლინდა რიგი დარღვევები: კერძოდ, 1999 წლის წლიური ანგარიშის შედგენისას თვითღირებულებებში ხარჯების არასწორად შეტანით ზარალი გაზრდილია 238 964 ლარით (ზარალმა ბალანსის მიხედვით შეადგინა 1 223 700 ლარი, ხოლო ფაქტიურმა კი შეადგინა — 984 736 ლარი). გარდა ამისა, საშემოსავლო, სამეწარმეო საქმიანობის და მიწის გადასახადების, აგრეთვე სოც. უზრუნველყოფისა და დაზღვევის ერთიან სახელმწიფო ფონდში, ჯანდაცვის ერთიან სახელმწიფო ფონდში დაფიქსირებულია არასწორად დარიცხვის ფაქტები, რის გამოც ეროვნულ სტადიონს დამატებით ბიუჯეტში გადასახდელად დაერიცხა 67 782 ლარი, მათ შორის ძირითადი თანხა 17 197 ლარი.

აღსანიშნავია ისიც, რომ როდესაც ეროვნული სტადიონი განიცდის ფინანსურ გაჭირვებას (როგორც აღინიშნა, 1999 წელი მან დაასრულა ზარალით) ამ დროს მას მოიჯარადე სპორტული ორგანიზაციებიდან 1999-2000 წლებში მიუღებელი აქვს 20 600 ლარის საიჯარო ქირა. გარდა ამისა, მცირეა შემოსავლები ზოგიერთი ობიექტიდან, ასე, მაგალითად: ტელეატელიედან წლის განმავლობაში მიღებულია 937 ლარი, ამასთან მას 3 თვის განმავლობაში თანხები საერთოდ არ შემოუტანა, ასევე დაბალი შემოსავლებია საპარიკმახეროდან და ავტოსადგომიდან — შესაბამისად 1 666 და 2 562 ლარი.

საგადასახადო დეპარტამენტის ძალებითვე შემოწმდა სტადიონის ტერიტორიაზე განთავსებულ საწარმოების რეგისტრაციის, სტადიონთან ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესრულებისა და ბიუჯეტთან ანგარიშსწორების საკითხი. წარმოდგენილი ინფორმაციის მიხედვით სტადიონის ირგვლივ განთავსებული ობიექტებიდან 1999-2000 წლის შვიდ თვეში ბიუჯეტში შესულია 17 273 ლარი. თვით ამ ობიექტების შემოწმებით გამოვლინდა, რომ არც ერთ ობიექტში არ დგას სალარო აპარატები, მოუწესრიგებელია საბუღალტრო აღრიცხვა, რის გამოც შეუძლებელია მათი რეალური შემოსავლების დადგენა, ხოლო ზოგ შემთხვევებში კი საერთოდ შეუძლებელია დაკავებული ფართის მეპატრონეების დადგენა, გარდა ამისა გამოვლინდა 6 მოვაჭრე, რომლებიც სამეწარმეო საქმიანობას ახორციელებდნენ სახელმწიფო რეგისტრაციის გარეშე, რის გამოც მათზე შედგენილი იქნა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმები.

ეროვნული სტადიონის შემოსავლების ერთ-ერთი წყაროა ფეხბურთის მატჩებზე რეალიზებული ბილეთების ღირებულება. სტადიონის ტევადობის გათვალისწინებით ფაქტიურად ის სისტემატიურად დაუტვირთავია. ბილეთების რეალიზაციიდან 1996 წელს მიღებულია 156 3 ათასი ლარის შემოსავლები, 1997 წელს — 770 ათასი ლარი, 1998 წელს — 141 4 ათასი ლარი, 1999 წელს — 210.0 ათასი ლარი, ხოლო 2000 წლის 6 თვეში კი მხოლოდ 180 ათასი ლარი, თუმცა აღნიშნული შემოსავლებიდან ეროვნული სტადიონის კუთვნილებაში მხოლოდ 20-25% რჩება. სტადიონის დირექციაში არსებული მასალების მიხედვით, მთელ რიგ იმ მატჩებზე, როდესაც ძირითადი და საერთაშორისო ფეხბურთის მატჩები იყო ნათამაშები, საწყობიდან სალაროებში სარეალიზაციოდ გამოტანილი ბილეთების მხოლოდ მცირე რაოდენობაა რეალიზებული და შესაბამისად ამონაგები თანხების რაოდენობაც დაბალია.

კერძოდ, 1999 წელს ეროვნულ სტადიონზე ჩატარებულ 37 თამაშზე საწყობიდან გამოტანილი იყო 28 000 ბილეთი (საერთაშორისო მატჩების ჩათვლით) საიდანაც რეალიზებულია მხოლოდ 5 029 ბილეთი, ანუ მთლიანი რაოდენობის 17,6%, უარესი მდგომარეობაა იმავე წელს ჩატარებულ საერთაშორისო თამაშებზე რეალიზებული ბილეთების მხრივ, სადაც 5 საერთაშორისო თამაშზე 16 წლამდე ნორჩ ფეხბურთელთა გუნდებს შორის საწყობიდან გატანილი 6 000 ბილეთიდან რეალიზებულია მხოლოდ 819 ცალი (13,6%). სტადიონზე არსებული დოკუმენტაციის მიხედვით ყველა არარეალიზებული ბილეთი განადგურებულია მუდმივმოქმედი კომიისის მიერ. გარდა აღნიშნულისა, 1999 წელს ჩატარებული 6 საერთაშორისო მატჩის დროს ეროვნულმა სტადიონმა სფფ-დან მიიღო 89 840 ბილეთი, საიდანაც რეალიზებულია 30 377 ბილეთი (33,8%), ხოლო არარეალიზებული ბილეთები დაუბრუნდა ფეხბურთის ფედერაციას.

შედარებით უკეთესი მდგომარეობაა 2000 წელს, სადაც სულ ჩატარებულ 23 თამაშზე გამოტანილი იყო 89 500 ცალი ბილეთი, საიდანაც რეალიზებულია 30 782 ცალი ანუ 34,5% მათ შორის 5 საერთაშორისო მატჩზე გამოტანილი 74 500 ბილეთიდან რეალიზებულია 24 213 ბილეთი, ანუ 32%, ამასთან არარეალიზებული ბილეთები გასანადგურებლად ჩაბარებულია ლატარიების, აზარტული თამაშების, ექსპერტიზა-უტილიზაციის სამსახურში. გარდა ამისა, ეროვნული სტადიონის საწყობში ინახება 90-იანი წლებში დაბეჭდილი და გამოყენებული ბილეთები. საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან არსებული ლატარიების, აზარტული თამაშების, ექსპერტიზა-უტილიზაციის სამსახურის მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის მიხედვით, ეროვნულ სტადიონზე ჩატარდა არარეალიზებული ბილეთების ინვენტარიზაცია, რომლის დროსაც დადგინდა, რომ სტადიონის საწყობში ინახება 1989 წელს დაბეჭდილი ვ.ი. ლენინის სახელობის დინამოს სტადიონზე ფეხბურთის მატჩებზე დასასწრები 635 500 ცალი ბილეთი და 1990 წელს დაბეჭდილი ბილეთების 16 კომპლექტი — 1 189 184 ცალი ბილეთი. (სულ: 1 824 684 ცალი), რომელთა საბალანსო ღირებულება 42 678 ლარს შეადგენს.

ამავე სამსახურის ინფორმაციით სტადიონის ადმინისტრაცია ეროვნული ჩემპიონატის მატჩებზე დასასწრებად დღემდე გამოიყენებდა 1989 წელს დაბეჭდილ ფეხბურთის ბილეთებს, კერძოდ ყოველ მატჩზე საწყობიდან გაჰქონდათ განსაზღვრული რაოდენობის ბილეთები, თვითონვე ახდენდნენ მის ლეგალიზაციას, ხოლო არარეალიზებული ბილეთები წლის ბოლოს ნადგურდებოდა ადგილზე შექმნილი კომისიის აქტის საფუძველზე.

აღნიშნული წესით 1999 წელს განადგურებულია 22 941 ცალი არარეალიზებული ბილეთი (წინა წლების მაჩვენებლები სტადიონს არ გააჩნია), ხოლო 2000 წელს ჩატარებული ეროვნული ჩემპიონატის 8 431 ცალი და საერთაშორისო თამაშების 50 287 ცალი არარეალიზებული ბილეთი ინახებოდა სტადიონის საწყობში, რომელიც შემოწმების პროცესშივე არსებული კანონმდებლობის შესაბამისად უტილიზაციის სამსახურისა და სტადიონის ადმინისტრაციის წარმომადგენლების მიერ დაილუქა და გაიგზავნა ექსპერტიზა-უტილიზაციის სამსახურში. ასევე დაილუქა 1989-1990 წლებში დაბეჭდილი 1 824 684 ბილეთი, რომელთა გამოყენების ან განადგურების საკითხი გადასაწყვეტია ფინანსთა სამინისტროს მიერ. (სტადიონის ხელმძღვანელობის განმარტებით ამ ბილეთების განადგურებისთვის საჭიროა ექსპერტიზა-უტილიზაციის სამსახურს გადაუხადონ თითოეულ ბილეთზე 0.003 ლ. ანუ სულ 5 474 ლარი, რისი საშუალებაც მათ არ გააჩნიათ).

ცალკე უნდა აღინიშნოს, იტალიური ფირმა „ფინეირო კონსალტინგზე რიცხული დავალიანება 200 ათასი ა.შ.შ. დოლარის ოდენობით, რომელიც დაფიქსირებულია თბილისის კონტროლის პალატის 1998 წლის შემოწმების აქტში, კერძოდ, თბილისის მერიის 1997 წლის 9 ოქტომბრის №114 განკარგულებით თბილისის მერიასა და იტალიური ფირმა „ფინეირო კონსალტინგს“ შორის გაფორმებული კონტრაქტის საფუძველზე ეროვნულ სტადიონს სარეკონსტრუქციო სამუშაოების დასაფინანსებლად გამოეყო 260 ათასი ლარი (200 ათასი ა.შ.შ. დოლარი), რომელიც სტადიონის მიერ 1997 წლის ოქტომბერ-დეკემბერში გადარიცხულია მალტაში ფირმის ანგარიშზე. მიუხედავად იმისა, რომ ამ ფირმას სტადიონზე სარეკონსტრუქციო სამუშაოები არ ჩაუტარებია (თუ არ ჩავთვლით გრანტით გამოყოფილი 2 000 სკამის მონტაჟს) აღნიშნული თანხა [illegible]ღემდე ფირმის ანგარიშზე ირიცხება.

შემოწმების პროცესში სააქციო საზოგადოების მიერ წარმოდგენილი ინფორმაცია და საფინანსო დოკუმენტაციის მიხედვით გაკეთდა ეროვნული სტადიონის ეკონომიკური ანალიზი.

1995 წლამდე ეროვნული სტადიონი რენტაბელური ორგანიზაცია იყო, 1995 წლიდან ბიუჯეტში და არასაბიუჯეტო ფონდებში გადასახადების მკვეთრი ზრდის, აგრეთვე კომუნალურ მომსახურეობაზე (წყალი, ელ.ენერგია, სანიტარული მომსახურეობა და სხვა.) ტარიფების საგრძნობლად ამაღლებამ და საფეხბურთო მატჩებზე მაყურებელთა დასწრების მკვეთრად კლებამ ეროვნული სტადიონი ზარალიანი ორგანიზაცია გახადა, რომლის ზარალიც წლიდან-წლამდე იზრდება. მაგალითად 1996 წლამდე ზარალმა 1 526 ათასი ლარი შეადგინა, 1997 წელს — 2 324 ათასი ლარი, 1998 წელს — 1 597 ათასი ლარი, ხოლო 1999 წელს კი — 12 238 ათ. ლარი. (შემოწმების შემდგომი კორექტივით 9 847 ათასი ლარი), 1999 წლის ზარალის მკვეთრი ზრდა გამოწვეული იყო 8 773 ათასი ლარი, საამორტიზაციო ანარიცხებით.

როგორც ანალიზმა დაგვანახა ზარალის გამომწვევი მიზეზები შემდეგია:

— 1999 წელს, წინა წლებთან შედარებით ბევრად გაიზარდა გადასახადები ბიუჯეტში და არასაბიუჯეტო ფონდებში. მაგალითად 1997 წელთან შედარებით ქონების გადასახადი აფასების შედეგად 8 ათასი ლარიდან გაიზარდა 114 ათასი ლარამდე. 1998 წელს შევიდა ძალაში მიწის გადასახადი, რომელმაც 217 ათასი ლარი შეადგინა. მიმდინარე წელს გადასახადები იზრდება კიდევ 478 ათასი ლარით (სავალდებულო ხანძარსაწინააღმდეგო დაზღვევა).

— ძალიან დიდია დარიცხვები ობიექტის ცვეთაზე (ამორტიზაცია). კანონით გათვალისწინებულია შენობა-ნაგებობების ცვეთის განაკვეთი 7% (ნაცვლად ადრე არსებული 1,2-1,5%-ისა). ეს კი ზარალს 8 773 ათ. ლარით ზრდის.

თუ შევაჯამებთ მხოლოდ ამ გადასახადებს და ცვეთას ძირითად საშუალებებზე, მივიღებთ 10 608 ათასი ლარს.

აღსანიშნავია ისიც, რომ ყველა ხარჯების გათვალისწინებით (დღგ-ს გარეშე) ეროვნულ სტადიონს ერთი საფეხბურთო მატჩის ჩატარება საშუალოდ 383 ათასი ლარი უჯდება, ხოლო გასულ წელს საშუალო შემოსავალი ერთ მატჩზე კი 26 ათასი ლარი იყო. მაშინ, როცა წლის განმავლობაში ნორმით 30-32 მატჩი ტარდება, ე.ი. ზარალი საშუალოდ ერთი მატჩიდან შესაბამისად — 357 ლარის ტოლია.

გარდა ამისა, საზოგადოებას გასული წლებიდან მოყოლებული სხვა მნიშვნელოვანი დავალიანებები გააჩნია. კერძოდ „ეი-ი-ეს თელასის“ მიმართ 397 ათასი ლარი, „თბილწყალკანალის“ მიმართ 2 049 ათასი ლარი.

გარდა ზემოაღნიშნულისა ზარალის გამომწვევი მიზეზი დაბალი შემოსავლებიცაა. მიუხედავად შემოსავლების ყოველწლიური ზრდის ტენდენციისა, ის მაინც არასაკმარისია და სერიოზულ გავლენას ვერ ახდენს საზოგადოების საფინანსო მდგომარეობაზე. მაგალითად, 1996 წელს მთლიანმა შემოსავლებმა (მაჩვენებელი აღებულია დღგ-ს გარეშე) 1 906 ათასი ლარი შეადგინა, 1997 წელს — 1 236 ათასი ლარი, 1998 წელს — 2 026 ათასი ლარი, ხოლო 1999 წელს კი 3 415 ათასი ლარი, საზოგადოების შემოსავლების ძირითადი შევსება ძირითადად ფეხბურთის ბილეთების რეალიზაციიდან და იჯარიდან მიღებულმა თანხებმა შეადგინა. წარმოდგენილი მასალების მიხედვით ბილეთების რეალიზაციიდან შემოსავლები არასტაბილურია, კერძოდ, 1996 წელს ამ სახის შემოსავლები 1 563 ათასი ლარია, 1997 წელს შემცირდა 769 ათასი ლარამდე. [illegible]97 წელს ის გაიზარდა — 1 414 ათასი ლარამდე, ხოლო 1999 წელს კი — 2 514 ათასი ლარამდე. შედარებით სტაბილური ზრდით ხასიათდება იჯარის შემოსავლები. კერძოდ, იჯარიდან შემოსავლებმა 1996 წელს 264 ათასი ლარი შეადგინა, 1997 წელს — 374 ათასი ლარი, 1998 წელს — 39 ათასი ლარი, ხოლო 1999 წელს 625 ათასი ლარი.

შემოწმდა ეროვნული სტადიონის ტექნიკური მდგომარეობა, რაზედაც წარმოდგენილია საქართველოს ურბანიზაციისა და მშენებლობის სამინისტროს დასკვნა. დასკვნის მიხედვით მუშა ჯგუფმა დაათვალიერა სტადიონის ნაგებობა და გაეცნო 1996 წელს გამოშვებულ სტადიონის აღდგენა-გამაგრების პროექტს, რომელიც ითვალისწინებს I და II რიგის ღონისძიებების განხორციელებას, მიუხედავად ჩატარებული სამუშაოებისა, მუშა ჯგუფის დასკვნით დარჩენილია რიგი სამუშაოები, კერძოდ, წყლის მაღალი დონისა და მოდინების გამო არ შესრულებულა დახრილი ფილების გამაგრებითი სამუშაოები, 45-51 ღერძებს შორის ჩარჩოების რიგელებს [illegible] ჩაუტარდეს პროექტით გათვალისწინებული ანტიკოროზიული ღონისძიებები. გასამაგრებელია ერთი პორტალური ჩარჩო, რომელსაც პროექტი არ ითვალისწინებდა. მოსახსნელია შეკიდული ჭერი.

კომისიის დასკვნით საცურაო აუზი მოითხოვს ძირეულ რეკონსტრუქციას თანამედროვე მასალებისა და კონსტრუქციების გამოყენებით, წყალშემცავი კომუნიკაციებისა და სავენტილაციო სისტემის მთლიანად შეცვლით.

5-7 ღერძებს შორის თაღში და მის საპირე ქვებში არსებული ბზარები უნდა ამოივსოს პოლიმერცემენტის ხსნარით.

ხის იატაკების მოწყობის სამუშაოები არ შესრულებულა არც ერთ სათავსოში.

საკომუნიკაციო გვირაბის ძირისათვის სათანადო დახრის განხორციელების შემდეგ გვირაბში მოხვედრილი წყალი გროვდება გვირაბის სამხრეთ ნაწილში და მოითხოვს ორგანიზებულ გადაყვანას ახალი სქემით.

ვინაიდან ვერ სრულდება პროექტით გათვალისწინებული სადრენაჟო სისტემა, სტადიონის სამხრეთ ნაწილში საკომუნიკაციო გვირაბში წყლის არსებობა საფრთხეს უქმნის მასში გამავალ მაღალი ძაბვის კაბელებისა და იმავე ზონაში არსებული ქვესადგურის უსაფრთხო მუშაობას.

ასევე დასამთავრებელია სტადიონის I იარუსის ტრიბუნებზე ჰიდროსაიზოლაციო სამუშაოები.

მეორე რიგის სამუშაოები ითვალისწინებს გრუნტისა და ტექნოგენური წყლების მოცილებას I სართულის ქვეშ განლაგებული სხვადასხვა სათავსოდან.

საჭიროა სტადიონის ხელმძღვანელობის დაკვეთით დამუშავებული სტადიონის ტერიტორიაზე არსებული მიწისქვეშა წყალშემცავი კომუნიკაციების აღდგენის პროექტის მოკლე დროში განხორციელება.

ეროვნული სტადიონის ელექტრომეურნეობის შემოწმებით კომისიამ დაადგინა, რომ ეროვნული სტადიონის ენერგომეურნეობის ძირითადი კვანძები ავარიულ მდგომარეობაშია, საჭიროებს რეკონსტრუქციას, ამჟამად ექსპლუატაცია მიმდინარეობს დიდი რისკის ქვეშ.

სტადიონის ელექტრომეურნეობიდან ძირითადი პრობლემური საკითხი სპორტული არენის განათებაა.

არსებული განათების მოწყობილობა და ქსელი დამონტაჟებული იქნა 1976 წელს და როგორც ტექნიკურად ასევე მორალურად ამორტიზებულია და ვერ აკმაყოფილებს თანამედროვე მოთხოვნილებებს; — შუქტექნიკური მოთხოვნების მიხედვით არენის განათებულობა უნდა იყოს 1500 ლუქსი. არსებული პროჟექტორები იძლევიან 300 ლუქსს. ფერადი გადაცემის ტემპერატურა უნდა იყოს 6000 K, ხოლო არსებული პროჟექტორებისა კი მხოლოდ 3000 K-ს შეადგენს. რაც შეეხება მათ ფიზიკურ მდგომარეობას, პროჟექტორების უმრავლესობა მწყობრიდანაა გამოსული: შებურულია ამრეკლი ფარები, დარღვეულია ჰერმეტულობა, რის გამოც ნათურების საკანში ხვდება წვიმის წყალი.

პროჟექტორებზე მიმავალი ელექტროგაყვანილობა, განსაკუთრებით ის ნაწილი, რომელიც კოლექტორში იმყოფება ავარიულ მდგომარეობაშია (კოროზირებულია მილგაყვანილობა, დენგამტარები წყალში იმყოფება).

გარდა არენის განათებისა, სტადიონის ელექტრომეურნეობის სხვა ძირითადი კვანძებიც მოითხოვენ შეკეთებისთვის სასწრაფო ღონისძიებების გატარებას; საკაბელო კოლექტორში და ქვესადგურის სარდაფებში წყალია, რის გამოც ხშირია საკაბელო ხაზების ავარიები და დარღვეულია ადამიანთა უსაფრთხოების მოთხოვნები.

ადმინისტრაციული სათავსების ელექტრომოწყობილობა და განათების ქსელი ავარიულ მდგომარეობაშია.

დაზიანების გამო არ მოქმედებს სტადიონის ტერიტორიის განათება.

ეროვნული სტადიონის ელექტრომომარაგება ხდება თელასის სამი ქვესადგურიდან: „დინამოს“, „დიდუბის“ და „თეცი“. ამ ქვესადგურებიდან მკვებავი კაბელები დაზიანების გამო ავარიულ მდგომარეობაში, კომისიის დასკვნით არსებული მდგომარეობა სარისკოს ხდის სტადიონის ელექტრომეურნეობის ექსპლუატაციას როგორც სპორტული ღონისძიებებისათვის, ისე ადამიანის სიცოცხლის უსაფრთხოებისათვის.

აუცილებელია სტადიონს გააჩნდეს ელექტროენერგიით კვებით ავტონომიურ წყარო. გარდა ამისა სტადიონის ნაგებობაზე და მის ფუნქციონირებაზე უარყოფით გავლენას ახდენს სტადიონის ნაგებობის ქვეშ განთავსებული სავაჭრო და სხვა დანიშნულების ახლად აშენებული სათავსოები, კერძოდ:

— სტადიონის ნაგებობებში არსებულ სპორტული დანიშნულებისა და სხვა სათავსოებს მკვეთრად გაუარესებული აქვს სანიტარულ-ჰიგიენური პირობები (შემცირდა ბუნებრივი განათება და ინსოლაცია, დაირღვა მათი ბუნებრივი ვენტილაციის პირობები);

— აღნიშნული სავაჭრო სათავსოები უარყოფითად მოქმედებენ სტადიონის, როგორც უნიკალური არქიტექტურული ძეგლის იერსახეზე. (თუმცა აღსანიშნავია, ის რომ სტადიონის ტერიტორიაზე მიმდინარე მშენებლობები შეთანხმებულია შესაბამის სამსახურებთან).

იხილეთ მომდევნო „სარბიელი“



ზლატკო ზაჰოვიჩი



სრეჩკო კატანეცი

# ან მე, ან ეგ!

## კატანეცმა ზაჰოვიჩი ნაკრებიდან დაითხოვა

ესეც ასე. სლოვენიური ჰარმონია დაირღვა. რა უნდა მომხდარიყო ისეთი, რომ ზლატკო ზაჰოვიჩი და სრეჩკო კატანეცი ერთმანეთს წაჰკიდებოდნენ...

მივყვეთ თანმიმდევრობით. ერთ-ერთ სლოვენიურ სპორტულ გაზეთს ეროვნული ნაკრების მწვრთნელმა სრეჩკო კატანეცმა ორშაბათს ინტერვიუ მისცა, სადაც ხაზგასმით აღნიშნა, რომ სლოვენიის ნაკრებს ლიდერი არ ჰყავს. ჩემთვის ყველა ერთია, გამორჩევით არავის გამოვყოფო. მწვრთნელის ციტატას ახლა უკვე ესპანური „ვალენსიას“ შემტევი ნახევარმცველი ზლატკო ზაჰოვიჩი გაუნაწყენებია, როგორ, მაშ, მე ვინ ვარო და... ზლატკომაც სრეჩკოს მობილური ტელეფონის ნომერი აკრიფა და ბოლმამორეულმა მწვრთნელს ყველაფერი პირში მიახალა, რასაც მასზე ფიქრობდა.

კატანეცსაც რა უნდა ექნა, ადგა და საქვეყნოდ განაცხადა, თუ ზლატკო ზაჰოვიჩი ბოდიშს არ მომიხდის, სანამ მე ვიქნები ქვეყნის პირველი გუნდის მწვრთნელი, აღარასოდეს მოვიწვევო.

აი, როგორაა საქმე. მკითხველს ალბათ აქ იოჰან ბოსკამპი გაახსენდება, ზაზა ჯანაშიას რომ უთხრა, სანამ მე ვიქნები საქართველოს ნაკრების მწვრთნელი, ვერ ითამაშებო. ჯანაშია ქართველებისთვის შეუცვლელია, ასევეა ზაჰოვიჩიც სლოვენიელთათვის. რას მოიმოქმედებს ფეხბურთელი, ჯერჯერობით უცნობია.

ამასობაში კი სლოვენიის ეროვნული ნაკრები ამხანაგური მატჩისთვის ემზადება. ბალკანელები 16 აგვისტოს ოსტრავაში ჩეხეთის გუნდს გაეჯიბრებიან. სრეჩკო კატანეცმაც სიტყვა არ გატეხა და ჩეხებთან სათამაშოდ ზაჰოვიჩი ნაკრებს მიღმა დატოვა. სულ მწვრთნელმა 18 ფეხბურთელი იხმო.

**გიორგი ვაშაკიძე**

### ჩეხეთი — სლოვენია

*ჩეხეთი:*

*მეკარეები: იარომირ ბლაჟეკი (სპარტა), რადეკ ჩერნი (სლავია), ლადისლავ მაიერი (რაპიდი, ავსტრია);*

*მცველები: რენე ბოლფი (სპარტა), პეტრ გაბრიელი (კაიზერსლაუტერნი, გერმანია), კარელ რადა (სლავია), რომან ტაისი, ტომაშ ვოტავა (ორივე მიუნხენ 1860, გერმანია);*

*ნახევარმცველები: რადეკ ბეიბლი (ლანსი, საფრანგეთი), პატრიკ ბერგერი (ლივერპული, ინგლისი), პაველ ჰორვატი (სპორტინგი, პორტუგალია), მარეკ იანკულოვსკი (ნაპოლი, იტალია), პაველ ნედვედი (ლაციო, იტალია), კარელ პობორსკი (ბენფიკა, პორტუგალია), ტომაშ როსიცკი (სპარტა);*

*თავდამსხმელები: იან კოლერი (ანდერლეხტი, ბელგია), ვრატისლავ ლოკვენცი (კაიზერსლაუტერნი, გერმანია), ვლადიმირ შმიცერი (ლივერპული, ინგლისი), რენე ვაგნერი (რაპიდი, ავსტრია)*

*სლოვენია:*

*მეკარეები: დეიან ნემეცი (ბრიუგე, ბელგია), მარკო სიმეუნოვიჩი (მარიბორი);*

*მცველები: სპასოიე ბულაიჩი (კიოლნი, გერმანია), მარინკო გალიჩი (მარიბორი), ალექსანდრ კნავსი (ტიროლი, ავსტრია), ჟელკო მილინოვიჩი (გრაცერი, ავსტრია);*

*ნახევარმცველები: ალეშ ჩეჰი (გრაცერი, ავსტრია), საშო გაიზერი (გენტი, ბელგია), ამირ კარიჩი (მარიბორი), მირან პავლინი (პორტუ, პორტუგალია), ზორან პავლოვიჩი (დინამო, ზაგრები, ხორვატია), ჯონი ნოვაკი (სედანი, საფრანგეთი), რაიკო ტავკარი (ნიურნბერგი, გერმანია), ანტონ ზლოგარი (ნოვა გორიცა);*

*თავდამსხმელები: მილან ოსტერცი (ჰაპოელი, თელ ავივი, ისრაელი), მლადენ რუდონია (პორტსმუთი, ინგლისი), ერმინ შილიაკი (სერვეტი, შვეიცარია), საშო უდოვიჩი (ლინცერი, ავსტრია)*

# კანზე სასარგებლო არავინაა

ავტორიტეტულმა გერმანულმა გამოცემამ „კიკერმა“ გერმანიის ნაკრებისა და მიუნხენის „ბაიერნის“ მეკარე ოლივერ კანი ბუნდესლიგის ყველაზე სასარგებლო ფეხბურთელად მიიჩნია.



ოლივერ კანი

„კიკერმა“ გამოანგარიშების საკმაოდ რთული მეთოდიკა აირჩია, რომლითაც გაითვალისწინა გერმანიაში მოთამაშე ფეხბურთელების ინდივიდუალური ოსტატობა, ტაქტიკური მომზადება, გამძლეობა, პროფესიონალიზმი და სატრანსფერო ღირებულება. შედეგად ოლივერ კანს ბუნდესლიგაში ყველაზე მაღალი მაჩვენებელი — 92,1 პროცენტი აღმოაჩნდა.

### ბუნდესლიგის საუკეთესო ათეული „კიკერის“ მიხედვით

| | |
|---|---|
| 1. ოლივერ კანი (ბაიერნი) | 92.1 % |
| 2. ემერსონი (ლევერკუზენი) | 90.5 |
| 3. იენს ნოვოტნი (ლევერკუზენი) | 90.1 |
| 4. ზე რობერტო (ლევერკუზენი) | 87.2 |
| 5. იური ჯორკაეფი (კაიზერსლაუტერნი) | 86.2 |
| 6. შტეფან ეფენბერგი (ბაიერნი) | 85.3 |
| 7. ჰანს იორგ ბუტი (ჰამბურგი) | 85.2 |
| 8-9. რობერტო პაულო რინკი (ლევერკუზენი) | 84.8 |
| 8-9. მეჰმეთ შოლი (ბაიერნი) | 84.8 |
| 10. ნიკო კოვაჩი (ჰამბურგი) | 84.6 |

*შენიშვნა:* ბრაზილიელი ემერსონი მომავალ სეზონიდან იტალიურ „რომაში“ ითამაშებს, მაგრამ რაკი შედეგები წინა სეზონის გათვალისწინებით არის დათვლილი, ის ლევერკუზენელადაა მოხსენიებული.

# ვენგერს ვერ გაუგია

ამ ცხელ ზაფხულში ყველა კლუბი, დიდი თუ პატარა, ახალი ფეხბურთელების ძიებითაა დაკავებული და თავისასაც აღწევენ.

ლონდონურ „არსენალს“ არ უმართლებს. ინგლისის ვიცე-ჩემპიონმა მარკ ოვერმარსი და ემანუელ პეტი გაყიდა. მათი შემცვლელები კი ჯერაც ვერ დაუგულებია. არადა, რაღაა დარჩენილი პრემიერლიგის დაწყებამდე, სულ რაღაც ათიოდე დღე. არა, არსენ ვენგერმა ორი სასურველი ფეხბურთელი შეარჩია, მაგრამ რად გინდა, ორივეს ტრანსფერი ბოლო წამს ჩაეშალა. ჯერ იყო და, ბრაზილიელი ედუ ბრიტანეთში არ შეუშვეს, მისი პასპორტი ყალბი აღმოჩნდა, ახლა კიდევ სილვენ ვილტორდი.

„არსენალი“ ფრანგში რვა მილიონ გირვანქას იხდიდა. ფეხბურთელიც კმაყოფილი ჩანდა და მისი კლუბი „ბორდოც“ გარიგებაზე ყაბულს იყო, მაგრამ ბოლოდროინდელი საარაკო ტრანსფერებით თავბრუდახვეულმა ბორდოელებმა შეთავაზებული რვა მილიონი იცოტავეს და ვილტორდის ფასს შვიდი მილიონი გირვანქა წაუმატეს.

„არსენალს“ 15 მილიონი როგორ არა აქვს, მაგრამ არსენ ვენგერი გაოცებული კითხულობს: „ღირს კი ვილტორდი ამდენი? და საერთოდ, რა ხდება სატრანსფერო ბაზარზე, ვინ აღებს ფეხბურთელებს ამხელა ფასს?“

არსენ ვენგერის კითხვა რიტორიკულს უფრო ჰგავს. საეჭვოა, ვინმეს პასუხი ჰქონდეს.

# კარგი ფეხბურთელები, ცუდი ტაქტიკა

## კევინ კიგანს ჯვაროსნულ ლაშქრობაში ალან შირერი ვერ გაჰყვება



კევინ კიგანი

**ახლა** ან არასდროს — დაახლოებით ასეა კევინ კიგანის საქმე. ევრო 2000-დან სამარცხვინოდ გავარდნის შემდეგ ინგლისის ნაკრების მწვრთნელი ამბობს: „თუ მომავალ მსოფლიოს ჩემპიონატზეც იგივე განმეორდა, ინგლისი ჩიხში მოექცევა, რომლიდან გამოსვლასაც ძალიან დიდი ხანი ველარ შეძლებს“. ამიტომაც კიგანი კორეა-იაპონიისთვის ისევე ემზადება, როგორც მისი წინაპრები ჯვაროსნული ლაშქრობებისთვის.

ევროპის ჩემპიონატის მერე მთელი ინგლისი ალაპარაკდა, ნაკრების შემადგენლობა და სამწვრთნელო შტაბი სერიოზულ განახლებას საჭიროებსო. კევინ კიგანი ამ მოსაზრებას არ ეთანხმება, თუმცა ერთი ცვლილების გაკეთება მაინც მოუწევს, ოღონდ იძულებით. ევრო 2000-ის მერე სანაკრებო კარიერა დაასრულა ალან შირერმა, ფეხბურთელმა, რომელიც მრავალი წელი ნაკრების უდავო ლიდერი იყო. ახლა ინგლისის ნაკრებს ახალი, შირერის შემდგომი ეპოქა უდგება.

ვინ შეცვლის შირერს? კევინ კიგანის თქმით, ის არ აპირებს იმ ფეხბურთელთა ნაკრებიდან გაშვებას, რომლებმაც ევროპის პირველობაზე თავი შეირცხვინეს. ბოლო შანსი ყველას უნდა მისცე — ასეთია კიგანისეული მსოფლმხედველობა. რაც შეეხება ნაკრების შეტევის ხაზს, იქ მაიკლ ოუენი და ემილ ჰესკი შეწყვილდებიან. არ არის გამორიცხული, რომ მწვრთნელმა ეს დუეტი ტრიოდ აქციოს და მათ მანჩესტერელი ენდი კოული დაუმატოს, ვინაც ევროპის პირველობა ტრავმის გამო გამოტოვა. ყოველ შემთხვევაში, კიგანს მიაჩნია, რომ შემადგენლობაზე მეტად ნაკრების სათამაშო სქემაა შესაცვლელი. მოსალოდნელია, რომ შემოდგომაზე გასამართ შეხვედრებში (ამხანაგური საფრანგეთთან და მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ციკლის მატჩები გერმანიასთან და ფინეთთან) კიგანი ძველი 4-4-2 სქემის ნაცვლად მეტოქეებს ახლებურ წყობას შესთავაზებს.

ძველი ფეხბურთელები, ახალი სისტემა — ამის თაობაზე მწვრთნელი ამბობს: „კრივში ხშირად ხდება, მოკრივე ბაგირთან არის მიმწყვდეული, მაგრამ ერთ, უძლიერეს დარტყმას ახერხებს და ბრძოლას იგებს. მსურს, რომ სწორედ ასეთ მოკრივედ ვიქცე. ევროპის ჩემპიონატი ჩვენთვის მტკივნეული გაკვეთილი იყო. ვფიქრობ, ინგლისის ნაკრების წარუმატებლობის მთავარი მიზეზი გახდა ის, რომ ფეხბურთელები პრემიერლიგაში სხვა ფეხბურთს თამაშობდნენ, ნაკრებში კი სულ სხვა სტილით მოუხდათ თამაში“.

კევინ კიგანზე საუბარი ჯვაროსნული ლაშქრობით დავიწყეთ, რომლის მოწყობასაც ის კორეა-იაპონიაში გეგმავს. თუმც შესაძლოა მან იქამდე ვერც ჩააღწიოს. დიდი ალბათობაა იმისა, რომ კიგანის კარიერა ნაკრების პირველივე წაფორხილებამ შეიწიროს.

**გიორგი დარჯანია**



რაული და ლუიშ ფიგუ

# ითამაშა

ლუიშ ფიგუმ „ბარსელონადან“ „რეალში“ სენსაციური გადასვლისა და არნახული აჟიოტაჟის შემდეგ, როგორც იქნა, პირველი შეხვედრა ჩაატარა. ეს 5 აგვისტოს მოხდა, მიუნხენში „ბაიერნის“ ასწლოვანი იუბილესადმი მიძღვნილ ოთხთა ტურნირზე, „რეალი“ — „გალათასარაის“ მატჩში.

„პირველი შეხვედრა ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანი იყო — ამბობს ფიგუ — მიუხედავად იმისა, რომ ახალ თანაგუნდელებს ჯერ ბოლომდე ვერ შევეწყვე, თამაში გამომივიდა. მოედანზე ისეთ სიმსუბუქეს ვგრძნობდი, თავადაც გამიკვირდა.“

„რეალის“ თეთრი მაისურა რომ გაცვიათ, რაიმე განსაკუთრებული გრძნობა ხომ არ გეუფლებოდათო — ჰკითხეს ფიგუს. არ ვიცი. ყოველ შემთხვევაში, ამაზე საუბარი აღარ ღირს, მოსახდენი მოხდაო — უპასუხა პორტუგალიელმა. თუმცა მაისურის ფერსა და დიზაინზე მნიშვნელოვანი სხვა რამეა — ფიგუს და რაულის სუპერწყვილი. ფიგუ ქომაგებს აიმედებს: „სეზონის დაწყებისას მე და რაულს უსიტყვოდ უნდა გვესმოდეს ერთმანეთის. ჯერჯერობით ყველაფერი კარგადაა. მასთან ერთად თამაში უდიდეს სიამოვნებას მანიჭებს. რაული დიდი ფეხბურთელია, ამიტომ მისი გაგება ჩემთვის პრობლემა არაა.“

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ბოკშიჩს ბრიტანეთისკენ გზა გაუხსნეს



ალენ ბოკშიჩი (№8)

ბრიტანეთის შრომის დეპარტამენტმა ალენ ბოკშიჩს ინგლისში მუშაობის ნება დართო. ამრიგად, გადაწყდა, რომ ხორვატი ფორვარდი „ლაციოდან“ „მიდლსბროში“ გადავა და კარიერას პრემიერლიგაში გააგრძელებს. „მიდლსბრო“ რომაულ კლუბს სანაცვლოდ 2,5 მილიონ გირვანქას გადაუხდის. იმედოვნებენ, რომ ფეხბურთელი ახალ კლუბს პრემიერლიგის პირველივე ტურიდან დაეხმარება. ეს კი 19 ეგვისტოს მოხდება, როცა „მიდლსბრო“ „ქოვენთრის“ ესტუმრება.

ბოკშიჩისთვის სამუშაო ვიზის გაცემა ოდნავ შეფერხდა, რადგან ფეხბურთელს ეროვნულ ნაკრებში მატჩების საკმარისი რაოდენობა არ ჩაეტარებინა, მაგრამ ბოლოს ყველაფერი „მიდლსბროსთვის“ სასიკეთოდ გადაწყდა, ფეხბურთელს ნაბა დართეს, ინგლისში ეთამაშა.

„ბოკშიჩი მსოფლიოში ერთ-ერთი საუკეთესო ფორვარდია“ — განაცხადა ინგლისური კლუბის თავკაცმა ბრაიან რობსონმა და იქვე უარყო ხმები, თითქოს „მიდლსბრო“ ხორვატისთვის პრემიერლიგაში სარეკორდო ხელფასის, კვირაში 63 ათასი გირვანქის გადახდას აპირებდეს — „არც კი ვიცი, ასეთ ჭორებს საიდან იგონებენ, გავრცელებული ინფორმაცია უბრალოდ სასაცილოა.“

ბოკშიჩი „რივერსაიდ სტედიუმზე“ რიგით მეექვსე ახალწვეულია. ბრაიან რობსონმა სეზონის დაწყებამდე სატრანსფერო ბაზარზე იაქტიურა, მადრიდის „რეალიდან“ ფრანგი მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონი კრისტიან კარემბუ გადაიბირა. „მიდლსბროში“ ავსტრალიელი პოლ ოკონი კიდევ სამი ახალშემატებული ითამაშებს.

ნიკა შუბლაძე

# მოგზაურობა გრანდ კლუბებში

ალბათ, ძალიან ცოტაა ისეთი ფეხბურთელი, ვისაც მცირე ხნის განმავლობაში სამი გრანდი კლუბის მაისურა მოურგია. ანჯელო პერუცი ერთ-ერთი მათგანია. მეკარემ „იუვენტუსსა“ და „ინტერში“ მოასწრო თამაში. ახალი სეზონიდან კი „ლაციოს“ ღირსებას დაიცავს. მკითხველისთვის ინტერესს მოკლებული არ უნდა იყოს პერუცის აზრი იტალიის ჩემპიონატზე და თანამედროვე იტალიური ფეხბურთის ორ თვალსაჩინო მწვრთნელზე — მარჩელო ლიპისა და სვენ გორან ერიკსონზე. პირველთან ერთად ანჯელომ „იუვენტუსსა“ და „ინტერში“ ილვანა, მეორის გუნდში თამაში კი ახლა მოუწევს.



ანჯელო პერუცი

**— იტალიის ერთი სახელიანი გუნდიდან მეორეს მიაშურეთ, „ინტერიდან“ „ლაციოში“ გადახვედით, მილანური კლუბიდან წასვლას ადრეც აპირებდით?**

— სიმართლე გითხრათ, როცა „ინტერში“ ვთამაშობდი, იქიდან წასვლაზე ბევრს არც ვფიქრობდი, მაგრამ „ლაციოდან“ შემოთავაზება მივიღე და რომში გადასვლაზე დავთანხმდი. ეს კლუბი იტალიის ჩემპიონია და ძალიან ძლიერი ფეხბურთელებითაა დაკომპლექტებული.

**— რომში გადმოსვლა, ალბათ, იმანაც განაპირობა, რომ სახლთან ახლოს იქნებით...**

— დიახ, ასეა, რომში გადმოსვლა ვამჯობინე, ახლა ოჯახთან ყოფნით გულს ვიჯერებ. „ლაციოს“ ბაზა „ფორმელო“ იქვეა, საშუალება მექნება, მეტი დრო დავუთმო ცოლსა და შვილს, რომელიც ახლა სკოლაში შედის... მილანიდან ძნელი იყო ყველაფრის მოგვარება.

**— „ლაციო“ ახლა მწვერვალზეა, ან საცაა დაიპყრობს მას...**

— ნამდვილად ვგრძნობ, რომ დიდ გუნდში ჩავირიცხე. მართალია, სუსტი კლუბიდან არ მოვსულვარ, მაგრამ „ლაციოში“ სხვანაირი განწყობა და ატმოსფერო სუფევს.

**— ლიპისა და ერიკსონზე გკითხავთ. მარჩელო ლიპისთან ერთად მრავალი წელი გაგიტარებიათ, „იუვენტუსშიც“ მასთან იყავით და „ინტერშიც“, სვენ გორან ერიკსონთან კი მხოლოდ ახლა ამყარებთ ურთიერთობას. თუ შეგიძლიათ შეადაროთ ეს ორი მწვრთნელი?**

— მართალია, ცოტა ხანია, რაც ერიკსონს გავეცანი, მაგრამ მასა და ლიპის შორის განსხვავება უკვე შევნიშნე, თანაც ყველაფერი ძალიან თვალშისაცემია. ამ ორ სპეციალისტს მუშაობის სულ სხვადასხვა სტილი აქვს. ლიპი ვარჯიშის დროს მეტ ყურადღებას ფიზიკურ მომზადებას უთმობს, თუმცა... ამას არც ერიკსონი უარყოფს. ერთსაც დავძენ — ორივე დიდი მწვრთნელია.

**— ელით თუ არა, რომ ახალ სეზონში „ლაციოსთან“ ერთად დიდ წარმატებებს მიაღწევ?**

— ასე რომ არ იყოს, აქ გადმოსვლაზე, ალბათ არც დავთანხმდებოდი. გუნდი იტალიის ჩემპიონია, ბუნებრივია, წლეულს უფრო მეტს ისახავს მიზნად. ევროსარბიელზეც უნდა გამოვიჩინოთ თავი, ძალიან მინდა, საერთო საქმეში მეც შევიტანო წვლილი.

**— მეკარე დაცვაზე ძალიანაა დამოკიდებული, თქვენს წინ კი ალესანდრო ნესტამ უნდა ითამაშოს. ეს, ალბათ, ბევრს ნიშნავს.**

— მეკარე და დაცვა მართლაც განუყოფელია. გოლკიპერისთვის უმთავრესი დაცვის ხაზის სიძლიერეა. „ლაციოს“ უკანა ხაზი კარგადაა დაკომპლექტებული, განსაკუთრებით კი ნესტას გამოვყოფდი. ის მსოფლიოში ერთ-ერთი უძლიერესია.

**— დაბოლოს, რომაულ დერბიზეც გვითხარით...**

— გულშემატკივარმა უნდა იცოდეს, რომ ნებისმიერი თამაში სამი ქულაა, მთავარი კი საერთო წარმატებაა. მართალია, დერბის მოგება ჩინებულია, მაგრამ ჩემპიონობას მაინც ვერაფერი შეედრება.

თარგმნა ნიკა შუბლაძემ

# ტრავმა ლოგინში, სილა სახეში

## ინგლისი

„ᲓᲐᲕᲬᲔᲥᲘ, დავიძინე. როცა გავიღვიძე, მუხლის ტრავმა აღმომაჩნდა“ — იური ნიკულინის გმირისა არ იყოს, ინგლისური პრემიერლიგის მთავარი მეგოლე კევინ ფილიპსი ასე აღწერს უცნაურ ტრავმას, რომელიც საფრანგეთის შეკრებაზე მიიღო — „შესაძლოა, ძილში მუხლი უ'ხერხულად ამომიტრიალდა. უცნაურია, მაგრამ რა გაეწყობა“. „სანდერლენდის“ ექიმების თქმით, დაზიანება არცთუ უმნიშვნელოა და თავდამსხმელს ორი კვირით დასვენება მოუწევს. შედეგად, ფილიპსი პრემიერლიგის პირველ მატჩს გამოტოვებს, არადა: „ბავშვობიდან „არსენალი“ ჩემი საყვარელი გუნდი იყო და მასთან ყოველთვის ხალისით ვთამაშობ. სამწუხაროდ, სწორედ ლონდონელებთან ვერ ვითამაშებ“ — ჩივის ფორვარდი.



დევიდ მეის ისეთი სთხლიშეს, თმები ყალყზე დაუდგა

სანამ გასული სეზონის საუკეთესო ბომბარდირს „ტკბილად“ ეძინა, ბეიბიგოლი ანუ მაიკლ ოუენი ბელფასტის ტურნირზე ლისაბონის „ბენფიკის“ კარს უტევდა და შედეგიანადაც: მეორე ტაიმში მარკუს ბაბელის მარჯვნიდან ჩაწოდებული ბურთი პორტუგალიელთა კარის მაღალ კუთხეში ჩააჭედა.

ამ გოლით „ლივერპული“ შეხვედრაში მეორედ დაწინაურდა, მაგრამ მერსისაიდელთა კარში გატანილი პირველი გოლის ავტორმა, ჩეხმა კარელ პობორსკიმ ოუენზე არანაკლები სილამაზისა შეაგდო და საბოლოო შედეგიც დააფიქსირა — 2:2.

მატჩი საწვრთნელი კი გახლდათ, მაგრამ „ლივერპულის“ თავკაცმა ჟერარ ულიემ გუნდს მთელი ძალით თამაში მოსთხოვა, შემადგენლობაც უძლიერესი გამოუშვა, თუ ტურნირის წინა შეხვედრაში ტრავმირებულ რობი ფაულერს არ ჩავთვლით. ფლობდნენ კიდეც ინგლისელები უპირატესობას, მაგრამ არც „ბენფიკა“ იყო უქმად. პირველი გოლი ტიტი კამარამ გაიტანა „ქოვენთრიდან“ ნაყიდი გარი მაკალისტერის პასით. 36 წელს მიახლოვებულმა ვეტერანმა ბევრი სხვა რამ სასიკეთოც აკეთა და მიმომხილველებს ათქმევინა, ორივე გუნდში ერთ-ერთი საუკეთესო იყოო.

ოუენი კი... მან ჩინებულად ჩაატარა მეორე ტაიმი და დაამტკიცა, რომ ახალი სეზონისთვის სრულ მზადყოფნაშია.

თავისი საქმე არც ერთ დროს მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელს, ჟორჟ ვეას დავიწყებია: „მანჩესტერ სიტის“ შემადგენლობაში დებიუტი ლიბერიელმა გოლით აღნიშნა, თუმცა თავად მატჩი „სტოკპორტთან“ ჯო როილის გუნდისთვის უილბლო გამოდგა — დაბალლიგელმა მასპინძლებმა 4:1 იმარჯვეს.



თემურ ქეცბაიას ახალი პარტნიორი, საუდელი სამი ალ ჯაბერი

პირველი ევერტონული გოლით გაიხარა პოლ გესქოინმა, ვინც „პლიმუტთან“ 5:0 მოგებულ შეხვედრაში ერთხელ თავად ჩააგდო, ორჯერ კი ამერიკელ ჯო-მაქს მურს გაატანინა. ჩააგდოო, არ გაგიკვირდეთ — გაზამ 27-ე წუთზე მეტოქის მეკარის კარის ხაზიდან ოდნავ გამოსვლა შენიშნა და ბურთი თავს ზემოთ გადაუგდო. კიდევ ორი გოლი ექს-არსენალელი სტივენ ჰიუზისა და ალექს ნიარკოს ანგარიშზეა. „გესქოინი გუნდში იმიტომ მოვიყვანე, რომ ვიცოდი — განსხვავებულ რამეებს შეგვმატებდა. ჰოდა, დღეს ეს რამეებიც გვიჩვენა“ — ხარობდა „ევერტონის“ მწვრთნელი უოლტერ სმიტი.

კარგ ხასიათზე იდგა „ვესტ ჰემის“ მწვრთნელი ჰარი რედნაპიც — „ბარნეტთან“ 4:3 მოგებულ შეხვედრაში ლონდონელთა და საერთოდ, მთელი ინგლისის იმედმა, 18 წლის ჯო კოულმა ერთი გოლითა და უზადო თამაშით ყველას უჩვენა, რომ შარშანდელ მძიმე ტრავმას თავი დააღწია. კვირას „ჩაქუჩები“ ბოლო საწვრთნელ მატჩს ბილბაოს „ატლეტიკთან“ გამართავენ.

კვლავ წააგო ქეცბაიას აწ უკვე ყოფილმა „ნიუკასლმა“. როტერდამის იმ სტადიონზე, სადაც ფრანგებმა იტალიელების 2:1 ძლევით ევროპის ჩემპიონობა მოიპოვეს, ჯორდები ამავე ანგარიშით „ფეიენოორდთან“ დამარცხდნენ.

ქეცბაიას ახალმა გუნდმა „ვულვერჰემპტონმა“ კი ორშაბათს სამოყვარულო „უორჩესტერთან“ გაივარჯიშა და 2:2 ითამაშა. თემური ჯერ მუშაობის უფლებას ელის და არ უთამაშია. სამაგიეროდ, „მგლების“ კიდევ ერთმა ახალწვეულმა, საუდელმა არაბმა სამი ალ ჯაბერმა თავის ინგლისურ გოლებს სათავე პირველივე მატჩში დაუდო.

დაბოლოს — როგორ იქნებოდა, ორსამ დღეს ისე ჩაევლო, ინგლისელი ფეხბურთელები რაიმე შარში არ გახვეულიყვნენ. ამჯერად მცირე უსიამოვნება „მანჩესტერ იუნაიტედის“ მცველ დევიდ მეის შეემთხვა. კუნძულ მალტაზე მყოფი ინგლისის ჩემპიონი დღეს იქ საწვრთნელ მატჩს ითამაშებს, გუშინწინ კი...

ღამის კლუბ „ჰავანაში“ მყოფი ადგილობრივი გოგოები ლამის შეირყნენ, როცა ნაშუაღამევს ლამის მთელი „იუნაიტედი“, კაპიტან როი კინის გამოკლებით, ამ დაწესებულებას ესტუმრა. გაჩაღდა სმა და რამე. დუაიტ იორკი ხან ცეკვავდა, ხანაც ბარმენის მოვალეობას ასრულებდა. და ამ დროს უცნობი ქერა გოგონა რატომღაც სწორედ მეის მიეჭრა და, თვითმხილველთა თქმით, სახეში ისეთი სთხლიშა, ლუდის ბოთლი ხელიდან გააგდებინა. დაზარალებული ძმაკაც ნიკი ბათს გაურიდებია შემთხვევის ადგილიდან...

გიგა კობახიძე

## ამხანაგური მატჩები

16 აგვისტო

**საფრანგეთი — ფიფას ნაკრები**

*საფრანგეთი:*

*მეკარეები: ფაბიენ ბარტეზი (მანჩესტერ იუნაიტედი, ინგლისი), ბერნარ ლამა (რენი), ულრიხ რამე (ბორდო);*

*მცველები: ლორან ბლანი (ინტერი, იტალია), ვენსან კანდელა (რომა, იტალია), მარსელ დესაი (ჩელსი, ინგლისი), ფრანკ ლებეფი (ჩელსი, ინგლისი), ბიქსენტ ლიზარაზუ (ბაიერნი, გერმანია), ლილიან ტურამი (პარმა, იტალია);*

*ნახევარმცველები: დიდიე დეშანი (ვალენსია, ესპანეთი), იური ჯორკაეფი (კაიზერსლაუტერნი, გერმანია), კრისტიან კარამბუ (მიდლსბრო, ინგლისი), იოან მიკუ (პარმა, იტალია), ემანუელ პეტი (ბარსელონა, ესპანეთი), პატრიკ ვიეირა (არსენალი, ინგლისი), ზინედინ ზიდანი (იუვენტუსი, იტალია);*

*თავდამსხმელები: ნიკოლა ანელკა (პარი სენ ჟერმენი), კრისტოფ დიუგარი (ბორდო), ტიერი ანრი (არსენალი, ინგლისი), რობერ პირესი (არსენალი, ინგლისი), დავიდ ტრეზეგე (იუვენტუსი, იტალია), სილვენ ვილტორდი (ბორდო)*

*ფიფა:*

*მეკარეები: ანდრეას კიოპკე (გერმანია), ჟაკ სონგო (კამერუნი);*

*მცველები: ალდაირი (ბრაზილია), ხალიდ მუსად ალ მუვალადი (საუდეთი), ჩირო ფერარა (იტალია), ჯერემი ნჯიტაპი (კამერუნი), სალიუ ლასისი (კოტ დივუარი), პიერ ნჯანკა (კამერუნი), რიგობერტ სონგი (კამერუნი), პაბლო ტიამი (გვინეა), ფრანკ ვერლაატი (ჰოლანდია), არონ ვინტერი (ჰოლანდია);*

*ნახევარმცველები: სანგ ჩულ იო (სამხრეთ კორეა), მაოჟენ სუ (ჩინეთი), ფერნანდო რედონდო (არგენტინა), ჰიდეტოში ნაკატა (იაპონია), ნასიმენტუ ლეონარდო (ბრაზილია), კარლოს დუნგა (ბრაზილია), მარიო ბასლერი (გერმანია), ზუბეირ ბაია (ტუნისი);*

*თავდამსხმელები: სონი ანდერსონი (ბრაზილია), რობერტო ბაჯო (იტალია), შაბანი ნონდა (ბურუნდი), ჟორჟ ვეა (ლიბერია)*

**ისლანდია — შვედეთი**

*შვედეთი:*

*მეკარეები: მაგნუს ჰედმანი (ქოვენთრი სიტი, ინგლისი), მაგნუს კილშტედტი (ბრანი, ნორვეგია);*

*მცველები: პატრიკ ანდერსონი (ბაიერნი, გერმანია), იოაკიმ ბიორკლუნდი (ვალენსია, ესპანეთი), ტედი ლუკიჩი (აიკ), ოლოფ მელბერგი (რასინგი, ესპანეთი), როლანდ ნილსონი (ჰელსინგბორგი);*

*ნახევარმცველები: ნიკლას ალექსანდერსონი (ევერტონი, ინგლისი), დანიელ ანდერსონი (ბარი, იტალია), ანდერს სვენსონი (ელფსბორგი), ჰაკან მილდი (გიოტებორგი), ფრედერიკ ლიუნგბერგი (არსენალი, ინგლისი), მაგნუს სვენსონი (ბრონდბიუ, დანია);*

*თავდამსხმელები: მარკუს ოლბოკი (იორგრიტე), კენეტ ანდერსონი (ფენერბაჰჩე, თურქეთი), იკსელ ოსმანოვსკი (ბარი, იტალია)*

**გერმანია — ესპანეთი**

*გერმანია:*

*მეკარეები: ოლივერ კანი (ბაიერნი), იენს ლემანი (ბორუსია, დორტმუნდი);*

*მცველები: ფრანკ ბაუმანი (ვერდერი), თომას ლინკე (ბაიერნი), იენს ნოვოტნი (ბაიერი, ლევერკუზენი), მარკო რემერი (ჰერტა);*

*ნახევარმცველები: მიხაელ ბალაკი, კარსტენ რამელო (ორივე ბაიერი, ლევერკუზენი), შტეფან ბაინლიხი, სებასტიან დაისლერი, დარიუშ ვოში (ყველა ჰერტა), დიტმარ ჰამანი (ლივერპული, ინგლისი), იორგ ჰაინრიხი (ბორუსია, დორტმუნდი), იენსი იერემისი, მეჰმეთ შოლი (ორივე ბაიერნი);*

*თავდამსხმელები: მარკო ბოდე (ვერდერი), კარსტენ იანკერი, ალექსანდერ ციკლერი (ორივე ბაიერნი), ოლივერ ნოივილი, რობერტო პაულო რინკი (ორივე ბაიერი, ლევერკუზენი)*

# ვალდერამას ოცნება

38 წლის ვეტერან კოლუმბიელ ფეხბურთელ კარლოს ვალდერამას, რომელიც კარგი თამაშის გარდა ექსტრავაგანტური ვარცხნილობითაც გვახსოვს, ორი ოცნება აქვს. ერთი მწვრთნელის ლიცენზიის მიღებაა, რაც, ვფიქრობთ, მისთვის მიუღწეველი არ უნდა იყოს. ლიცენზიას რომ ავიღებ, მეორე სურვილსაც ავისრულებო, ამბობს ვალდერამა და დაუჟინია, ადრე თუ გვიან კოლუმბიის ნაკრების მწვრთნელი გავხდებიო.

როგორი მწვრთნელი იქნება ვალდერამა, წინასწარ, აბა, საიდან გვეცოდინება. თუმცა საფიქრებელია, რომ მისეული კოლუმბიის ნაკრები უფრო სანახაობრივ, შემტევ ფეხბურთს ითამაშებს, ვიდრე ახლა ლუის გარსიას ხელში. ამგვარი მოსაზრების საფუძველს კი თავად ვეტერანი ფეხბურთელის გამონათქვამი გვაძლევს: „მართალია, გარსიამ რალაც შედეგებს მიაღწია, მაგრამ კოლუმბიის ნაკრებმა ახალი თაყვანისმცემლები ვერ შეიძინა. უსახურ, დაცვით ფეხბურთს ვთამაშობთ და იმიტომ. ეს ძალიან სახიფათოა. ჯერჯერობით, სანამ შედეგი დამაკმაყოფილებელია, ქომაგები იძულებული არიან, ჩუმად იყვნენ და პრეტენზიები არ გამოთქვან. მაგრამ როგორც კი გუნდი წააგებს, მწვრთნელი თავის მართლებას ველარაფრით შეძლებს."

თავად ვალდერამა კი გარსიას ხელმძღვანელობით თამაშს არ აპირებს და როგორც ალვნიშნეთ, ნაკრებში მხოლოდ მწვრთნელის ლიცენზიით ხელდამშვენებული დაბრუნდება.

## რუმინეთი

I ტური: ოცელული (გალატი) — არჯეში (პიტეშტი) 4:1; რაპიდი (ბუქარესტი) — პეტროლული (პლოეშტი) 3:1; უნივერსიტატეა (კრაიოვა) — ბრაშოვი 1:0; გაც მეტანი (მედიაში) — ჩაჰლაული (პიატრა ნეამტი) 3:0; ფორესტა (პალტიკენი) — გლორია (ბისტრიცა) 2:0; ასტრა (პლოეშტი) — როკარი (ბუქარესტი) 0:2; ნაციონალი (ბუქარესტი) — დინამო (ბუქარესტი) 1:3; სტიაუა (ბუქარესტი) — ბაკეუ 4:3



ფრანგულმა „ნანტმა" „არგენტინოს ხუნიორსიდან" 25 წლის ფორვარდი დიეგო ბუსტოსი ერთი სეზონით ითხოვა. თუმცა „ნანტის" პრეზიდენტის განცხადებით, არ არის გამორიცხული, ფეხბურთელი საბოლოოდ შეიძინოს. აღსანიშნავია, რომ ბუსტოსს „ნანტში" ადრეც უთამაშია, ამ კლუბში იგი 1997 წელს „ფერო კარილიდან" გადავიდა, მაშინ 22 შეხვედრა ჩაატარა და სამშობლოში დაბრუნდა. ბუსტოსს ახალ გუნდში თანამემამულე ნესტორ ფაბრი დახვდება, რომელიც „ნანტმა" „ბოკა ხუნიორსიდან" გადაიბირა.

**ბელგიელი თავდამსხმელი ტონი ბრონო კარიერას, ალბათ, „სედანში" გააგრძელებს. სააგენტოების ცნობით, ფრანგულმა კლუბმა „ვესტერლოსთან" უკვე მიაღწია შეთანხმებას და ფეხბურთელს თავისთან გადაიყვანს. ბრონომ ბელგიის ჩემპიონტის წინა სეზონში 30 გოლი გაიტანა. მას კიდევ ერთი ფრანგული კლუბი, „მეცი" ეპატიჟებოდა, მაგრამ ტრანსფერი ჩაიშალა. ფორვარდმა „ვესტერლოსთან" კონტრაქტის გაგრძელება არ ისურვა და კლუბის გამოცვლა არჩია. გავრცელდა ინფორმაცია, რომ „სედანი" ბელგიურ გუნდს ბრონოს სანაცვლოდ 1,2 მილიონ დოლარს გადაუხდის.**

შოტლანდიური „დანდი იუნაიტედის" მწვრთნელად დროებით ალექს სმიტი დაინიშნა. შეგახსენებთ, რომ ეს პოსტი ცოტა ხნის წინ პოლ სტაროკმა დატოვა, მას შემდეგ, რაც გუნდმა ახალ სეზონში ზედიზედ ორი შეხვედრა წააგო. სტაროკი „დანდი იუნაიტედს" 1998 წლის შემდეგ ავარჯიშებდა, მანამდე კი ამ კლუბში 16 წელიწადი — 1973-დან 1989 წლამდე თამაშობდა. 1983 წელს იგი შოტლანდიის ჩემპიონი გახდა, ხოლო 1987-ში უეფას თასის ფინალში გავიდა. სტაროკმა ნაკრებში 20 მატჩი ჩაატარა. ახალი თავკაცი სმიტი კი გუნდში მისვლამდე შოტლანდიის 21-წლამდე ნაკრებს ხელმძღვანელობდა. 61 წლის სპეციალისტმა 1990 წელს „აბერდინს" შოტლანდიის თასი მოაგებინა.

**რუსეთის „ჩემპიონ" სპარტაკის ორ ფანს ჩადენილი კანონდარღვევისთვის სამართალდამცავებთან მოუწევს საქმის გარკვევა. ისინი იქნებ დააპატიმრონ კიდეც. „ფაკელისა" და „სპარტაკის" მატჩის დროს, რომელიც მოსკოვურმა კლუბმა 0:1 წააგო, „სპარტაკის" საქომაგოდ ჩასულმა ფანებმა იხულიგნეს და ვორონეჟის სტადიონის მახლობლად მაღაზიების ვიტრინები და მანქანის მუშები ჩაამსხვრიეს. პოლიციამ 200-მდე გულშემატკივარი დააკავა, თუმცა მოგვიანებით ორის გარდა ყველა გაუშვა. დაპატიმრებულთა სახელებს არ აცხადებენ, ისე კი ცნობილია, რომ მათ სამ წლამდე თავისუფლების აღკვეთა ელით.**

გერმანიის ნაკრების ყოფილ თავკაც ბერტი ფოგთსს სწამს, რომ ქვეყანაში ფეხბურთის ფეხზე დაყენება მხოლოდ ახალგაზრდა თაობის წარმოჩენითაა შესაძლებელი. „ახალგაზრდა ფეხბურთელები უნდა ვეძებოთ. წინააღმდეგ შემთხვევაში შესაძლოა გაცილებით უარეს სიტუაციაში აღმოვჩნდეთ. დღეს ბუნდესლიგის ბევრ კლუბებში ფეხბურთელთა უმრავლესობა ლეგიონერია. „შტუტგარტის" მაგალითს მოვიყვან, მის შემადგენლობაში 8 მოთამაშე უცხოელია, ეს გერმანული ფეხბურთის განვითარებას აფერხებს" — განაცხადა ფოგთსმა.

**თურქმა ნახევარმცველმა სერგენ იალჩინმა „ტრაბზონსფორთან" გააფორმა კონტრაქტი, ის ერთადერთი ფეხბურთელი იქნება, რომელსაც კარიერის მანძილზე „ბეშიქთაშში", „ფენერბაჰჩეში", „გალათასარაისა" და „ტრაბზონსფორში" უთამაშია, ოთხი უძლიერესი კლუბის გარდა სერგენი „ისთანბულსფორის" ღირსებასაც იცავდა. „სერგენ იალჩინი ჩვენ გუნდს დიდად წაადგება" — აცხადებს „ტრაბზონსფორის" თავკაცი გირეი ბულაქი.**



# გერმანიის ბუნდესლიგა 2000-2001. ყველა გუნდის განაცხადი

## ბაიერნი (მიუნხენი)

*მეკარეები*
- 1 ოლივერ კანი 31
- 12 შტეფან ვესელსი 21
- 22 ბერნდ დრეერი 33

*მცველები*
- 2 ვილი სანიოლი 23
- 4 სამუელ კუფური 23
- 5 პატრიკ ანდერსონი 28
- 10 ჩირიაკო სფორცა 30
- 25 თომას ლინკე 30
- 28 პატრიკ მოელცლი 19
- 29 სებასტიან ბეკერი 19

*ნახევარმცველები*
- 3 ბიქსენტ ლიზარაზუ 30
- 6 მიხაელ ვისინგერი 27
- 7 მეჰმეთ შოლი 29
- 8 თომას შტრუნცი 32
- 11 შტეფან ეფენბერგი 32
- 15 სლავომირ ვოიცეხოვსკი 26
- 16 იენს იერემისი 25
- 17 ტორსტენ ფინკი 32
- 18 მიხაელ ტარნატი 30
- 20 ჰასან სალიჰამიჯიჩი 23
- 23 ოუენ ჰარგრივსი 19
- 34 ენდრიუ სინკალა 20

*თავდამსხმელები*
- 9 ჯოვანი ელბერი 28
- 13 პაულო სერჟიო 31
- 19 კარსტენ იანკერი 25
- 21 ალექსანდერ ციკლერი 26
- 24 როკე სანტა კრუზი 18
- 26 ანტონიო დი სალვო 21
- 27 ბერქანტ გიოქთანი 19

*მწვრთნელი: ოტმარ ჰიცფელდი*

## ბაიერი (ლევერკუზენი)

*მეკარეები*
- 1 ადამ მატიშეკი 32
- 20 ფრანკ იურიჩი 26
- 22 პასკალ ცუბერბიულერი 29
- 31 ტომი შტარკე 19

*მცველები*
- 2 რობერტ კოვაჩი 26
- 5 იენს ნოვოტნი 26
- 6 ბორის ჟივკოვიჩი 24
- 14 ტორბენ ჰოფმანი 25

*ნახევარმცველები*
- 3 მარკო ბაბიჩი 19
- 4 იორგ რეები 28
- 7 რობსონ პონტე 23
- 13 მიხაელ ბალაკი 23
- 15 იურიკა ვრანიეში 20
- 16 ანდრეას ნოიენდორფი 25
- 17 პასკალ ოჯიგვე 23
- 18 ფრენკი ჰეიდუკი 26
- 19 ვრატისლავ გრეშკო 23
- 21 მარკინოში 18
- 25 ბერნდ შნაიდერი 26
- 28 კარსტენ რამელო 25
- 33 ანელ ჯაკა 19

*თავდამსხმელები*
- 8 ზე რობერტო 26
- 9 ულფ კირსტენი 34
- 11 პაულო რინკი 27
- 23 ტომას ბრდარიჩი 25
- 24 სეიდალი მუსავი 26
- 26 ლანდონ დონოვანი 18
- 27 ოლივერ ნოივილი 27
- 30 მარკუს დაუნი 19

*მწვრთნელი: კრისტოფ დაუმი*

## ჰერტა (ბერლინი)

*მეკარეები*
- 1 გაბორ კირალი 24
- 12 კრისტიან ფიდლერი 25
- 28 მიხაელ ეკარდი 21

*მცველები*
- 3 რუი მანუელ მარკეში 23
- 4 დიკ ვან ბურიკი 26
- 6 ეიოლფურ სვერისონი 32
- 14 იოსიპ სიმუნიჩი 22
- 33 მარკო რემერი 28

*ნახევარმცველები*
- 5 კოსტას კონსტანტინიდისი 27
- 10 დარიუშ ვოში 31
- 16 სიქსტენ ვაიტი 30
- 18 პალ დარდაი 24
- 19 ანდრეას შმიდტი 26
- 20 ენტონი სანე 29
- 21 მიხაელ ჰარტმანი 26
- 22 შტეფან ბაინლიხი 28
- 23 რენე ტრეტჩოკი 31
- 25 რობ მაასი 30
- 26 სებასტიან დაისლერი 20

*თავდამსხმელები*
- 7 ალექს ალვეში 25
- 9 ალი დაეი 31
- 11 მიხაელ პრეეცი 32
- 15 ბრაიან როი 30
- 24 კაი მიხალკე 24
- 29 პიორ რაისი 28
- 35 ბენჟამინ კოლერი 20

*მწვრთნელი: იურგენ რიობერი*

## მიუნხენ 1860

*მეკარეები*
- 1 მიხაელ ჰოფმანი 27
- 22 დანიელ ჰოფმანი 29
- 29 საიმონ იენჩი 24

*მცველები*
- 2 შტეფან პასლაკი 29
- 3 ნედ ზელიჩი 29
- 4 მარკო კურცი 30
- 5 ტომაშ ვოტავა 26
- 12 ფილიპ ტაპალოვიჩი 23
- 15 ჰოლგერ გრაილიხი 29
- 16 მარტინ შტრანცი 20
- 25 ახიმ პფუდერერი 24
- 26 მატე ლაკიჩი 19

*ნახევარმცველები*
- 6 რომან ტაისი 23
- 7 მარკუს პურკი 25
- 8 კრისტიან პროსენიკი 32
- 10 თომას ჰესლერი 34
- 13 ჰარალდ ჩერნი 26
- 14 ერიკ მიუკლანდი 29
- 17 დანიელ ბორიმიროვი 30
- 20 მარტინ ჩიჟეკი 26
- 23 თომას რიდლი 24
- 28 დანიელ ბაიროფკა 21

*თავდამსხმელები*
- 9 მარტინ მაქსი 32
- 11 ბერნდ ვინკლერი 34
- 18 პოლ აგოსტინო 25
- 19 მარკუს ბაიერლე 28
- 30 კრისტიან ფროილიხი 22
- 32 მარკუს შროტი 25

*მწვრთნელი: ვერნერ ლორანტი*

## ჰანზა (როსტოკი)

*მეკარეები*
- 1 მარტინ პიკენჰაგენი 28
- 21 დანიელ კლევერი 23
- 26 პერი ბროიტიგამი 37

*მცველები*
- 4 სვენ ბენკენი 30
- 5 ანდრეას იაკობსონი 27
- 6 ოლაფ ჰოლეჩეკი 32
- 8 ჰილმარ ვაილანდტი 32
- 14 კაი ოსვალდი 22
- 16 რეიკ შრიოდერი 25
- 20 რენე შნაიდერი 27
- 25 მარკო ცალმანი 32

*ნახევარმცველები*
- 2 ტიმო ლანგე 32
- 3 მოჰამედ ემარა 26
- 7 რენე რიდლევიჩი 27
- 12 იასერ რადვანი 28
- 17 მარკუს ლანცი 24
- 18 სლავომირ მაიაკი 31
- 19 მატიას ბრაიტკროიცი 29
- 23 კრისტიან ბრანდი 28
- 38 პეტერ ვიბრანი 31

*თავდამსხმელები*
- 9 აბდელაზიზ აჰინფუფი 22
- 10 კრეშო კოვაჩეკი 31
- 11 ჰენრი ფუხსი 30
- 15 მაგნუს არვიდსონი 27
- 27 შტეფან ბაუმგარტი 28

*მწვრთნელი: ანდრეას ცახჰუბერი*

## ჰამბურგი

*მეკარეები*
- 1 ჰანს იორგ ბუტი 26
- 23 კარსტენ ველმანი 28
- 32 თომას ჰილენბრანდი 20

*მცველები*
- 3 ანდრეი პანადიჩი 31
- 4 ინგო ჰერჩი 23
- 5 ნიკო იან ჰოოგმა 31
- 13 ანდრეას ფიშერი 25
- 25 ბენჟამინ კრუსე 22

*ნახევარმცველები*
- 6 იან სანდმანი 22
- 7 მარტინ გროთი 30
- 8 რონალდ მაული 27
- 10 თომას დოლი 34
- 11 ნიკო კოვაჩი 28
- 12 სტიგ ტოფტინგი 30
- 14 სერგი ბარბარესი 28
- 20 ბერნდ ჰოლერბახი 30
- 21 ჰარალდ შპიორლი 33
- 27 რუდოლფო კარდოზო 31
- 30 კრისტოფ ბაბაცი 25

*თავდამსხმელები*
- 7 ტონი იებოა 34
- 8 იაცეკ დემბინსკი 30
- 9 მარეკ ჰაინცი 23
- 15 მეჰდი მაჰდავიკია 23
- 16 ვაიდ ჰაშემიანი 24
- 19 სონერ იუსალი 22
- 20 კარსტენ ბერონი 27
- 22 როი პრეგერი 28
- 24 მაჰმუტ ილმაზი 30
- 26 მარინუს ბესდერი 27
- 28 მარსელ კეტელაერი 22
- 31 ვანია გრუბაჩი 29

*მწვრთნელი: ფრანკ პაგელსდორფი*

## ვოლფსბურგი

*მეკარეები*
- 1 კლაუს რაიტმაიერი 36
- 22 ჰოლგერ ჰაიმანი 32
- 30 შტეფან ლობოუ 18

*მცველები*
- 4 თომას ჰენგენი 26
- 5 ბრაიან ონილი 27
- 6 კლაუს ტომსენი 30
- 12 ვალდემარ კრიგერი 31
- 13 მარინო ბილიშკოვი 24
- 23 სვენ მიულერი 20

*ნახევარმცველები*
- 3 ფრანკ გრაინერი 34
- 7 პატრიკ ვაისერი 28
- 8 მარტინ ვაგნერი 32
- 10 კრიშტოფ ნოვაკი 24
- 14 დორინელ მუნტეანუ 32
- 15 ანდრეას ვოსი 21
- 18 დიტმარ კუჰბაუერი 29
- 24 ჩარლზ აკონორი 26
- 26 ზოლტან სებესკენი 24
- 27 საიმონ ფანერი 22
- 28 ბენჟამინ ზიგეტი 19
- 33 მარსელ მალტრიცი 21

*თავდამსხმელები*
- 9 ანჟეი იუსკოვიაკი 29
- 11 ტომისლავ მარიჩი 27
- 17 იურგენ რიშე 29
- 19 ჯონათან აკპობორი 31
- 20 მარკუს ფელდჰოფი 25
- 29 მაიკ ბუში 19

*მწვრთნელი: ვოლფგანგ ვოლფი*

## შტუტგარტი

*მეკარეები*
- 1 ტიმო ჰილდებრანდი 20
- 25 ალეს ჩვალოვსკი 20
- 28 ებერჰარდ ტროტნერი 33

*მცველები*
- 2 სილვიო მაისნერი 27
- 3 შტეფან ბლანკი 23
- 5 მარსელო ბორდონი 24
- 14 თომას შნაიდერი 27
- 21 იოხენ ენდრესი 27
- 24 მარტინ შპანრინგი 30
- 27 ტიმო ვენცელი 23
- 29 შტეფან დანგელმაირი 22

*ნახევარმცველები*
- 6 პაბლო ტიამი 26
- 7 კრისტიან ჯორჯევიჩი 24
- 8 იენს ტოდტი 30
- 10 კრასიმირ ბალაკოვი 34
- 12 ჰაიკო გერბერი 28
- 16 ბრედლი კარნელი 23
- 18 ჯუზეპე კატიცონე 23
- 20 ზვონიმირ სოლდო 32
- 22 კრისტიან ლისტეში 24
- 26 ანდრეას ჰინკელი 18
- 30 ალიაქსანდრ ჰლები 19
- 32 რუდიგერ კუფი 25
- 33 რობერტო პინტო 21
- 34 იორნ შმიდელი 21

*თავდამსხმელები*
- 9 პაველ კუკა 32
- 11 იონელ განეა 26
- 17 იოხენ ზაიცი 23
- 23 აჰმედ სალაჰ ჰოსნი 21
- 35 იოანის ამანატიდისი 18
- 36 შონ დანდი 27

*მწვრთნელი: რალფ რანგნიკი*

## ფრაიბურგი

*მეკარეები*
- 1 რიხარდ გოლცი 32
- 21 მანუელ შოპელი 19
- 24 ტიმო როისი 26

*მცველები*
- 2 დანიელ შუმანი 23
- 5 უმარ კონდე 19
- 13 შტეფან მიულერი 26
- 16 ლარს ჰერმელი 29
- 17 აბუბაქარ დიარა 21
- 25 მიკელე ბოროცინო 23

*ნახევარმცველები*
- 3 ლევან ცქიტიშვილი 23
- 4 ანდრეას ცაიერი 32
- 6 სებასტიან კელი 20
- 7 ზუბეირ ბაია 29
- 8 ბიორნ დრეერი 23
- 10 ლევან კობიაშვილი 23
- 12 რალფ კოლი 34
- 15 ფოლკერ ჰუგელი 20
- 20 ფერიდონ ზანდი 21
- 29 ტობიას ვილი 20
- 30 ისმაილ კულიბალი 22

*თავდამსხმელები*
- 9 ალექსანდრე იაშვილი 22
- 11 მარკო ვაისჰაუპტი 28
- 14 აბდერ რამდანე 26
- 18 მეჰდი ბენ სლიმანი 26
- 22 რეჟის დორნი 20
- 23 ფლორიან ბრუნსი 20
- 32 ადელ სელიმი 27

*მწვრთნელი: ფოლკერ ფინკე*

## უნტერჰახინგი

*მეკარეები*
- 1 იურგენ ვიტმანი 33
- 28 გერჰარდ ტრემელი 21
- 30 გვიდო კოლტერმანი 25

*მცველები*
- 2 ალექსანდრ შტრემელი 32
- 4 რალფ ბუხერი 28
- 6 იორგ ბერგენი 34
- 17 იან ზაიფერტი 31
- 20 დენის გრასოვი 28
- 21 ბიორნ ჰერტლი 24

*ნახევარმცველები*
- 3 ოლივერ შტრაუბე 28
- 5 მატიას ციმერმანი 29
- 7 დირკ ჰოფმანი 30
- 8 პეტერ ცაილერი 29
- 10 მარკუს ობერლაიტნერი 26
- 12 დანი შვარცი 25
- 18 ლუდვიგ კიოგლი 34
- 19 მარკო ჰაბერი 28
- 22 დიტმარ ჰირში 28
- 32 შტეფან ეგერი 20
- 33 ტობიას იზელი 21

*თავდამსხმელები*
- 9 ალთინ რაკლი 30
- 11 ალექსანდრ ბუგერა 21
- 13 მარკ ციმერმანი 26
- 14 ალფონსო გარსია 29
- 16 მიროსლავ სპიზაკი 21
- 23 დავიდ ალენ ზდრილიჩი 26
- 26 ანდრე ბრაიტენრაიტერი 26
- 34 ტომას გლასი 20

*მწვრთნელი: გიუნტერ-ლორანც კოსტნერი*

## ვერდერი (ბრემენი)

*მეკარეები*
- 1 ფრანკ როსტი 27
- 12 შტეფან ბრაზასი 32
- 16 პასკალ ბორელი 21

*მცველები*
- 3 ანდრე ვიდენერი 30
- 6 ფრანკ ბაუმანი 24
- 14 ფრანკ ვერლაატი 32
- 19 ვიქტორ სკრიპნიკი 20
- 20 მლადენ კრსტაიჩი 26
- 24 ტიმ ბოროვსკი 20
- 28 რაზუნდარა ტიკუზუ 20
- 33 მაიკ ბარტენი 26

*ნახევარმცველები*
- 2 ფაბიან ერნსტი 21
- 4 დირკ ფლოკი 28
- 5 დიტერ აილტსი 35
- 7 იური მაქსიმოვი 31
- 8 ბერნარდ ტრარესი 34
- 11 ივიცა ბანოვიჩი 20
- 13 რაფაელ ვიკი 23
- 15 დიტერ ფრაი 27
- 18 ანდრეას ჰერცოგი 31
- 22 ტორსტენ ფრინგსი 24
- 23 კრისტოფ დაბროვსკი 22
- 35 პოლ შტალტერი 22
- 38 ბიორნ შირენბეკი 26
- 39 დანი პფუტერერი 25

*თავდამსხმელები*
- 9 რადე ბოგდანოვიჩი 30
- 10 კლაუდიო პიზარო 21
- 17 მარკო ბოდე 31
- 25 სორენ ზიდელი 27
- 32 აილტონი 27

*მწვრთნელი: თომას შააფი*

## კოტბუსი

*მეკარეები*
- 1 ტომას კოლერი 33
- 23 ტომისლავ პიპლიკა 31

*მცველები*
- 2 ვილმოშ შებოკი 27
- 3 კრისტიან ბეეკი 28
- 14 რუდი ვატა 30
- 17 იანუშ მატიუში 25
- 31 კევინ მაკკენა 20

*ნახევარმცველები*
- 4 იორგ სკერბე 22
- 5 ცანკო ცვეტანოვი 30
- 7 აურელ რეგეკამპფი 24
- 8 ბრუნო აკპაროვიჩი 32
- 9 ტონი მიჩევსკი 30
- 10 შტეფან ჰაიდრიხი 33
- 13 ვილტორდ ვავრჟიჩეკი 27
- 16 მუსა ლატუნდი 21
- 20 რენე ტრეკოპფი 20
- 22 პატრიკ პახვალი 29
- 24 ვასილე მირიუტა 31
- 30 იონი როდლუნდი 28
- 33 რონი ტიელემანი 28

*თავდამსხმელები*
- 11 ანტონ ლაბატი 30
- 15 ფერენც ჰორვატი 27
- 18 ანჟეი კობილანსკი 30
- 19 ტორალფ კონეცკე 27
- 31 ბიტენკურტ ფრანკლინი 31
- 34 სებასტიან ჰელბიგი 23

*მწვრთნელი: ედუარდ გეიერი*

## შალკე (გელზენკირხენი)

*მეკარეები*
- 1 ოლივერ რეკი 35
- 13 ფროდე გროდასი 35
- 22 მატიას შიობერი 24
- 29 ტონი ტაპალოვიჩი 19

*მცველები*
- 2 მარკო ვან ჰუგდალემი 28
- 4 ივ აიგენრაუხი 29
- 5 ტომაშ ჰაიტო 27
- 10 ოლაფ ტონი 34
- 15 ტომაშ ვალდოხი 29
- 23 მარკუს ჰაპე 28
- 25 იოჰან დე კოკი 35
- 27 ბენჟამინ ვინგერტერი 17
- 32 ბენჟამინ კოხი 18
- 99 სლადან პერიჩი 18

*ნახევარმცველები*
- 3 რადოსლავ ლატალი 30
- 7 ანდრეას მიოლერი 32
- 8 იორგ მბომე 26
- 12 ნიკო ვან კერკჰოვენი 29
- 16 ოლივერ ჰელდი 27
- 17 უნალ ალპუგანი 27
- 18 ნილს უდე კამპუისი 22
- 19 მიხაელ ბიუსკენსი 32
- 20 ირჟი ნემეცი 34
- 25 სვენ კმეტჩი 29
- 30 ტამას ჰაინალი 19
- 31 ტორსტენ ლეგატი 31
- 34 კრისტიან მიკოლაიჩეკი 19

*თავდამსხმელები*
- 9 იური მულდერი 31
- 11 ებე სანდი 28
- 14 ჯერალდ ასამოა 21
- 21 ემილ მპენზა 22
- 26 ალი გოლი 24

*მწვრთნელი: ჰუბ სტევენსი*

## ბოხუმი

*მეკარეები*
- 1 რაინ ვან დუინოვენი 32
- 21 ტომას ერნსტი 32
- 28 კრისტიან ვანდერი 19

*მცველები*
- 2 სამირ ტოპიაკი 30
- 3 მარტინ მაიხელბეკი 23
- 4 აქსელ სუნდერმანი 32
- 5 დამირ მილინოვიჩი 27
- 16 ჰილკო რისტაუ 26
- 20 ზორან მამიჩი 28
- 23 მირკო დიკჰაუტი 29
- 24 მიხაელ ბემბენი 24
- 25 ფრანკ ფარენჰორსტი 21

*ნახევარმცველები*
- 6 მატიას ლუსტი 30
- 8 სებასტიან შინდცილორცი 21
- 10 ილდირაი ბასტურკი 21
- 12 ტომას შტიკროტი 35
- 13 სერგეი მანდრეკო 29
- 14 ანტე კოვიჩი 24
- 15 ოლაფ შრაბერი 30
- 22 ტომას რაისი 26
- 26 მაიკ რიტპიჩი 26
- 30 პოლ ფრაერი 21

*თავდამსხმელები*
- 7 პეტერ პეშელი 28
- 9 ახიმ ვებერი 31
- 11 დელრონ ბაკლი 22
- 17 ჰენრიკ ბალუშინსკი 28
- 18 მარიო მარიჩი 23
- 19 ზდრავკო დრინჩიჩი 28
- 27 რენე მიულერი 26

*მწვრთნელი: რალფ ცუმდიკი*

## ბორუსია (დორტმუნდი)

*მეკარეები*
- 1 იენს ლემანი 30
- 12 ვოლფგანგ დე ბეერი 36
- 20 ფილიპ ლო 27

*მცველები*
- 2 კრისტიან ვიორნსი 28
- 5 იურგენ კოლერი 34
- 7 შტეფან როიტერი 33
- 15 ალფრედ ნოიჰაუსი 34
- 21 კრისტოფ მეცელდერი 19

*ნახევარმცველები*
- 3 ევანილსონი 24
- 4 მიროსლავ სტევიჩი 30
- 6 იორგ ჰაინრიხი 30
- 8 კრისტიან ნერლინგერი 27
- 14 სანდი ოლისე 25
- 16 სეად კაპეტანოვიჩი 28
- 17 დედე 23
- 18 ლარს რიკენი 24
- 19 ოტო ადო 25
- 29 ვლადიმირ ბუტი 22
- 31 ფრანსის ბუგრი 19

*თავდამსხმელები*
- 9 ფრედი ბობიჩი 28
- 11 ჰაიკო ჰერლიხი 28
- 13 ჯუზეპე რეინა 28
- 22 იბრაჰიმ ტანკო 23
- 24 ვიქტორ იკპება 27

*მწვრთნელი: მატიას ზამერი*

## კიოლნი

*მეკარეები*
- 1 მარკუს პროელი 20
- 16 ალექსანდრ ბადე 29

*მცველები*
- 2 კარსტენ კულმანი 24
- 4 მოზეს სიჩონე 22
- 5 სპასოიე ბულაიჩი 24
- 12 იენს კელერი 29
- 13 იანუშ ჟივიორი 25
- 20 ტომას ჩიკონი 24
- 30 დირკ ლოტნერი 28

*ნახევარმცველები*
- 3 ალექსანდრ ვოიტი 22
- 6 ივან ვუკომანოვიჩი 23
- 7 რალფ ჰაუპტმანი 31
- 8 მატიას შერცი 28
- 10 კლაუს დიტერ ვოლიცი 35
- 14 მარკუს კროიცი 22
- 15 კრისტიან შპრინგერი 28
- 17 მარკო გებჰარდტი 20
- 19 მიხაელ როსელი 25
- 21 ივიცა გრლიჩი 25
- 23 კრისტიან ტიმი 21
- 24 მიროსლავ ბარანეკი 26
- 27 ალასანე ოუდრაგო 19

*თავდამსხმელები*
- 9 გეორგი დონკოვი 30
- 11 არჩილ არველაძე 27
- 18 მარკუს კურტი 27
- 22 დარკო პივალიევიჩი 25
- 25 მარკუს დვორაკი 22

*მწვრთნელი: ევალდ ლინენი*

## აინტრახტი (ფრანკფურტი)

*მეკარეები*
- 1 ოკა ნიკოლოვი 26
- 12 დირკ ჰაინენი 29
- 23 სვენ შმიდტი 23

*მცველები*
- 2 ტორსტენ კრახტი 32
- 4 იენს რასიევსკი 25
- 5 პეტერ ხუბჩევი 36
- 6 მარკუს ლოეხი 28
- 13 ეროლ ბულუტი 25
- 14 უვე შნაიდერი 28
- 16 ოლაფ იანსენი 33
- 18 ალექსანდრ კუჩერა 32
- 20 უვე ბინდევალდი 31
- 27 იანუშ ჰრუტკა 25
- 30 თომას ცამპახი 30

*ნახევარმცველები*
- 3 მარკო გებჰარდტი 27
- 7 ტომაშ სობოტჩიკი 25
- 8 რალფ ვებერი 31
- 10 ჰორსტ ჰელდტი 30
- 15 როლფ ქრისტელ გუიემინი 22
- 19 გერდ ვიმერი 23
- 24 ალექსანდრ შური 29
- 25 ფრანკ გერსტერი 24
- 31 პეტერ დაისენბერგერი 23
- 33 მიხაელ მუცელი 30
- 36 პატრიკ ფალკი 20

*თავდამსხმელები*
- 9 იან აგე ფიორტოფტი 33
- 11 ბაშირუ სალუ 29
- 17 თომას რაიხენბერგერი 25
- 21 ჩენ იანგი 26
- 22 რალფ შმიდტი 23

*მწვრთნელი: ფელიქს მაგათი*

## კაიზერსლაუტერნი

*მეკარეები*
- 1 გეორგ კოხი 28
- 16 უვე გოსპოდარეკი 27
- 26 რომან ვაიდენფელერი 20
- 29 ლაიოშ შუცი 27

*მცველები*
- 2 მიქაელ შიონბერგი 33
- 3 პეტრ გაბრიელი 27
- 4 აქსელ როოსი 35
- 5 მურატ იაკინი 25
- 6 ჰანი რამზი 31
- 13 სლობოდან კომლიენოვიჩი 29
- 24 ჰარი კოხი 30
- 27 მარკო შტარკი 19
- 28 სამირ იბრაჰიმი 28

*ნახევარმცველები*
- 7 მარიან ხრისტოვი 27
- 8 დიმიტრიოს გრამოცისი 22
- 12 მარკო რაიხი 22
- 14 იური ჯორკაეფი 32
- 17 რატინიო 29
- 21 ჯეფ შტრასერი 25
- 22 ანდრეას ბუკი 32
- 30 მარიო ბასლერი 31

*თავდამსხმელები*
- 9 იორგენ პეტერსონი 24
- 10 ვრატისლავ ლოკვენცი 26
- 11 ოლაფ მარშალი 34
- 19 იგლი ტარე 27
- 23 სილვიო აჯიჩი 19
- 25 მიროსლავ კლოში 22

*მწვრთნელი: ოტო რეჰაგელი*

ევროპის კადეტთა ჩემპიონატი. საკვალიფიკაციო ეტაპი

## საქართველო 84:61 ისრაელი

5 აგვისტო. რაზგრადი (ბულგარეთი). I ტაიმი 48:23

| საქართველო | წთ. | 2-ქ | 3-ქ | საჯ. | მოხს. | პასი | ჩაჭ. | ფოლ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ჩაჩლეიშვილი | 24 | 2/7 | 0/1 | 0/0 | 4 | 2 | 1 | 1 | 4 |
| გამყრელიძე | 10 | 0/0 | 1/1 | 0/0 | 1 | 0 | 1 | 1 | 3 |
| მარხვაშვილი | 36 | 6/11 | 1/1 | 5/6 | 0 | 3 | 3 | 1 | 20 |
| მარკოიშვილი | 24 | 4/5 | 1/3 | 0/0 | 3 | 3 | 1 | 5 | 11 |
| მდივანი | 24 | 5/9 | 0/0 | 1/5 | 9 | 1 | 3 | 3 | 11 |
| ორდენიძე | 12 | 0/0 | 0/0 | 0/0 | 2 | 0 | 1 | 5 | 0 |
| სანიკიძე | 16 | 4/7 | 0/0 | 5/6 | 7 | 0 | 3 | 1 | 13 |
| საყვარელიძე | 18 | 3/7 | 1/3 | 3/6 | 2 | 0 | 1 | 1 | 12 |
| ვაშაკიძე | 26 | 0/3 | 1/3 | 1/2 | 7 | 2 | 4 | 4 | 4 |
| ზანგურაშვილი | 10 | 2/3 | 0/0 | 2/4 | 1 | 1 | 0 | 1 | 6 |
| სულ | 200 | 26/52 | 5/12 | 17/29 | 36 | 12 | 18 | 23 | 84 |

| ისრაელი | წთ. | 2-ქ | 3-ქ | საჯ. | მოხს. | პასი | ჩაჭ. | ფოლ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ელიაჰუ | 23 | 4/6 | 0/0 | 3/4 | 3 | 1 | 0 | 2 | 11 |
| ენგელი | 21 | 1/4 | 0/0 | 2/2 | 0 | 1 | 1 | 2 | 4 |
| გრინბოიმი | 26 | 5/7 | 0/0 | 0/2 | 0 | 1 | 2 | 2 | 10 |
| ჰირში | 17 | 0/4 | 0/0 | 7/8 | 0 | 0 | 0 | 0 | 7 |
| კამინსკი | 9 | 1/4 | 0/0 | 0/0 | 1 | 0 | 2 | 1 | 2 |
| კაშტანი | 2 | 0/0 | 0/0 | 0/0 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 |
| კაზარნოვსკი | 29 | 3/4 | 0/0 | 0/0 | 5 | 0 | 1 | 1 | 6 |
| კოენი | 24 | 3/3 | 0/5 | 4/4 | 2 | 1 | 0 | 3 | 10 |
| ლევი | 5 | 1/1 | 0/0 | 0/0 | 0 | 0 | 0 | 0 | 2 |
| რუვენი | 22 | 1/2 | 1/1 | 0/0 | 0 | 0 | 0 | 3 | 5 |
| სიმინი | 14 | 1/3 | 0/1 | 2/2 | 0 | 1 | 0 | 2 | 4 |
| ტამი | 8 | 0/0 | 0/0 | 0/0 | 1 | 0 | 0 | 1 | 0 |
| სულ | 200 | 20/38 | 1/7 | 18/22 | 12 | 6 | 6 | 17 | 61 |

ევროპის კადეტთა ჩემპიონატი. საკვალიფიკაციო ეტაპი

## საქართველო 96:72 ბულგარეთი

6 აგვისტო. რაზგრადი (ბულგარეთი). I ტაიმი 55:40

| საქართველო | წთ. | 2-ქ | 3-ქ | საჯ. | მოხს. | პასი | ჩაჭ. | ფოლ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ათუაშვილი | 18 | 5/8 | 0/0 | 0/0 | 2 | 0 | 0 | 4 | 10 |
| ჩაჩლეიშვილი | 1 | 0/0 | 0/0 | 0/0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| გამყრელიძე | 18 | 0/1 | 1/4 | 0/2 | 1 | 0 | 1 | 5 | 3 |
| მარხვაშვილი | 20 | 4/6 | 0/3 | 1/2 | 1 | 1 | 1 | 2 | 9 |
| მარკოიშვილი | 17 | 4/6 | 0/2 | 3/4 | 3 | 2 | 0 | 1 | 11 |
| მდივანი | 22 | 7/10 | 0/0 | 4/6 | 7 | 0 | 0 | 2 | 18 |
| ორდენიძე | 20 | 4/5 | 0/2 | 0/0 | 2 | 0 | 1 | 0 | 8 |
| სანიკიძე | 22 | 8/11 | 0/0 | 0/0 | 11 | 2 | 1 | 4 | 16 |
| საყვარელიძე | 22 | 2/4 | 0/2 | 1/2 | 1 | 4 | 2 | 2 | 5 |
| ვაშაკიძე | 22 | 5/7 | 1/1 | 1/1 | 0 | 0 | 1 | 3 | 14 |
| ზანგურაშვილი | 18 | 0/6 | 0/1 | 2/4 | 1 | 2 | 0 | 1 | 2 |
| სულ | 200 | 39/64 | 2/15 | 12/21 | 29 | 11 | 7 | 24 | 96 |

| ბულგარეთი | წთ. | 2-ქ | 3-ქ | საჯ. | მოხს. | პასი | ჩაჭ. | ფოლ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ათანასოვი | 14 | 0/2 | 0/0 | 0/0 | 3 | 2 | 0 | 2 | 0 |
| დონჩევი | 2 | 0/0 | 0/0 | 0/0 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 |
| ფილიპოვი | 36 | 5/8 | 1/6 | 0/0 | 10 | 1 | 2 | 1 | 13 |
| გეორგიევი | 6 | 0/2 | 0/1 | 2/2 | 0 | 1 | 1 | 1 | 2 |
| ჟივკოვი | 33 | 5/13 | 0/0 | 3/6 | 6 | 0 | 3 | 1 | 13 |
| მარინოვი | 31 | 3/6 | 1/2 | 6/10 | 1 | 2 | 0 | 3 | 15 |
| პენევი | 16 | 1/1 | 0/1 | 0/2 | 2 | 1 | 3 | 0 | 2 |
| პეტკოვი | 27 | 6/10 | 0/0 | 2/3 | 6 | 1 | 0 | 4 | 14 |
| პროდანოვი | 17 | 4/4 | 0/0 | 1/4 | 2 | 0 | 0 | 5 | 9 |
| სტეფანოვი | 18 | 2/4 | 0/1 | 0/0 | 3 | 1 | 4 | 3 | 4 |
| სულ | 200 | 26/50 | 2/11 | 14/27 | 33 | 9 | 13 | 21 | 72 |

**საბოლოო მდგომარეობა**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| *საქართველო* | 4 | 4 | 0 | 343:240 | 8 |
| *ისრაელი* | 4 | 3 | 1 | 263:257 | 7 |
| *იტალია* | 4 | 2 | 2 | 253:242 | 6 |
| ბულგარეთი | 4 | 1 | 3 | 262:298 | 5 |
| უნგრეთი | 4 | 0 | 4 | 187:271 | 4 |


რეკლამა [redacted]-ში

Tel: 39 40 08, 93 16 08; Fax: 94 33 80


# მილერს 36 მილიონი შესთავაზეს



რეჯი მილერი

**აიზია ტომასის** მთავარ მწვრთნელად დანიშვნის შემდეგ „ინდიანა პეისერზმა“ გაცხოველებული ვაჭრობა დაიწყო თავისუფალი აგენტების ბაზარზე. შარშანდელი ფინალისტი ჯერჯერობით სხვაგან არ იხედება და საკუთარი თავისუფალი აგენტების შენარჩუნებითაა დაკავებული.

ერთი კვირის წინ „ინდიანამ“ შვიდწლიანი და 93-მილიონიანი კონტრაქტი გაუფორმა უკანახაზელ ჯალენ როუზს, რომელიც წინა სეზონის ყველაზე გაუმჯობესებულ მოთამაშედ აღიარეს. „პეისერზმა“ ასევე შვიდი წლით, ოღონდ 91 მილიონ დოლარად შეინარჩუნა წინა სეზონის აღმოჩენა, ფორვარდი ოსტინ კროშერი. მანამდე კი „მარდებმა“ ერთწლიანი და 5,5 მილიონ დოლარად შეფასებული ხელშეკრულება დაუდეს ცენტრ სემ პერკინსს.

„ინდიანას“ ლიდერი, უკანახაზელი რეჯი მილერი ჯერჯერობით თავისუფალი აგენტია, მაგრამ, სავარაუდოდ, ამ სტატუსით დიდხანს აღარ ივლის. გაზეთ „ინდინაპოლის სტარის“ ცნობით, „პეისერზმა“ სამწლიანი და 36-მილიონიანი კონტრაქტი შესთავაზა მილერს. თავად კლუბი ამ ინფორმაციას კომენტარს არ უკეთებს, ხოლო კალათბურთელის აგენტმა ტელეფონის ყურმილი არ აიღო.

რეჯი მილერი ოქტომბერში თავის მეთოთხმეტე სეზონს დაიწყებს. იგი „ინდიანას“ თითქმის ყველა რეკორდის მფლობელია. მათგან ყველაზე გამორჩეული კლუბის ყველა დროის საუკეთესო ბომბარდირობაა 19 792 ქულით. მილერს ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის ორი რეკორდიც ეკუთვნის: მან 4 629 სამქულიანი ესროლა და მათგან 1 867 ჩააგდო. წინა სეზონში რეჯი მილერის ხელფასი 9 მილიონი დოლარი იყო.

თუკი მილერს შეინარჩუნებს, „ინდიანას“ შარშანდელი სასტარტო ხუთეულის ორ წევრთან დარჩება პირობები შესათანხმებელი. ეს გაცილებით რთული იქნება, რადგან ამჟამად თავისუფალ აგენტებს, უკანახაზელ მარკ ჯეკსონს და ჰოლანდიელ ცენტრ რიკ სმიტს ჯერ არ გადაუწყვეტიათ, გააგრძელებენ თუ არა კალათბურთის თამაშს.

## თავისუფალ აგენტთა ბაზარი

7 აგვისტო

*გოლდენ სტეიტ ვორიორზი: შეინარჩუნა ფორვარდ-ცენტრი ადონალ ფოილი.*

*დალას მავერიქსი: შეინარჩუნა უკანახაზელი გრეგ ბაკნერი.*

*ნიუ ჯერსი ნეტსი: აიყვანა ფორვარდი აარონ ვილიამსი (ვაშინგტონიდან).*

# აივერსონს ვერ ელევიან, მაგრამ გამოსწორებას ურჩევენ

**ეროვნულ საკალათბურთო ასოციაციაში** ძნელად მოიძებნება ალენ აივერსონისებრ ნიჭიერი და, ამავდროულად, თავგასული კალათბურთელი. ყმაწვილკაცობაში ხულიგანი, იარაღის ტარებისთვის, თრიაქის წევისთვის და ჩხუბისთვის არაერთგზის დაკავებული და საპატიმრომოვლილი კალათბურთელი დღეს „ფილადელფია 76“-ის ლიდერია, თუმცა ავ ზნეს არ იშლის და არაერთ პრობლემას უჩენს გუნდის მწვრთნელებს და ხელმძღვანელებს.

აივერსონი ვერაფრით ეგუება „ფილადელფიას“ მწვრთნელის, ლარი ბრაუნის მკაცრ რეჟიმს და ხშირად არღვევს მას. კლუბმა დაახლოებით 50-ჯერ დააჯარიმა კალათბურთელი ვარჯიშზე დაგვიანებისთვის, ერთხელ ერთთამაშიანი დისკვალიფიკაციაც მისცა ვარჯიშის გაცდენისთვის, მაგრამ აივერსონის გამოსწორებას საშველი არ დაადგა.

ლარი ბრაუნთან უთანხმოება წლების მანძილზე გრძელდებოდა. ერთი თვის წინ მწვრთნელს ყელში ამოუვიდა შეგირდის ჭირვეულობა და პირდაპირ მიახალა, ან მე დ.^იჯერე, ან გუნდიდან წადიო. ბრაუნის ნათქვამზე „ფილადელფიას“ პატრონებიც დაფიქრდნენ და აივერსონს სხვა გუნდში გაყიდვა ან გაცვლა დაუპირეს.

„ფილადელფია“ დაახლოებით ერთ თვეს ცდილობდა აივერსონის გაყიდვას ან გაცვლას, მაგრამ ყველა ცდა უშედეგოდ დასრულდა. ამ საქმესთან დაკავშირებული დეტალები არ გახმაურებულა, თუმცა გაირკვა, რომ „ფილადელფია“ ერთდროულად აწარმოებდა მოლაპარაკებებს „დეტროიტ პისტონზთან“, „შარლოტ ჰორნეთსთან“ და „ლოს ანჯელეს ლეიკერსთან“.

უეცრად „ფილადელფიამ“ გამოაცხადა, რომ აღარსად უშვებს აივერსონს და მის დატოვებას აპირებს. კლუბის გენერალურმა მენეჯერმა ბილი კინგმა ორშაბათს პრეს-კონფერენცია მოიწვია და განაცხადა: „ისე გამოდის, რაც „ფილადელფიაში“ ცუდი ხდება, ყველაფერი აივერსონის ბრალია. ცხადია, ალენს მოსდის შეცდომები, მაგრამ ყველაფრის მასზე გადაბრალება უსამართლობაა. ისიც გავიხსენოთ, რამდენი თამაში მოგვაგებინა აივერსონმა“.

შემდეგ კინგი კალათბურთელის შესაძლო გაყიდვის ან გაცვლის საკითხს შეეხო და აღნიშნა: „ალენის გაყიდვა აღარ გვსურს. ეს რომ გვინდოდეს, მიზანს დღესვე მივაღწევდით. აივერსონის დონის მოთამაშეს რომ ჰყიდი, სანაცვლოდ მისი კლასის კალათბურთელი უნდა მიიღო. მაჩვენეთ ასეთი მოთამაშე, რომლის „ფილადელფიაში“ გამოყვანა შესაძლებელია და აივერსონს წამსვე გავცვლი მასში“.

კინგმა აივერსონის ძველ ცოდვებზე ისაუბრა, დამსწრეებს მათი დავიწყება ურჩია და გააგრძელა: „წარსულში ქექვა აღარ მინდა. ახალ სეზონს ვიწყებთ, რომელსაც ალენიც ახლებურად შეხვდება. ვიმედოვნებთ, რომ იგი აღარ დაარღვევს კლუბში დადგენილ წესებს“.

თავად აივერსონი სეზონის დასრულებისთანავე წავიდა ფილადელფიიდან და არდადეგებს მშობლიური ვირჯინიის შტატში ატარებს. ამ დღეებში მან საზოგადოებას ხმა მიაწვდინა: „ლარი ბრაუნთან ურთიერთობისას პრობლემა არ მაქვს. იგი შესანიშნავი მწვრთნელია და მის ხელმძღვანელობით სიამოვნებით ვითამაშებ“.



ალენ აივერსონი

## ევროპული ამბები

### ესპანეთი

# ბარსელონა კარნიშოვასის დაბრუნებას აპირებს

**საპრეზიდენტო** არჩევნების შედეგ „ბარსელონამ“ საკალათბურთო გუნდისთვის მოიცალა და სერიოზული მიზნები დაისახა. კლუბის ახალი პრეზიდენტი ხუან გასპარი მომავალ სეზონში ყველაფრის მოგებას გეგმავს და ამისათვის ფულს არ იშურებს: „ბარსელონას“ საკალათბურთო გუნდის წლიური ბიუჯეტი 11 მილიონი დოლარი იქნება.

„ბარსელონას“ ახალი მოთამაშეების აყვანა სურს. მან თვალი დაადგა ლიტველ ფორვარდ არტურას კარნიშოვასს, რომელიც ამჟამად ამერიკაშია და ნაოპერაციევ მუხლს მკურნალობს. კარნიშოვასი 1995-1997 წლებში თამაშობდა „ბარსელონაში“, ხოლო ამჟამად ბოლონიის „ფორტიტუდოს“ წევრია. ბარსელონელები ლიტველის შეძენას და მისთვის ორწლიანი კონტრაქტის გაფორმებას აპირებენ. ამისათვის მათ „ფორტიტუდოსთან“ ვაჭრობა მოუწევთ.

ბარსელონაში იმყოფება და ამ დღეებში სამედიცინო შემოწმებას გაივლის ცენტრი რონი საიკლი. ეს 35 წლის კალათბურთელი წარმოშობით ლიბანელია, ხოლო კარიერის უდიდესი ნაწილი ეროვნულ საკალათბურთო ასოციაციაში გაუტარებია. თუკი საიკლი ჯანმრთელი აღმოჩნდება, „ბარსელონა“ მას ერთწლიან კონტრაქტს გაუფორმებს, რომლის მიხედვითაც კალათბურთელი 1,5 მილიონ დოლარს მიიღებს.

„ბარსელონადან“ წასვლა სურს იუგოსლაველ ფორვარდ მილან გუროვიჩს. არც კლუბია ამის წინააღმდეგი, მაგრამ გუროვიჩის კონტრაქტი ძალიან ძვირადაა შეფასებული და მისი გამოსყიდვის რეალური მსურველი ჯერ არ ჩანს. თუმცა ბერძნულმა აეკ-მა და „არისმა“ ნიადაგი მაინც მოსინჯეს და „ბარსელონასთან“ წინასწარი მოლაპარაკება წამოიწყეს.

# ჯერი ვესტი — ცოცხალი ემბლემა

## კალათბურთიდან წავიდა კაცი-ლეიკერსი, რომელმაც ორ ქართველს ოლიმპიური ოქრო დააკარგვინა



**ჯერი ვესტი**

დაიბადა 1938 წლის 28 მაისს.
1960-1974: „ლოს ანჯელეს ლეიკერსის“ მოთამაშე.
1976-1979: „ლოს ანჯელეს ლეიკერსის“ მწვრთნელი.
1979-1982: „ლოს ანჯელეს ლეიკერსის“ კონსულტანტი.
1982-1994: „ლოს ანჯელეს ლეიკერსის“ გენერალური მენეჯერი.
1995-2000: „ლოს ანჯელეს ლეიკერსის“ აღმასრულებელი ვიცე-პრეზიდენტი.
ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის ჩემპიონი (1972).
10-ჯერ დაასახელეს სეზონის პირველ ხუთეულში.
14-ჯერ მიიღო მონაწილეობა „ოლ სტარზში“.
1960 წელს აშშ-ის ნაკრების შემადგენლობაში გახდა ოლიმპიური ჩემპიონი.
1972 წლის „ოლ სტარზის“ უძვირფასესი მოთამაშე.
1979 წელს აირჩიეს „საკალათბურთო დიდების დარბაზის“ წევრად.
1983 წელს „ლოს ანჯელეს ლეიკერსმა“ სამუდამოდ მიაკუთვნა ნომერი 44 მაისურა.
1997 წელს დაასახელეს ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის ყველა დროის 50 საუკეთესო მოთამაშეს შორის.
ჯერი ვესტის სილუეტი გამოსახულია ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის ემბლემაზე.

ჯერი ვესტი და „ლოს ანჯელეს ლეიკერსი“. ეს კალათბურთელი და ეს კლუბი ერთად იშვნენ, გაიზარდნენ, გაძლიერდნენ და გრიგალივით მოედვნენ მსოფლიოს კალათბურთს. ისინი მუდამ ერთად იყვნენ, ერთად იგებდნენ, ერთად აგებდნენ, ოღონდ მათი თანაცხოვრების პერიოდში მოგება სჭარბობდა წაგებას.

მათი ერთობა სრულ ორმოც წელიწადს გრძელდებოდა. ვესტი ერთგულად ემსახურებოდა „ლეიკერსს“, ჯერ როგორც მოთამაშე, მერე — როგორც მწვრთნელი, კონსულტანტი, გენერალური მენეჯერი და აღმასრულებელი ვიცე-პრეზიდენტი. კალათბურთელს ერთი წუთითაც არ გაუხედავს სხვა კლუბისკენ და მოთამაშისა და საკალათბურთო მოღვაწის კარიერაც „ლეიკერსში“ დაასრულა.

ორშაბათს ჯერი ვესტი „ლეიკერსს“ და კალათბურთს გამოეთხოვა. 62 წლის ჭარმაგმა კაცმა დასვენება ირჩია. ვესტს ამის სრული მორალური უფლება აქვს, რადგან მან „ლეიკერსს“ იმდენი გაუკეთა, რამდენიც არავინ. ვესტი გამარჯვებული წავიდა — წლეულს მისი კლუბი ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის ჩემპიონი გახდა.

„ლეიკერსმა“ და კალათბურთმა ახალგაზრდობაშივე, მოთამაშეობის პერიოდში უკვდავყვეს ჯერი ვესტი. დახედეთ ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის ემბლემას — ბურთიანი კალათბურთელის სილუეტს. ეს ჯერი ვესტია — „ლოს ანჯელეს ლეიკერსის“ და ლიგის ყველა დროის ერთ-ერთი უდიდესი მოთამაშე. ამდენად, სანამ იარსებებს ეროვნული საკალათბურთო ასოციაცია, იარსებებს ჯერი ვესტიც.

1960 წელს ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის ხუთგზის ჩემპიონი „მინეაპოლის ლეიკერსი“ ლოს ანჯელესში გადაბარგდა და „ლოს ანჯელეს ლეიკერსად“ მოინათლა. ორიოდ დღის შემდეგ დრაფტი მოეწყო და „ლეიკერსმა“ მეორე ნომრად დასავლეთ ვირჯინიის უნივერსიტეტის კურსდამთავრებული ჯერი ვესტი აიყვანა. 22 წლის ყმაწვილი სტუდენტებსა და მოყვარულებში უკვე სახელდაგდებული კალათბურთელი იყო — 1958 წელს ამერიკის შეერთებული შტატების ნაკრების შემადგენლობაში პანამერიკული თამაშები მოიგო, ხოლო 1960 წელს — რომის ოლიმპიური თამაშები. სწორედ ამ ტურნირზე დაუპირისპირდნენ ჯერი ვესტს დიდი ქართველი კალათბურთელები — გურამ მინაშვილი და ვლადიმერ უგრეხელიძე, რომლებმაც რომში ვერცხლის მედლები ირგუნეს.

აქ დროებით საქართველოში გადმოვინაცვლოთ და გურამ მინაშვილს მოვუსმინოთ: „რომის ოლიმპიადაზე ამერიკას ძალიან ძლიერი ნაკრები ჰყავდა — ჯერი ვესტი, ოსკარ რობერტსონი, ჯერი ლუკასი... ვესტი ყველასგან გამოირჩეოდა თამაშის ლამაზი და გონივრული მანერით. ჩვენ ერთი ამპლუის მოთამაშეები ვიყავით, უკანახაზელები. ფინალში ვესტი მე მიჭერდა და უნდა ვაღიარო, საკმაოდ წარმატებითაც. დაცვაში მის წინააღმდეგ ლატვიელი ვალდის მუჟნიეკსი თამაშობდა. შეხვედრის დამთავრების შემდეგ მან მითხრა, ასეთი ძლიერი კალათბურთელი ჯერ არ მინახავსო. ბევრი რომ არ გავაგრძელო, ჯერი ვესტზე მხოლოდ კარგის თქმა შეიძლება, იგი ფანტასტიური მოთამაშე იყო“.

ჯერი ვესტს „ლეიკერსში“ ელჯინ ბეილორი დახვდა და ამ დუეტმა საჩემპიონო მწვერვალს შეუტია. ვესტი ცხრაჯერ იყო ლიგის ფინალში და რვაჯერ ხელი მოეცარა: ექვსჯერ ჩემპიონის გვირგვინი ლეგენდარულმა და ვარსკვლავებით დახუნძლულმა „ბოსტონ სელტიქსმა“ წაართვა, ორჯერ — ვილის რიდის და ბილ ბრედლის „ნიუ იორკ ნიქსმა“. ვესტი ერთადერთხელ, 1972 წელს გაჩემპიონდა, როცა ფინალში „ნიუ იორკი“ დაამარცხა. იმ დროს გუნდში აღარ იყო ელჯინ ბეილორი, სამაგიეროდ, ვესტის თანაგუნდელი უილტ ჩემბერლენი გახლდათ.

ერთადერთი საჩემპიონო ტიტულის მიუხედავად, ჯერი ვესტი უდიდეს კალათბურთელად იქცა. თოთხმეტწლიან კარიერაში მას არცერთი „ოლ სტარზი“ არ გამოუტოვებია, ხოლო 1972 წელს მისი უძვირფასესი მოთამაშე გახდა. ვესტი დღემდე ითვლება „ლეიკერსის“ ყველა დროის საუკეთესო ბომბარდირად. მის შედეგს — 25 192 ქულას ვერც მეჯიქ ჯონსონი შესწვდა, ვერც ქარიმ აბდულ ჯაბარი და ვერც ელჯინ ბეილორი.

ვესტმა 1974 წელს დაასრულა მოთამაშის კარიერა და ცხრა წლის განმავლობაში ორ აღიარებას მოესწრო: 1979 წელს იგი „საკალათბურთო დიდების დარბაზის“ წევრად აირჩიეს, ხოლო 1983 წელს „ლეიკერსმა“ მუდმივად მიაკუთვნა მას 44 ნომერი მაისური. მას შემდეგ 44 ნომრით „ლეიკერსში“ აღარავის უთამაშია, ხოლო ჯერი ვესტის მაისურა კლუბის დარბაზებში — ჯერ „გრეით ვესტერნ ფორუმში“, ამჟამად კი „სტეიპლზ სენთერშია“ გამოფენილი.

1976 წელს ვესტი „ლეიკერსის“ მთავარ მწვრთნელად დაინიშნა და ამ თანამდებობაზე სამი სეზონი იმუშავა. მისი ხელმძღვანელობით გუნდმა 145 თამაში მოიგო და 101 წააგო. 1979 წელს ვესტი „ლეიკერსის“ კონსულტანტად დაინიშნა და სწორედ ამ დროიდან იწყება მისი, როგორც საკალათბურთო მოღვაწის არანაკლებ შთამბეჭდავი კარიერა.

ვესტი კონსულტანტი კი იყო, მაგრამ, ფაქტობრივად, გენერალური მენეჯერის ფუნქციებს ასრულებდა და გუნდის დაკომპლექტებაში უდიდეს როლს თამაშობდა. „ლეიკერსის“ მფლობელებთან, ჯეკ კენტ კუკთან და დოქტორ ჯერი ბასთან მოლაპარაკების შემდეგ ვესტმა „ლეიკერსისთვის“ 1979 წლის დრაფტში აირჩია მეჯიქ ჯონსონი, შემდეგ კი აბდულ ჯაბარ-ჯონსონ-ვორთის სამკუთხედი შეკრა. 1981 წელს ვესტის ინიციატივით „ლეიკერსის“ მწვრთნელად დაინიშნა 36 წლის პატ რაილი, რომელმაც ლოსანჯელესელებს „ოქროს ხანა“ დაუყენა და გუნდი ოთხჯერ გააჩემპიონა.

1982 წელს ვესტი ოფიციალურად გადაჯდა „ლეიკერსის“ გენერალური მენეჯერის სავარძელში და მალე გუნდში ბაირონ სკოტი და მაიკლ ტომპსონი მოიყვანა. სკოტმა „ლეიკერსს“ სისწრაფე შესძინა, ხოლო ტომპსონი სიბერეშეპარული აბდულ ჯაბარის შემცვლელი გახდა. 1985, 1987 და 1988 წლებში „ლეიკერსი“ ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის ჩემპიონი გახდა.

„ლეიკერსს“ მეტად გაუჭირდა 1991 წლის შემდეგ. პატ რაილიმ მწვრთნელობას ტელეკომენტატორობა ამჯობინა, სუპერვარსკვლავებმა კალათბურთს თავი დაანებეს. ჯერი ვესტმა კი გენერალური მენეჯერის პოსტი აღმასრულებელ ვიცე-პრეზიდენტის თანამდებობაზე გადაცვალა და ახალი „ლეიკერსის“ შექმნას შეუდგა. პირველი ნაბიჯი იუგოსლაველი ცენტრის ვლადე დივაცის „შარლოტ ჰორნეთსში“ გაშვება და მის სანაცვლოდ სრულიად უცნობი ყმაწვილის, კობი ბრაიანტის მოყვანა იყო. შემდეგ ვესტმა მეორეხარისხოვანი მოთამაშეები მიჰყიდ-მოჰყიდა და ჯამური ხელფასის ფონდში დიდი თანხა გამოათავისუფლა. ეს ფული სუპერცენტრ შაკილ ონილის აყვანას დასჭირდა. ვესტმა დაიჟინა და „ლეიკერსის“ იისფერ-ოქროსფერი მაისურა ჩააცვა რიკ ფოქსს, ხოლო „შარლოტიდან“ გლენ რაისი წამოიყვანა ელდენ კემპბელისა და ედი ჯონსის სანაცვლოდ. მერე კი ყველაფერი ილონა ფილ ჯექსონის მწვრთნელად დასანიშნად.

შედეგი? წლეულს „ლეიკერსმა“ ფინალში დაამარცხა „ინდიანა პეისერზი“ და თორმეტწლიანი პაუზის შემდეგ მეთორმეტედ გახდა ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის ჩემპიონი.

აი, ასეთ დროს გადაწყვიტა წასვლა ჯერი ვესტმა, კაცმა, რომელიც „ლეიკერსის“ სიმბოლოდ იქცა. კლუბის მფლობელმა, დოქტორმა ჯერი ბასმა ჯეროვანი პატივი მიაგო ვესტის დამსახურებას და აღნიშნა: „ჯერი ვესტი შეუცვლელი ადამიანია. იგი ძალიან ბევრს ნიშნავს „ლეიკერსისთვის“. მის მიერ გაწეული სამსახური განუზომელია. იგი და „ლეიკერსი“ განუყოფელნი არიან“.

თავად ვესტმა ორიოდ თვის წინ გადაწყვიტა კალათბურთიდან წასვლა და აზრი აღარ შეიცვალა. ბევრმა ეს ნაბიჯი ავადმყოფობას მიაწერა, მაგრამ ვესტმა ეს იუარა: „თავს აბსოლუტურად ჯანმრთელად ვგრძნობ, თუმცა ჩემი ექიმი გახარებულია, რომ ასეთ მძიმე სამუშაოს მოვწყდი. ახლა დავმშვიდდები და ოჯახს მეტ დროს დავუთმობ“.

„ლეიკერსის“ აღმასრულებელი ვიცე-პრეზიდენტის პოსტი ჯერი ვესტის გამოზრდილმა მიჩ კუპჩაკმა ჩაიბარა. უკრაინელი ემიგრანტების ოჯახიდან გამოსული 46 წლის კუპჩაკი ვესტს „მასწავლებელს, ცოდნის ლამპარს და საუკეთესო მეგობარს“ უწოდებს. კუპჩაკი ათი წელიწადი თამაშობდა ეროვნულ საკალათბურთო ასოციაციაში. 1978 წელს „ვაშინგტონ ბულიტსთან“ ერთად გახდა ჩემპიონი 1981 წელს „ლეიკერსში“ გადავიდა და კიდევ ორჯერ მოირგო თითებზე საჩემპიონო ბეჭედი. 1986 წელს კუპჩაკმა კარიერა დაასრულა და „ლეიკერსის“ გენერალური მენეჯერის, ანუ ჯერი ვესტის თანაშემწე გახდა. 1994 წელს კუპჩაკმა გენერალური მენეჯერის პოსტზე შეცვალა ვესტი, რომელიც კლუბის აღმასრულებელი ვიცე-პრეზიდენტი გახდა. ამჯერად კუპჩაკმა ისევ შეცვალა თავისი მასწავლებელი, ოღონდ შეთავსებით გენერალურ მენეჯერადაც იმუშავებს. მის თანაშემწედ კი კიდევ ერთი ყოფილი ლეიკერსელი კურტ რამბისი დაინიშნა. რამბისი 80-იან წლებში თამაშობდა „ლეიკერსში“ და ოთხჯერ გახდა ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის ჩემპიონი.

ერთი სიტყვით, ვესტი წავიდა, ვესტი დარჩა...

**მერაბ რატიშვილი**






ჯერი ვესტი: კაცი და ემბლემა




ჯერი ვესტი (მარცხნივ) და მისი შემცვლელი მიჩ კუპჩაკი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სარბიელი

# სპორტული ლატარია "CROCO"

შვედეთი. მე-15 ტური
10 აგვისტო

| | | 1 | X | 2 |
|---|---|---|---|---|
| 001 | ჰეკენი-იორებრო | 2,3 | 3,1 | 2,8 |

ნორვეგია. გადადებული მატჩი
9 აგვისტო

| | | 1 | X | 2 |
|---|---|---|---|---|
| 002 | ვიკინგი-სტაბეკი | 1,9 | 3,1 | 3,6 |

ჩემპიონთა ლიგა. III ეტაპი. I მატჩები
9 აგვისტო

| | | 1 | X | 2 |
|---|---|---|---|---|
| 505 | დინამო (უკრაინა)-ცრვენა ზვეზდა (იუგოსლავია) | 1,6 | 3,3 | 5,3 |
| 506 | შახტარი (უკრაინა)-სლავია (ჩეხეთი) | 2,1 | 3,0 | 3,3 |
| 507 | ანდერლეხტი (ბელგია)-პორტუ (პორტუგალია) | 2,1 | 3,0 | 3,3 |
| 508 | პოლონია (პოლონეთი)-პანათინაიკოსი (საბერძნეთი) | 2,2 | 2,9 | 3,2 |
| 509 | ჰერფიოლგე (დანია)-რეინჯერსი (შოტლანდია) | 3,6 | 3,1 | 1,9 |
| 510 | სენტ გალენი (შვეიცარია)-გალათასარაი (თურქეთი) (ნეიტრ.) | 3,0 | 3,1 | 2,2 |
| 511 | ტიროლი (ავსტრია)-ვალენსია (ესპანეთი) | 3,2 | 2,9 | 2,2 |
| 512 | ლიდსი (ინგლისი)-მიუნხენ 1860 (გერმანია) | 1,65 | 3,2 | 5,0 |
| 513 | ჰელსინგბორგი (შვედეთი)-ინტერი (იტალია) | 4,0 | 3,1 | 1,8 |
| 514 | მილანი (იტალია)-დინამო (ხორვატია) | 1,2 | 5,6 | 10,0 |
| 515 | დუნაფერი (უნგრეთი)-რუსენბორგი (ნორვეგია) (ნეიტრ.) | 2,8 | 3,1 | 2,3 |

უეფას თასი. I ეტაპი. I მატჩები
10 აგვისტო

| | | 1 | X | 2 |
|---|---|---|---|---|
| 518 | ნეფთჩი (აზერბაიჯანი)-გორიცა (სლოვენია) | 3,3 | 3,0 | 2,1 |
| 519 | არარატი (სომხეთი)-კოშიცე (სლოვაკეთი) | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| 520 | შერიფი (მოლდოვა)-ოლიმპია (სლოვენია) | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| 521 | კონსტრუქტორული (მოლდოვა)-ცსკა (ბულგარეთი) | 3,4 | 2,9 | 2,1 |
| 522 | ვიტ ჯორჯია (საქართველო)-ბეითარი (ისრაელი) | ანგარიში - 5,0 | | |
| 523 | ჰიკ (ფინეთი)-გრევენმახერი (ლუქსემბურგი) | 1,05 | 9,0 | 18,0 |
| 524 | სლავია (ბელარუსი)-მაკაბი (ჰაიფა/ისრაელი) | 2,4 | 3,0 | 2,7 |
| 525 | სლოვანი (სლოვაკეთი)-ლოკომოტივი (საქართველო) | ანგარიში - 5,0 | | |
| 526 | უნივერსიტატია (რუმინეთი)-პობედა (მაკედონია) | 1,5 | 3,6 | 5,6 |
| 527 | ეკრანასი (ლიტვა)-ლიერსი (ბელგია) | 4,0 | 3,1 | 1,8 |
| 528 | ნაპრედაკი (იუგოსლავია)-ტულევიკი (ესტონეთი) | 1,25 | 5,0 | 9,0 |
| 529 | ტომორი (ალბანეთი)-აპოელი (კვიპროსი) | 2,3 | 3,1 | 2,8 |
| 530 | ჟალგირისი (ლიტვა)-რუხი (პოლონეთი) | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| 531 | ვენტსპილსი (ლატვია)-ვაშაში (უნგრეთი) | 2,9 | 3,0 | 2,3 |
| 532 | მეტალურგსი (ლატვია)-ბრანი (ნორვეგია) | 4,2 | 3,0 | 1,8 |
| 533 | დრნოვიცე (ჩეხეთი)-ბუდუჩნოსტი (იუგოსლავია) | 1,6 | 3,3 | 5,3 |
| 534 | რაპიდი (ავსტრია)-ტეუტა (ალბანეთი) | 1,1 | 7,0 | 15,0 |
| 535 | სლიმა (მალტა)-პარტიზანი (იუგოსლავია) | 9,0 | 5,0 | 1,25 |
| 536 | ვორსკლა (უკრაინა)-რაბოტნიჩკი (მაკედონია) | 1,5 | 3,8 | 5,3 |
| 537 | აიკ (შვედეთი)-გომელი (ბელარუსი) | 1,25 | 5,0 | 9,0 |
| 538 | ომონია (კვიპროსი)-ნეფტოხიმიკი (ბულგარეთი) | 2,3 | 3,0 | 2,9 |
| 539 | რაპიდი (რუმინეთი)-აშტარაკი (სომხეთი) | 1,15 | 6,0 | 12,0 |
| 540 | ლოზანა (შვეიცარია)-კორკი (ირლანდია) | 1,2 | 5,6 | 10,0 |
| 541 | აკადემისკი (დანია)-ტორსჰავენი (ფარერები) | 1,05 | 9,0 | 18,0 |
| 542 | ამიცა (პოლონეთი)-ვადუცი (ლიხტენშტაინი) | 1,05 | 9,0 | 18,0 |
| 543 | ბრიუგე (ბელგია)-ფლორა (ესტონეთი) | 1,1 | 7,0 | 15,0 |
| 544 | გოტუ (ფარერები)-ნორჩიოპინგი (შვედეთი) | 7,5 | 4,0 | 1,35 |
| 545 | მტკ (უნგრეთი)-იოკერიტი (ფინეთი) | 1,5 | 3,5 | 6,0 |
| 546 | ფოლგორი (სან მარინო)-ბაზელი (შვეიცარია) | 15,0 | 7,0 | 1,05 |
| 547 | ჟელეზნიჩარი (ბოსნია)-ვისლა (პოლონეთი) | 2,4 | 3,0 | 2,7 |
| 548 | ბანგორი (უელსი)-ჰალმსტადი (შვედეთი) | 5,3 | 3,3 | 1,6 |
| 549 | კოლრეინი (ჩრდ.ირლანდია)-იორგრიტე (შვედეთი) | 4,0 | 3,1 | 1,8 |
| 550 | კონსტელაციო (ანდორა)-რაიო ვალეკანო (ესპანეთი) | 15,0 | 7,0 | 1,05 |
| 551 | გლენტორანი (ჩ.ირლანდია)-ლილესტრ. (ნორვეგია) | 4,0 | 3,1 | 1,9 |
| 552 | ჟენესი (ლუქსემბურგი)-სელტიკი (შოტლანდია) | 12,0 | 6,0 | 1,15 |
| 553 | რიეკა (ხორვატია)-ვალეტა (მალტა) | 1,05 | 9,0 | 18,0 |
| 554 | აბერდინი (შოტლანდია)-ბოჰემიანსი (ირლანდია) | 1,2 | 5,6 | 10,0 |
| 555 | ვესტმანაეიარი (ისლანდია)-ჰარტსი (შოტლანდია) | 3,5 | 3,0 | 2,0 |
| 556 | ბოავიშტა (პორტუგალია)-ბერი (უელსი) | 1,05 | 9,0 | 18,0 |

ეტაპზე გასვლა
(მიუთითეთ მხოლოდ ის გუნდი, რომელიც გავა შემდეგ ეტაპზე)
9 აგვისტო

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 705 | დინამო (უკრაინა) | -1,3 | ცრვენა ზვეზდა (იუგ.) | -2,8 |
| 706 | შახტარი (უკრაინა) | -3,1 | სლავია (ჩეხეთი) | -1,25 |
| 707 | ანდერლეხტი (ბელგია) | -2,1 | პორტუ (პორტუგალია) | -1,45 |
| 708 | პოლონია (პოლონეთი) | -2,5 | პანათინაიკოსი (საბ.) | -1,35 |
| 709 | ჰერფიოლგე (დანია) | -5,0 | რეინჯერსი (შოტლ.) | -1,05 |
| 710 | სენტ გალენი (შვეიც.) | -3,5 | გალათასარაი (თურქ.) | -1,2 |
| 711 | ტიროლი (ავსტრია) | -7,5 | ვალენსია (ესპანეთი) | -1,05 |
| 712 | ლიდსი (ინგლისი) | -1,35 | მიუნხენ 1860 (გერმან.) | -2,5 |
| 713 | ჰელსინგბორგი (შვედ.) | -12,0 | ინტერი (იტალია) | -1,01 |
| 714 | მილანი (იტალია) | -1,01 | დინამო (ხორვატია) | -12,0 |
| 715 | დუნაფერი (უნგრეთი) | -4,0 | რუსენბორგი (ნორვეგ.) | -1,15 |

10 აგვისტო

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 718 | ნეფთჩი (აზერბაიჯანი) | -4,0 | გორიცა (სლოვენია) | -1,05 |
| 719 | არარატი (სომხეთი) | -4,0 | კოშიცე (სლოვაკეთი) | -1,05 |
| 720 | შერიფი (მოლდოვა) | -4,0 | ოლიმპია (სლოვენია) | -1,05 |
| 721 | კონსტრუქ.(მოლდოვა) | -4,0 | ცსკა (ბულგარეთი) | -1,05 |
| 723 | ჰიკ (ფინეთი) | —— | გრევენმახერი (ლუქს.) | -12,0 |
| 724 | სლავია (ბელარუსი) | -3,1 | მაკაბი (ჰაიფა/ისრ.) | -1,2 |
| 726 | უნივერსიტატია (რუმ.) | -1,25 | პობედა (მაკედონია) | -2,8 |
| 727 | ეკრანასი (ლიტვა) | -7,5 | ლიერსი (ბელგია) | -1,02 |
| 728 | ნაპრედაკი (იუგოსლ.) | -1,03 | ტულევიკი (ესტონეთი) | -6,0 |
| 729 | ტომორი (ალბანეთი) | -3,1 | აპოელი (კვიპროსი) | -1,2 |
| 730 | ჟალგირისი (ლიტვა) | -4,0 | რუხი (პოლონეთი) | -1,05 |
| 731 | ვენტსპილსი (ლატვია) | -4,0 | ვაშაში (უნგრეთი) | -1.05 |
| 732 | მეტალურგსი (ლატვ.) | -5,0 | ბრანი (ნორვეგია) | -1,02 |
| 733 | დრნოვიცე (ჩეხეთი) | -1,4 | ბუდუჩნოსტი (იუგოს.) | -2,1 |
| 734 | რაპიდი (ავსტრია) | -1,01 | ტეუტა (ალბანეთი) | -7,5 |
| 735 | სლიმა (მალტა) | -15,0 | პარტიზანი (იუგოსლ.) | —— |
| 736 | ვორსკლა (უკრაინა) | -1,3 | რაბოტნიჩკი (მაკედ.) | -2,5 |
| 737 | აიკ (შვედეთი) | -1,05 | გომელი (ბელარუსი) | -4,0 |
| 738 | ომონია (კვიპროსი) | -2,1 | ნეფტოხიმიკი (ბულგ.) | -1,4 |
| 739 | რაპიდი (რუმინეთი) | -1,01 | აშტარაკი (სომხეთი) | -7,5 |
| 740 | ლოზანა (შვეიცარია) | -1,02 | კორკი (ირლანდია) | -6,0 |
| 741 | აკადემისკი (დანია) | —— | ტორსჰავენი (ფარერ.) | -12,0 |
| 742 | ამიცა (პოლონეთი) | —— | ვადუცი (ლიხტენშტ.) | -15,0 |
| 743 | ბრიუგე (ბელგია) | -1,01 | ფლორა (ესტონეთი) | -9,0 |
| 744 | გოტუ (ფარერები) | -9,0 | ნორჩიოპინგი (შვედ.) | -1,01 |
| 745 | მტკ (უნგრეთი) | -1,25 | იოკერიტი (ფინეთი) | -2,5 |
| 746 | ფოლგორი (სან მარ.) | -15,0 | ბაზელი (შვეიცარია) | —— |
| 747 | ჟელეზნიჩარი (ბოსნია) | -[illegible],5 | ვისლა (პოლონეთი) | -1,15 |
| 748 | ბანგორი (უელსი) | -7,5 | ჰალმსტადი (შვედეთი) | -1,02 |
| 749 | კოლრეინი (ჩრდ.ირლ.) | -6,0 | იორგრიტე (შვედეთი) | -1,03 |
| 750 | კონსტელაციო (ანდ.) | -15,0 | რაიო ვალეკანო (ესპ.) | —— |
| 751 | გლენტორანი (ჩ.ირლ.) | -6,0 | ლილესტრ. (ნორვეგია) | -1,03 |
| 752 | ჟენესი (ლუქსემბურგი) | -12,0 | სელტიკი (შოტლანდ.) | —— |
| 753 | რიეკა (ხორვატია) | —— | ვალეტა (მალტა) | -12,0 |
| 754 | აბერდინი (შოტლანდ.) | -1,05 | ბოჰემიანსი (ირლანდ.) | -4,0 |
| 755 | ვესტმანაეიარი (ისლ.) | -4,0 | ჰარტსი (შოტლანდია) | -1,05 |
| 756 | ბოავიშტა (პორტუგ.) | —— | ბერი (უელსი) | -12,0 |

**კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ**

ეროვნული ბიბლიოთეკა



გუსტავო კუერტენი



მარტინა ჰინგისი

# გუგამ დაიგუგუნა

ATP ტურის მესვეურთა მიერ, წლეულს დანერგილ კაცთა ახალ კლასიფიკაციას — „ჩემპიონთა რბოლა 2000“-ს სათავეში ისევ ბრაზილიელი გუსტავო კუერტენი ჩაუდგა. გუგა „როლან გაროსზე“ გამარჯვების მერე ხუთი კვირის მანძილზე ლიდერობდა, მაგრამ მერე მომძლავრებულ შვედს, მაგნუს ნორმანს დაანება პირველობა. ახლა კი, ბრაზილიელმა და შვედმა კვლავ გაცვალეს ადგილები, თუმცა კუერტენი ნორმანს მხოლოდ ქულით უსწრებს. ასეთი მცირე უპირატესობა, ცხადია, გუგასთვის ვერაფერი ნუგეშია. ერთი წაფორხილება და ამბიციური ნორმანი უკან მოიტოვებს.

ჩემპიონთა რბოლაში მერვედან მეოთხე ადგილზე გადასკუპდა რუსი მარატ საფინი, რომელმაც გასულ უქმეებზე ტორონტოში „მასტერსის“ უპრესტიჟულესი ტურნირი მოიგო ამასთან ერთად კარგა გვარიანი ფულითაც გაისქელა ჯიბე და მილიონერ ჩოგბურთელთა მარაქაშიც გაერია.

ქალთა კლასიფიკაციის პირველ საფეხურზე მყარად დგას შვეიცარიელი მარტინა ჰინგისი. მოწინავეთა ათეულშიც არაფერი შეცვლილა. ოდნავ ქვემოთ თუ ჩავინაცვლებთ, რამდენიმე სიახლეს შევამჩნევთ, უპირველესად მეთვრამეტედან მეთხუთმეტეზე ასული ანა კურნიკოვა და ახლახან, კარლსბადის ტურნირზე ჰინგისის დამმარცხებელი ემი ფრეზერის მეოცე ადგილი მოგვხვდება თვალში.

## კლასიფიკაცია

| ჩემპიონთა რბოლა 2000 | | |
|---|---|---|
| 1.2. | გუსტავო კუერტენი (ბრაზილია) | 527 |
| 2.1. | მაგნუს ნორმანი (შვედეთი) | 526 |
| 3.3. | პიტ სამპრასი (აშშ) | 482 |
| 4.8. | მარატ საფინი (რუსეთი) | 370 |
| 5.4. | ანდრე აგასი (აშშ) | 369 |
| 6.5. | ალექს კორეჩა (ესპანეთი) | 357 |
| 7.6. | ევგენი კაფელნიკოვი (რუსეთი) | 355 |
| 8.7. | ლეიტონ ჰიუტი (ავსტრალია) | 322 |
| 9.10. | ხუან კარლოს ფერერო (ესპანეთი) | 279 |
| 10.9. | სედრიკ პიოლინი (საფრანგეთი) | 267 |
| 11.11. | ფრანკო სკილარი (არგენტინა) | 264 |
| 12.15. | პატრიკ რაფტერი (ავსტრალია) | 245 |
| 13.13. | ტომას ენკვისტი (შვედეთი) | 240 |
| 14.12. | მარიანო პუერტა (არგენტინა) | 236 |
| 15.14. | მარკ ფილიპუსისი (ავსტრალია) | 226 |
| 16.20. | უეინ ფერერა (სამხრეთ აფრიკა) | 223 |
| 17.16. | ტიმ ჰენმანი (ინგლისი) | 215 |
| 18.17. | იუნეს ელ აინაუი (მაროკო) | 209 |
| 19.18. | ნიკოლას ლაპენტი (ეკვადორი) | 187 |
| 20.21. | გასტონ გაუდიო (არგენტინა) | 182 |

| კლასიფიკაცია ძველი სისტემით | | |
|---|---|---|
| 1.1. | ანდრე აგასი | 3991 |
| 2.3. | პიტ სამპრასი | 3416 |
| 3.2. | მაგნუს ნორმანი | 3205 |
| 4.4. | გუსტავო კუერტენი | 3148 |
| 5.5. | ევგენი კაფელნიკოვი | 2802 |
| 6.9. | მარატ საფინი | 2379 |
| 7.10. | ალექს კორეჩა | 2136 |
| 8.6. | ტომას ენკვისტი | 2097 |
| 9.8. | ლეიტონ ჰიუიტი | 1980 |
| 10.7. | სედრიკ პიოლინი | 1975 |

| ქალები | | |
|---|---|---|
| 1.1. | მარტინა ჰინგისი (შვეიცარია) | 5918 |
| 2.2. | ლინდსი დევენპორტი (აშშ) | 5410 |
| 3.3. | ვინუს უილიამსი (აშშ) | 3667 |
| 4.4. | მარი პირსი (საფრანგეთი) | 3424 |
| 5.5. | მონიკა სელეში (აშშ) | 3112 |
| 6.6. | კონჩიტა მარტინესი (ესპანეთი) | 2705 |
| 7.7. | სერენა უილიამსი (აშშ) | 2594 |
| 8.8. | ნატალი ტოზია (საფრანგეთი) | 2255 |
| 9.9. | ანკე ჰუბერი (გერმანია) | 1990 |
| 10.10. | არანჩა სანჩეს-ვიკარიო (ესპანეთი) | 1990 |
| 11.11. | სანდრინ ტესტიუ (საფრანგეთი) | 1783 |
| 12.12. | ამელი მორესმო (საფრანგეთი) | 1761 |
| 13.13. | ამანდა კუტცერი (სამხრეთ აფრიკა) | 1642 |
| 14.14. | ჟული ალარი (საფრანგეთი) | 1629 |
| 15.18. | ანა კურნიკოვა (რუსეთი) | 1608 |
| 16.15. | დომინიკ ვან რუსტი (ბელგია) | 1521 |
| 17.17. | ჯენიფერ კაპრიატი (აშშ) | 1470 |
| 18.16. | ბარბარა შეტი (ავსტრია) | 1451 |
| 19.19. | ჩანდა რუბინი (აშშ) | 1337 |
| 20.26. | ემი ფრეზერი (აშშ) | 1184 |
| 21.20. | აი სუგიამა (იაპონია) | 1173 |
| 22.21. | ნატალი დეში (საფრანგეთი) | 1159 |
| 23.23. | ელენა ლიხოვცევა (რუსეთი) | 1152 |
| 24.24. | ლაიზა რეიმონდი (აშშ) | 1093 |
| 25.25. | ანა-გეილ სიდო (საფრანგეთი) | 1092 |
| 26.22. | საბინე აპელმანსი (ბელგია) | 1069 |
| 27.27. | სილვია ტალაია (ხორვატია) | 1019 |
| 28.28. | რუქსანდრა დრაგომირი (რუმინეთი) | 1008 |
| 29.29. | მაუი სერნა (ესპანეთი) | 1005 |
| 30.30. | პატი შნიდერი (შვეიცარია) | 995 |

## ვინ რამდენი $ მოიხვეჭა სეზონში

| | |
|---|---|
| 1. გუსტავო კუერტენი | 1 603 130 |
| 2. პიტ სამპრასი | 1 468 793 |
| 3. მაგნუს ნორმანი | 1 260 189 |
| 4. მარატ საფინი | 1 216 969 |
| 5. ევგენი კაფელნიკოვი | 1 057 159 |
| 6. ალექს კორეჩა | 934 525 |
| 7. ანდრე აგასი | 879 243 |
| 8. დომინიკ ჰრბატი (სლოვაკეთი) | 837 647 |
| 9. სედრიკ პიოლინი | 773 539 |
| 10. ლეიტონ ჰიუიტი | 686 372 |
| 11. პატრიკ რაფტერი | 663 786 |
| 12. უეინ ფერერა | 604 324 |
| 13. ფრანკო სკილარი | 582 158 |
| 14. ტომას ენკვისტი | 573 020 |
| 15. ტოდ ვუდბრიჯი (ავსტრალია) | 562 671 |
| 16. მარკ ვუდფორდი (ავსტრალია) | 557 110 |
| 17. ხუან კარლოს ფერერო | 544 226 |
| 18. ირჟი ნოვაკი (ჩეხეთი) | 511 443 |
| 19. ნიკოლას ლაპენტი | 472 775 |
| 20. მარიანო პუერტა | 438 993 |

| | |
|---|---|
| 1. მარტინა ჰინგისი | 1 534 224 |
| 2. ლინდსი დევენპორტი | 1 514 709 |
| 3. მარი პირსი | 1 141 768 |
| 4. ვინუს უილიამსი | 1 109 900 |
| 5. კონჩიტა მარტინესი | 833 080 |
| 6. მონიკა სელეში | 693 350 |
| 7. სერენა უილიამსი | 529 068 |
| 8. არანჩა სანჩეს-ვიკარიო | 518 589 |
| 9. ჟული ალარი | 446 045 |
| 10. ლაიზა რეიმონდი | 413 899 |
| 11. ანა კურნიკოვა | 400 630 |
| 12. სანდრინ ტესტიუ | 388 634 |
| 13. აი სუგიამა | 385 310 |
| 14. ამანდა კუტცერი | 370 532 |
| 15. ნატალი ტოზია | 317 411 |
| 16. ჩანდა რუბინი | 313 395 |
| 17. ანკე ჰუბერი | 291 666 |
| 18. ბარბარა შეტი | 291 087 |
| 19. ამელი მორესმო | 290 424 |
| 20. ელენა დოკიჩი (ავსტრალია) | 287 480 |

# ჩანდა, ჩანდა მოიგებდა

**ცინცინატი. ოჰაიო. „მასტერსი“. საპრიზო 2 950 000 $**

ტორონტოში მოთამაშე ჩოგბურთელთა უმეტესობამ სამხრეთით ჩაინაცვლა და შეერთებულ შტატებში შეუდგა სახელისა და ფულის ძიებას. ოჰაიოს არ ჩასულა პატრიკ რაფტერი, რომელსაც ტორონტოში მხრის ძველმა ტრავმამ შეახსენა თავი და თამაშიც წააგებინა, ამიტომ იქვე, პრესკონფერენციაზე, ავსტრალიელმა კარგად გაჯორა საკუთარი თავი ტრავმებთან თამაშისთვის და განაცხადა, სრულ გამოჯანმრთელებამდე ჩოგანს არ გაიქნევს.

ცინცინატში ჯერჯერობით დიდი სენსაცია არ მომხდარა. პირველ წრეში მხოლოდ ორი განთესილი გამოეთიშა ტურნირს და, ისინიც ისე რა ფავორიტები: ეკვადორელმა ნიკოლას ლაპენტიმ (10) მაროკოელ ჰიშამ არაზისთან წააგო, ხოლო ესპანელი ხუან კარლოს ფერერო ფრანგმა არნო კლემანმა შეიწირა. ტურნირის ფავორიტებს მეტნაკლებად გაუჭირდათ. გუსტავო კუერტენმა პირველივე სეტში სასტიკად დაარბია ფრანგი ჟერომ გოლმარი, როცა ექვსი გეიმი ზედიზედ მოუგო. ტორონტოში თავად ანდრე აგასის გამგდები ფრანგი თავგზააბნეული ჩანდა და მეტოქის დაკრულზე ცეკვავდა. მესამე გეიმში თავისი მოწოდებისას იგი 40:15 დაწინაურდა და გადამწყვეტი ქულის მოპოვების ნაცვლად 4(!) ორმაგი შეცდომა დაუშვა. მეორე სეტში გოლმარი თითქოს გამოცოცხლდა, მაგრამ კუერტენმა ერთი გეიმი იოლად აართვა და სრულ გამარჯვებას ამგვარი ანგარიშით უწია — 6:0, 6:4. ამ დროს კი უნდა გენახათ, რა დღეში იყო მესამედ განთესილი, შვედი მაგნუს ნორმანი, არგენტინელი ხუან იგნასიო ჩელა მასთან ორ სეტში კი დამარცხდა, მაგრამ ორივეს ბოლოში შვედი ბეწვის ხიდზე ატარა და ორჯერვე ტაი-ბრეიკში გადაწყდა ყველაფერი. ნორმანს დიდი ჯაფა დაადგა, რომ საბოლოო ანგარიში თავის სასარგებლოდ გამოეკვეთა — 7:6 (7:3), 7:6 (9:7). პრესკონფერენციაზე კუერტენმა თამამად შენიშნა, მეტოქეს ყველა იმედი პირველივე სეტში გადავუწურეო, ნორმანი კი უფრო თვითკრიტიკული იყო. „დღეს ჩემი საუკეთესო თამაში ვერ ვაჩვენე — თქვა მან — პრაქტიკა აშკარად აკლია და რაც შეიძლება, ბევრი უნდა ვითამაშო“.

ორი კვირის წინ ლოს ანჯელესის ტურნირის მოგება მაიკლ ჩანგის ბოლო ორი წლის კარიერაში ერთადერთ ნათელ სიმაღლედ რჩება, ტორონტოსა და ცინცინატში იგი ჰოლანდიელებმა არ გაახარეს. რიჩარდ კრაიჩეკისგან ნაწვნევი კანადური მარცხის შემდეგ ერთ დროს უფრო ცნობილი ჩინელ-ამერიკელი სხენგ შალკენმა 6:4, 4:6, 6:4 დაამარცხა და ცინცინატის ტურნირსაც მოსწყვიტა.

**პირველი წრე:** **ფრანკო სკილარი** (არგენტინა, 13) — გასტონ გაუდიო (არგენტინა) — 7:6 (7:4), 5:7, 6:0; **მარკ ფილიპუსისი** (ავსტრალია, 16) — არნო დი პასკუალე (საფრანგეთი) — 6:4, 6:2; **სებასტიან გროსჟანი** (საფრანგეთი) — კაროლ კუჩერა (სლოვაკეთი) — 6:4, 6:4; **კრის ვუდრაფი** (აშშ) — დომინიკ ჰრბატი (სლოვაკეთი) — 6:1, 3:6, 6:3; **მარსელო რიოსი** (ჩილე) — მარკ როსე (შვეიცარია) — 6:4, 6:4; **კარლოს მოია** (ესპანეთი) — ქარიმ ალამი (მაროკო) — 6:3, 6:7 (4:7), 6:4; **ფრანსისკო კლავეტი** (ესპანეთი) — როჯერ ფედერერი (შვეიცარია) — 7:6 (7:3), 7:6 (7:4); **სლავა დოსედელი** (ჩეხეთი) — მერდი ფიში (აშშ) — 7:6 (13:11), 6:2; **შტეფან კუბეკი** (ავსტრია) — ტომას იოჰანსონი (შვედეთი) — 6:2, 6:3.

**მანჰეტენ ბიჩი. კალიფორნია. „ლოს ანჯელეს ოუფენ“. საპრიზო 535 ათასი $**

ფრანგი ჟული ალარი კალიფორნიაში ტკბილი მოგონებებით ჩავიდა. შარშან ამავე ტურნირზე მან სენსაცია გამოაცხო, მარი პირსი და ლინდსი დევენპორტი ზედიზედ იმსხვერპლა და ფინალში გავიდა, სადაც სერენა უილიამსისგან მარცხი ელოდა. მოგონება მოგონებად, ხოლო „ლოს ანჯელეს ოუფენის“ წლევანდელ ნუსხებში ალარის გვარს მხოლოდ პირველი წრის ანგარიშებში ნახავთ. ამერიკელმა ჩანდა რუბინმა მას ერთობ იოლად 6:2, 6:1 მოუგო. ალარს უიმბლდონის შემდეგ ჩოგანი არსად გაექნია და მისი სისუსტე იქნებ ამის ბრალიც იყო. რუბინმა მეტოქე ყველანაირად დაჩაგრა, შვიდი მოწოდება აართვა და შემდეგ გაიკვირვა, იმაზე იოლად გავიმარჯვე, ვიდრე ველოდიო.

„არ გამიმართლა, რომ პირველივე მატჩში ჩანდრას შევხვდი — პატივისცემით თქვა ალარმა — ის ძლიერი ჩოგბურთელია და ერთი თვის უთამაშებელს კი არა, ფორმაში მყოფსაც მასთან გამკლავება მუდამ მიჭირს. ჩანდრა აშკარად ჩემზე უკეთ მომზადებულა“.

რუსმა ელენა დემენტიევამ ფრანგი ნატალი დეში დაამარცხა, ხოლო ელიტარული ჩოგბურთელები ასპარეზობაში ჯერ არ ჩაბმულან. პირველ ნომრად შვეიცარიელი მარტინა ჰინგისია განთესილი, რომელიც კარლსბადში წარუმატებლობის შემდეგ, ახლა ლოს ანჯელესში შეეცდება სახელისა და სხვა რამეების მოხვეჭას. მეორედ ამერიკელი ლინდსი დევენპორტი განუთესავთ, კარლსბადის კიდევ ერთი უიღბლოთაგანი, იმას კი ამერიკელი მონიკა სელეში და ესპანელი კონჩიტა მარტინესი მოჰყვებიან. მეხუთე კი სერენა უილიამსია, უფროს დისგან ბოლო ხანებში დაჩრდილული ზანგი გოგონა. უიმბლდონზე ვინუსთან წაგების შემდეგ სერენა არსად გამოსულა და კალიფორნიაში პირველად რუქსანა დრაგომირის წინააღმდეგ ითამაშებს.

**პირველი წრე:** **ანა-გეილ სიდო** (საფრანგეთი) — აი სუგიამა (იაპონია) — 6:3, 6:4; **ალექსანდრა სტივენსონი** (აშშ) — სილვია ტალაია (ხორვატია) — 4:6, 6:4, 6:2; **ელენა დემენტიევა** (რუსეთი) — ნატალი დეში (საფრანგეთი) — 6:4, 4:6, 6:4

**დავით გულუა**



ჩანდა რუბინი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სადაც თქვენი თქვათ...

## ვიოლეტა შეკელიმ საბოსა და მუტოლას თავი შეახსენა




REUTERS ლონდონიდან

ჰიშამ ელ-გურუჯი

**მძლეოსნობის** მოყვარულთ ამ უქმეებზე გამართული, მოულოდნელობებით დახუნძლული „ლონდონის დიდი პრიზის“ შესახებ უნდა მოვუყვეთ. სენსაციაო არ ვიტყვით, გაბრიელა საბო, ატო ბოლდონი და მარია მუტოლაც ადამიანები არიან და არ შეიძლება, ყოველთვის ყველაფერს იგებდნენ. მით უფრო, „ლონდონის დიდი პრიზი“ დიდად პრესტიჟული შეჯიბრი კია, მაგრამ არა ისეთი, ერთი გამარჯვებით სპორტსმენის სახელი უკვდავყოს, როგორც მაგალითად, ოლიმპიადამ. ამიტომ ზედმეტ ხმაურს მოვერიდებით, სიტყვა „მოულოდნელობა“ კი ბრიტანეთის დედაქალაქში შაბათს მომხდარ რამდენიმე ამბავს სწორედ რომ შეეფერება.

1500 მეტრზე რბენას მაყურებლები მოუთმენლად ელოდნენ. დიდი ხნის შემდეგ ბედმა რუმინელი და მოზამბიკელი ვარსკვლავები ისევ შეჰყარა ერთ ბილიკზე და ზედ ოლიმპიადის წინ ამაზე დიდი ინტრიგა რაღა იქნებოდა? საბომ და მუტოლამ ენერგიულად ირბინეს და მეორე-მესამე (!) ადგილები დაიკავეს, მათზე წინ კი, საბოზე სულ ცოტათი ადრე, ფინიშს მისმა თვისტომმა, ვიოლეტა შეკელი უწია. მთლად უჩინო ვინმე არაა, ადრეც ერთი-ორჯერ გვიხსენებია და ახლა კი...

ასევე კარგა ხნის შემდეგ გვერდიგვერდ მაროკოელი და კენიელი ვარსკვლავებიც აღმოჩნდნენ: ჰიშამ ელ-გურუჯი და ნოა ნგენი კაცთა მილიან დისტანციაზე სიდნეის ოლიმპიადის ფავორიტები არიან. ლონდონური რეპეტიცია არაბმა მოიგო. მსოფლიოს პირველმა მძლეოსანმა (მძლეოსნობის საერთაშორისო ფედერაციის რეიტინგით) ორიოდე წამით გაუსწრო მეტოქეს. ამასთან ელ-გურუჯის შედეგი იმ საქმის ისტორიაში მერვე იყო და კარგი განწყობისთვის ესეც საბაბია.

რუსი ვიაჩესლავ ვორონინი 2 მეტრსა და 40 სანტიმეტრს გადაევლო (ბოლო ექვსი წლის საუკეთესო შედეგია), ხოლო უკრაინელი ინესა კრავეცი 6 მეტრსა და 90 სანტიმეტრზე გადახტა. მარიონ ჯონსი სიგრძეზე ხტომაში არ გამოსულა, კრავეცთან მისი დუელი საინტერესო კი იქნებოდა. ამერიკელმა ამჯერად თავისი საყვარელი 100 მეტრი ირბინა და სანაქებოდაც — ჯერ ერთი, რომ მხოლოდ 1,1 მ/წმ სიჩქარიანი ზურგქარის დახმარებით 10,78 წამი დახარჯა და მთავარი მეტოქე, ციცქნა ინგერი მილერიც გვარიანად მოიტოვა.

სხვა მნიშვნელოვანი ამბები: მამაკაცთა 5000 მეტრი ტრადიციულად ეთიოპელმა ჰაილე გაბრესელასიემ მოიგო, რომელმაც დიდი უილსონ კიპკეტერის ძმას სამუელსა და თვისტომ ასეფა მეზგებუს გაუსწრო. ქალთა 400-მეტრიან დისტანციაზე კეტი ფრიმენის არყოფნა მექსიკელმა ანა გევარამ სხვაზე კარგად გამოიყენა, ხოლო კენიელი ტეგლა ლორუპესგან ქალთა 5000 მეტრზე დაკავებულ მესამე ადგილს ასევე მოულოდნელად ჩავთვლიდით, მსგავსი რამ ერთი-ორჯერ ადრეც რომ არ მოსვლოდა. ნამდვილი მოულოდნელობა კი ატო ბოლდონის შერცხვენა იყო. ტრინიდადელმა 100 მეტრზე რბენისას საოცრად უხეირო სტარტი აიღო და მერე წინ გავარდნილთა დაწევა ამაოდ სცადა: ბოლდონის გვარი პირველ სამეულში ვერ იკითხება. დისტანცია კანადელმა ბრუნი სურინმა მოიგო, ხოლო რაც უთქმელი დაგვრჩა, ქვემოთ, ცხრილებშია მოცემული, იქ თქვენ ბრიტანელ მარკ რიჩარდსონსაც აღმოაჩენთ, საკუთარი ფედერაციისგან გამართლებულსა და მსოფლიო მძლეოსნობის მამების საბოლოო განაჩენის მომლოდინეს.

**დავით გულუა**

### ლონდონის დიდი პრიზი

#### ქალები

400 მ. 1. ანა გევარა (მექსიკა) — 50,12; 2. მიშელ კოლინზი (აშშ) — 50,15; 3. კეტრინ მერი (დიდი ბრიტანეთი) — 50,45.

400 მ. თარჯრბენი. 1. სანდრა გლოვერი (აშშ) — 53,92; 2. გუდრუნ არნარდოტირი (ისლანდია) — 54,37; 3. დეონ ჰემინგსი (იამაიკა) — 54,69.

სიგრძეზე ხტომა. 1. ინესა კრავეცი (უკრაინა) — 6,92; 2. ივა პრანძევა (ბულგარეთი) — 6,85; 3. დოუნ ბურელი (აშშ) — 6,85.

1500 მ. 1. ვიოლეტა შეკელი (რუმინეთი) — 4:05,01; 2. გაბრიელა საბო (რუმინეთი) — 4:05,72; 3. მარია მუტოლა (მოზამბიკი) — 4:06,42.

5000 მ. 1. აიელეჰ ვორკუ (ეთიოპია) — 14:41,23; 2. პოლა რედკლიფი (დიდი ბრიტანეთი) — 14:44,36; 3. ტეგლა ლორუპე (კენია) — 14:45,95.

100 მ. 1. მარიონ ჯონსი (აშშ) — 10,78; 2. ინგერ მილერი (აშშ) — 10,97; 3. ტორი ედუარდსი (აშშ) — 11,09.

#### კაცები

სამხტომი. 1. ჯონათან ედვარდსი (დიდი ბრიტანეთი) — 17,34; 2. ლერი აჩიკე (დიდი ბრიტანეთი) — 17,03; 3. დენის კაპუსტინი (რუსეთი) — 16,83.

200 მ. 1. ბერნარდ უილიამსი (აშშ) — 20,45; 2. ჯონ დრამონდი (აშშ) — 20,50; 3. კრისტიან მალკომი (დიდი ბრიტანეთი) — 20,51.

მილი. 1. ჰიშამ ელ-გურუჯი (მაროკო) — 3:45,96; 2. ნოა ნგენი (კენია) — 3:47,67; 3. ჯონ მეიოკი (დიდი ბრიტანეთი) — 3:53,54;

400 მ. თარჯრბენი. 1. ანჯელო ტეილორი (აშშ) — 48,66; 2. ჰადი ალსომალი (საუდის არაბეთი) — 48,75; 3. კრის როულინსონი (დიდი ბრიტანეთი) — 49,11.

800 მ. 1. ტონი უაითმენი (დიდი ბრიტანეთი) — 1:45,81; 2. დევიდ კიპტუ (კენია) — 1:45,95; 3. ჯეიმს მაკილროი (დიდი ბრიტანეთი) — 1:45,96.

400 მ. 1. გრეგ ჰოუტონი (იამაიკა) — 44,91; 2. ალეხანდრო კარდენასი (მექსიკა) — 44,92; 3. მარკ რიჩარდსონი (დიდი ბრიტანეთი) — 45,11.

100 მ. 1. ბრუნი სურინი (კანადა) — 10,16; 2. ტიმ მონტგომერი (აშშ) — 10,18; 3. დარენ კემპბელი (დიდი ბრიტანეთი) — 10,20.

ჭოკით ხტომა. 1. ნიკ ჰაისონგი (აშშ) — 5,80; 2. ტიმ ლობინგერი (აშშ) — 5,80; 3. დმიტრი მარკოვი (ავსტრალია) — 5,75.

110 მ. თარჯრბენი. 1. ალენ ჯონსონი (აშშ) — 13,35; 2. ლერი უეიდი (აშშ) — 13,49; 3. ფალკ ბალცერი (გერმანია) — 13,57.

შუბის ტყორცნა: 1. აკი პარვიაინენი (ფინეთი) — 87,81; 1. სტივ ბაკლი (დიდი ბრიტანეთი) — 85,84; 3. სერგეი მაკაროვი (რუსეთი) — 85,60.

სიმაღლეზე ხტომა. 1. ვიაჩესლავ ვორონინი (რუსეთი) — 2,40; 2. კვაკუ ბოატენგი (კანადა) — 2,31; 3. სერგეი კლუგინი (რუსეთი) — 2,31

5000 მ. 1. ჰაილე გაბრესელასიე (ეთიოპია) — 13:06,23; 2. სემი კიპკეტერი (კენია) — 13:06,99; 3. ასეფა მეზგებუ (ეთიოპია) — 13:09,06.



REUTERS ლონდონიდან

ვიაჩესლავ ვორონინი




ტრადიციული ამბორი: ალბერტო მარტინესს გამარჯვება თვისტომმა ლამაზმანებმა მიულოცეს

# ალბერტოს არავინ ელოდა

**ორშაბათს** ესპანეთში ველომრბოლთა მორიგი ტურნირი „ბურგოსის ტური“ დაიწყო. ამ შეჯიბრის პელოტონის შემადგენლობა საკმაოდ ძლიერია და პირველობისთვის ბრძოლაც დაძაბული იქნება.

პირველი ეტაპი ინდივიდუალური რბოლა იყო. მრბოლებმა მირანდა დე ებროდან სან ხუან დელ მონტემდე ექვსი კილომეტრი გაიარეს. ყველასთვის მოულოდნელად, ფავორიტებს ესპანელმა ალბერტო მარტინესმა აჯობა, რომელმაც საკმაოდ აღმართიანი გზის დაფარვას 9 წუთი და 3 წამი მოანდომა.

24 წლის მარტინესისთვის, რომელიც ბასკური გუნდის, „ესკალტელის“ წევრია, ეს მეოთხე გამარჯვებაა პროფესიული კარიერის მანძილზე. ისე, „ესკალტელი“ თავისი ზ-ქმნის დღიდან საკმაოდ კარგ მრბოლებს ზრდის. დასტურად „ტურ დე ფრანსის“ მესამეადგილოსანი ხოსება ბელოკიც გამოდგება, რომელიც ამჟამად „ფესტინას“ ღირსებას იცავს. აქვე გეტყვით, რომ ბასკეთში ველოსპორტი ძალიან უყვართ და ბევრი სახელოვანი მრბოლიც აღზრდილა ქართველთა მონათესავე ხალხში — აბრაამ ოლანო, ხოსება ბელოკი, იგორ გონსალეს დე გალდეანო, ხოსე მარია ხიმენესი...

მარტინესს 7 წამით ჩამორჩა დარიო ფრიგო, ალექს ცულე კი — 9-ით. „ტურ დე ფრანსის“ ზედიზედ მეორედ მომგებ ლენს არმსტრონგს კი, ეტყობა, დასვენება გადაუწყვეტია. მან საკმაოდ ნელა გაიარა გზა და საბოლოოდ 42-ე ადგილზე გავიდა, მარტინესთან კი 38 წამი წააგო. მასზე გაცილებით უკეთ გამოვიდნენ ესპანელთა განთქმული მთიელები — ფერნანდო ესკარტინი და ხიმენესი, რომლებსაც ინდივიდუალური რბოლები დიდად არ ეპიტნავებათ. პირველს მარტინესმა 26 წამით მიასწრო ფინიშზე, მეორეს კი — 27-ით. ოლანომ მხოლოდ 20 წამი წააგო, რუსმა პაველ ტონკოვმა კი — 17.

**გაგი გურული**

### ბურგოსის ტური

#### პირველი ეტაპი

მირანდა დე ებრო — სან ხუან დელ მონტე

ინდივიდუალური რბოლა, 6კმ

1. ალბერტო მარტინესი (ესპანეთი, ესკალტელი) — 9 წთ 03წმ
2. დარიო ფრიგო (იტალია, ფასა ბორტოლო) — +7წმ
3. ალექს ცულე (შვეიცარია, ბანესტო) — +9
4. ინიგო კუესტა (ესპანეთი, ონსე) — +10
5. რაიმონდას რუმსასი (ლიტვა, ფასა ბორტოლო) — +13

# არმსტრონგი ზემოთ, ჟალაბერი ქვემოთ

**გუშინწინ** ველოსპორტის საერთაშორისო კავშირმა მრბოლთა ახალი კლასიფიკაცია გამოაქვეყნა. მსოფლიოს თასის მეექვსე ეტაპზე, ჰამბურგის „HEW სიკლასიკში“ მეორე ადგილზე გასულმა იტალიელმა ფრანჩესკო კასაგრანდემ პირველობა ისევ შეინარჩუნა. ამერიკელმა ლენს არმსტრონგმა, რომელმაც წლეულს ზედიზედ მეორედ გაიმარჯვა „ტურ დე ფრანსზე“ და დღესდღეობით უძლიერესი მრბოლიც არის, წინა კლასიფიკაციასთან შედარებით ორი ადგილით ზევით აინაცვლა და მეოთხეა. ყოფილი პირველი ნომერი, ფრანგი ლორან ჟალაბერი კი ისევ ქვევით მიექანება და უკვე მეცამეტე საფეხურზე ჩამოქვეითდა. გთავაზობთ კლასიფიკაციის პირველ ოცეულს:

1. ფრანჩესკო კასაგრანდე (იტალია) ........ 2530 ქულა
2. იან ულრიხი (გერმანია) ........ 2178,75
3. ერიკ ზაბელი (გერმანია) ........ 1791
4. ლენს არმსტრონგი (აშშ) ........ 1453
5. რომანს ვაინსტეინსი (ლატვია) ........ 1392
6. პაოლო ბეტინი (იტალია) ........ 1391
7. ანდრეი ჩმილი (ბელგია) ........ 1341
8. დავიდე რებელინი (იტალია) ........ 1334
9. მარკუს ზბერგი (შვეიცარია) ........ 1333,25
10. მიკაელ ბოგერდი (ჰოლანდია) ........ 1312,25
11. აბრაამ ოლანო (ესპანეთი) ........ 1284,75
12. რობერტო ერასი (ესპანეთი) ........ 1226
13. ლორან ჟალაბერი (საფრანგეთი) ........ 1210,75
14. ხოსე მარია ხიმენესი (ესპანეთი) ........ 1193
15. სტეფანო გარძელი (იტალია) ........ 1165
16. იგორ გონსალეს დე გალდეანო (ესპანეთი) ........ 1138
17. კრისტოფ მორო (საფრანგეთი) ........ 1103
18. დმიტრი კონიშევი (რუსეთი) ........ 1061
19. ჯილბერტო სიმონი (იტალია) ........ 1034
20. იოჰან მუსეუვი (ბელგია) ........ 1030,25

ავტორბოლა

# ალეზის ჯიგარი ეწვის

FORMULA 1 WORLD CHAMPIONSHIP

წლევანდელ სეზონში ისედაც უიღბლო ჟან ალეზის საქმეები ბოლო დროს კიდევ უფრო უკან წაუვიდა. 36 წლის ფრანგი პილოტი ზედიზედ მესამე რბოლაა, ავარიაში ხვდება.

წინა ორი ფათერაკი ჟანს, თავიანთი შეფის ალენ პროსტის გულის გასახეთქად, თანაგუნდელმა ნიკ ჰაიდფელდმა დამართა. ბოლო, გერმანულ ეტაპზე კი მისი ცოდვა გადამთიელმა პედრო პაოლო დინიცმა დაიდო. 29 წლის ბრაზილიელმა კინაღამ საიქიოს გაისტუმრა საპენსიოდ გამზადებული კოლეგა.

„ჰოკენჰაიმრინგზე“ ჯირითი ლამის კოსმოსური სიჩქარეებით გამოირჩევა. აკი სწორედ იქ დამყარდა ფორმულის აბსოლუტური რეკორდი — 361 კმ/სთ. ეს ფანტასტიკური სიჩქარე დევიდ კულჰარდის „მაკლარენმა“ განავითარა უგრძესი და უსწრაფესი სწორი მონაკვეთის ბოლოს, „ჯიმ კლარკის მოსახვევის“ წინ, დაახლოებით იმ ადგილას, სადაც 1968 წელს დაიღუპა ლეგენდარული ბრიტანელი მრბოლი.

რაც შეეხება ალეზის, მას ავარია დინიცის ზედმეტად რისკიანი არასწორი მანევრის შედეგად, შუა რბოლისას შეემთხვა. საკმარისი იყო, 300 კმ/სთ სიჩქარით მქროლი ბოლიდები ოდნავ მიჰკარებოდა ერთმანეთს — ნაწვიმარ ტრასაზე ციბრუტივით დაბზრიალებული „პროსტი“ ბარიერს ისეთი ძალით მიეხეთქა, რომ ორი ბორბალი ადგილზევე დაკარგა. ალეზი ორჯერ გადაურჩა განსაცდელს — პირველად, მომძვრალმა უკანა ბორბალმა თავთან სულ რამდენიმე სანტიმეტრში რომ ჩაუფრინა და მაშინაც, როცა მისი მანქანა კედელს ემგერა არა სანახევროდ დაშლილი გვერდით, რაც ექსპერტების ვარაუდით, შეიძლებოდა ფატალური შედეგით დასრულებულიყო, არამედ ცხვირით. ამან კი საგრძნობლად შეამცირა დარტყმის ძალა.

ფრანგ პილოტს, მართალია, სერიოზული ტრავმები არ აღმოაჩნდა, მაგრამ ალბათ მაინც მოუწევს მომდევნო, უნგრული ეტაპის გამოტოვება. „დარტყმა ისეთი ძლიერი იყო, ეტყობა, შიგნეულობა დამიზიანდა. ახლაც მტკივა გულმკერდი და მუცელი — აღიარა ჟანმა ორიოდე დღის წინ — თუმცა, მაინც ბედი მქონია. უფრო მძლავრი ბოლიდის საჭესთან რომ ვმჯდარიყავი, ყველაფერი ბევრად უარესად იქნებოდა“.

13 აგვისტოს, ალეზის ადგილს, თუკი საჭირო შეიქნა, „პროსტის“ ტესტ-პილოტი სტეფან სარაზენი დაიკავებს

ვერც ალექს ვურცის საქმეა სახეიროდ. ორშაბათს ესპანეთში, ვალენსიის ავტოდრომზე ვაჯიშისას ავსტრიელ პილოტს მცირედი შეცდომა ძვირად დაუჯდა — მკვეთრ მოსახვევში საჭე ვერ დაიმორჩილა და თავისი „ბენეტონი“ მთელი ძალით მიახეთქა ბარიერს. შედეგად — მარჯვენა წინა შეკიდულობის ღერძმა კოკპიტის კედელი გაგლიჯა და მრბოლს ფეხში შეერჭო. ადგილობრივ კლინიკაში რენტგენით გამოკვლევამ აჩვენა, რომ ძვალი გატეხილი არაა, მაგრამ ფეხის გაკერვა მაინც გახდა საჭირო.

ექიმების აზრით, კვირას, უნგრეთის დიდი პრიზის გათამაშებაში ვურცის მონაწილეობა საეჭვოა. თავად მრბოლი კი იმედოვნებს, რომ სერიოზული არაფერი სჭირს და „ჰუნგარორინგზე“ აუცილებლად იასპარეზებს.

ამასობაში ისიც გაცხადდა, რომ „რენო“ 2002 წლიდან დაუბრუნდება ფორმულას. სახელგანთქმული ფრანგული კონცერნი ხუთი საჩემპიონო სეზონის შემდეგ, სამი წლის წინ დაემშვიდობა სამეფო რბოლებს. მაშინ მხოლოდ ძრავებით ამარაგებდა „ბენეტონსა“ და „უილიამსს“, ამჯერად კი საკუთარი გუნდით (ბოლიდიან-ძრავიანად) იასპარეზებს, ისევე, როგორც ადრე, 1977-85 წლებში.

კომპლექსური დაბრუნება ორი წლის მერეა დაგეგმილი, „რენოს“ ულტრა თანამედროვე ძრავები კი უკვე გაისად გამოჩნდება ტრასებზე — ფრანგულ გულს „ბენეტონის“ გარდა, ალბათ, „პროსტსა“ და „მინარდისაც“ ჩაუნერგავენ.

ირაკლი ნიკოლაძე



ჟან ალეზის „პროსტმა“ ჯანმრთელობა შეურყია

წყალბურთი

# წყალბურთელებმა ქვეჯგუფში ჩაყვინთეს

წარუმატებლად გამოდის საქართველოს ახალგაზრდა წყალბურთელთა ნაკრები გერმანულ ლუნენში მიმდინარე ევროპის ჩემპიონატზე. როგორც მოსალოდნელი იყო, ჩვენებურებმა ქვეჯგუფში სამივე მატჩი წააგეს — ჯერ იუგოსლავიელებთან, მერე გერმანელებთან, გუშინ კი ფრანგებთანაც დამარცხდნენ. ამიტომ მედლების მოპოვების ან რვა საუკეთესოში მოხვედრის შანსი წყალს გაატანეს. ახლა ქართველი წყალბურთელები სხვა ქვეჯგუფების მაჩანჩალებთან ერთად მეცხრე-მეთექვსმეტე ადგილებს გაითამაშებენ. იქნებ მათთან მეტოქეობაში იმ სანუკვარ მეცხრე ადგილზე მაინც გავიდნენ, რომელიც კონტინენტის მომავალი პირველობის ფინალური ეტაპის საგზურს ავტომატურად იძლევა.

ჭიდაობა

# ორი ივანის ერთი ბრინჯაო ქართველებს

მოსკოვში დასრულებულ ივან პოდუბნის მემორიალში საქართველოს ბერძნულ-რომაულად მოჭიდავეთა ნაკრები სიდნეის ოლიმპიადის, შვიდივე ლიცენზიანტით კი მონაწილეობდა, მაგრამ მაინც უმედლოდ დარჩა. ისეთი დიდი სპორტული ღონისძიების წინ, როგორც კარსმომდგარი ოლიმპიადაა, ასეთი ტურნირები უპირველესად საწვრთნელი ხასიათისაა და შედეგებზე ყურადღება არც მახვილდება. ამის დასტურად ისიც გამოდგება, რომ კობა გულიაშვილმა (58) და აკაკი ჩაჩუამ (63) ორ-ორი შეხვედრის მოგების მერე ნებაყოფლობით მიატოვეს ტურნირი. ეტყობა, თავად სპორტსმენებიც და მწვრთნელებიც მათი ჭიდაობით კმაყოფილები დარჩნენ და ტრავმებს მოერიდნენ.

რამდენიმე დღის წინ თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა ნაკრებმა ივან იარიგინის სახელობის საერთაშორისო ტურნირში იჭიდავა, სადაც ოთარ თუშიშვილი 63 კილოში ბრინჯაოს მედალს დაეუფლა. ამ შეჯიბრების წინ მან და დავით პოღოსიანმა წონები გაცვალეს — პოღოსიანი თავისთვის ქუდბედიან 58-ში დაბრუნდა (სადაც ორჯერ ევროპის ჩემპიონი გახდა), თუშიშვილმა კი 63-ში აინაცვლა. მისი მონდომებაც ალბათ ახალ წონაში ძალების გამოცდის სურვილმა განაპირობა.

ჩვენი გუნდებისთვის ეს იყო ბოლო ტურნირები ოლიმპიადამდე. დარჩენილ დროს ისინი შეკრებებს დაუთმობენ. „თავისუფლები“ უკვე ქობულეთში არიან, „ბერძენ-რომაელები“ კი მალე ბორჯომში წავლენ.

ირაკლი თავაძე

ხელბურთი

# რუსებმა დაიგვიანეს, იმედი კი მაინც აქვთ

ვაშ ხელბურთელთა 2003 წლის მსოფლიოს ჩემპიონატამდე საკმაოზე მეტი დროა, თუმცა ამ ერთობ საპასუხისმგებლო ღონისძიების სამასპინძლოდ ბრძოლა კარგა ხანია, რაც დაიწყო.

თავიდანვე სურვილგაჩენილ პრეტენდენტებს — ყატარს, სამხრეთ აფრიკასა და პორტუგალიას ამ დღეებში რუსეთიც შეუერთდა. დასაშვებზე ბევრად ხანგრძლივი ბჭობის შემდეგ, ხელბურთის იქაური კავშირის პრეზიდენტმა ალექსანდრ კოჟუხოვმა საერთაშორისო ფედერაციაში, ბოლოს და ბოლოს, განაცხადი აფრინა — სტუმრებს სანკტ პეტერბურგში უმაღლეს დონეზე დავუხვდებით. ეგაა, რევოლუციის აკვნის დამრწევი ქალაქის თავკაცებისგან შესაბამისი საფინანსო გარანტიის მიღება კოჟუხოვს ისე გაუჯანჯლდა, რომ წარდგენის დათქმულ ვადას ოთხი დღით გადააცილა. თუმცა იმედი აქვს, რომ დაგვიანების მიუხედავად, მსოფლიო ხელბურთის მამები მათ განაცხადს მაინც განიხილავენ და საკითხიც რუსთათვის სასიკეთოდ გადაწყდება.

ჩემპიონატის მასპინძელი ქვეყნის ვინაობა ნოემბერში, ფედერაციის მორიგ კონგრესზე, პორტუგალიის ქალაქ ეშტორილში გაირკვევა. ცხადია, საუკეთესო შანსი სწორედ პორტუგალიელებს აქვთ.

გია ახალაძე

კრივი



მაიკ ტაისონი

# ბრიტანელები მაიკ ტაისონს ასამართლებენ, მალაიზიელები 18 მილიონად მპატიჟებიან

მაიკ ტაისონის საქმენი კვლავ მსაჯულთა ხელშია. ბრიტანეთის კრივის კონტროლის კომიტეტმა, ცოტა გაწყდა და კრივი არ აუკრძალა მსოფლიოს უცუდეს კაცს.

კომიტეტმა განიხილა ტაისონის ქცევანი გლაზგოს „ჰემპდენ პარკზე“, ლუ სავარეზესთან ბრძოლისას, როცა რკინის მაიკმა რეფერის ნიშნის შემდეგ დასცხო მოწინააღმდეგეს. ტაისონის ვექილებმა ივაჟკაცეს და მსაჯულთა ბრალდებანი გააბათილეს, მაგრამ დღეს კვლავ გაიმართება მორიგი მოსმენა: მსაჯულნი განიხილავენ ნაციხარის სიტყვებს: „ლენოქს ლუისს გულს ამოვგლეჯ და მასვე ვაჭმევ, მის შვილებს კი თავად შევჭამ“.

ეს საქმე თავის რიგით მიდის და ტაისონს არც კი ახსოვს, როგორ მიანარცხას რეფერი „ჰემპდენ პარკის“ თოკებს, რათა სავარაზეს მისწვდომოდა. გიჟმაჟი ამერიკელი ახლა იმაზე ფიქრობს, თუ რა კარგია მალაიზიის დედაქალაქი კუალალუმპური, სადაც, ერთი იქაური პრომოუტერის თქმით, მომავალი წლის 21 იანვარს, ერთი ვინაობა საიდუმლოდ-შენახულ მოკრივეს უნდა შეებრძოლოს.

ბრძოლა ას ათას ადგილიან ეროვნულ სტადიონზე გაიმართება, სადაც მეოთხედი საუკუნის წინ მუჰამედ ალიმ დასცა ჯო ბაგნეთი.

მალაიზიის პრემიერ მინისტრი აბდულა აჰმად ბადავი მალე ოფიციალურად გამოაცხადებს ტაისონის ამბავს. სპონსორები 18 მილიონ დოლარს სთავაზობენ მაიკს.

ალბერტ ხაჩატურიშვილი

რაგბი

# კეპლანმა ტარა შეაგროვა

## ახალზელანდიელებს წინაპართა სისხლი აუდუღდათ

ახალი ზელანდია დიდი ბრიტანეთის თანამეგობრობაში შედის და იქ ადრე გემებს უმეტესად დამნაშავეები ჩაჰყავდათ, რომლებმაც შექმნეს კიდეც შემდგომში სახელმწიფო, მაგრამ დღემდე ახალზელანდიელებს არ ახასიათებდათ ინგლისელთა ერთი მანკიერი ჩვეულება, ხულიგნური ქომაგობა.

და აი, სამი ერის პირველობაზე, ახალი ზელანდია — ავსტრალიის მატჩში „ოლ ბლექსის“ გულშემატკივრებმა ინგლისელებს მიბაძეს — შეხვედრის მსაჯს, სამხრეთაფრიკელ ჯონათან კეპლანს სხვადასხვა საგნები დაუშინეს მას შემდეგ, რაც ამ უკანასკნელმა მატჩის ბოლო წამებზე ავსტრალიელთა სასარგებლოდ საჯარიმო დანიშნა. სარაგბო სამყაროში ამ ამბავმა ერთგვარი ეჭვიც დაბადა. პროფესიონალიზმის შემოღებამ ასეთი ამბები არ მოგვიმრავლოსო.

„ოლ ბლექსისა“ და „ვოლაბების“ შეხვედრა იქნებ ვერც დამთავრებულიყო, მატჩი კიდევ რამდენიმე წუთი რომ გაგრძელებულიყო. კეპლანს მოედნის დატოვება პლასტმასის ბოთლების წვიმის თანხლებით მოუხდა. ახალზელანდიურმა მედიამ და ზოგიერთმა ოფიციალურმა პირმა უკვე მოითხოვეს, რომ ამ ინციდენტის ავტორებს აეკრძალოს ქვეყნის ყველა სტადიონზე შესვლა. თუმცა დამნაშავეთა ვინაობა ჯერჯერობით უცნობია. ველინგტონის პოლიცია კი აცხადებს: „ყველა ღონეს ვიხმართ ხულიგნების საპოვნელად“.

ბოლო წუთზე დანიშნული საჯარიმო ავსტრალიელთა კაპიტანმა ჯონ ილზმა გაიტანა და თავისიანებს გამარჯვება მოუტანა (24:23). სწორედ ამას მოჰყვა ბოთლების წვიმა კეპლანის და ლანძღვა-გინება ილზის მისამართით. ახალი ზელანდიის პრემიერ-მინისტრმა, ჰელენ კლარკმა ინციდენტის გამო დიდი გულისტკივილი გამოთქვა: „ჩვენ არ გვინდა, სახელი ფეხბურთის ინგლისელი ფანებივით გაგვიფუჭდეს“.

მომხდარის გამო აღშფოთებას ვერ მალავდა ველინგტონის მერი მარკ ბლამსკიც. „ასეთ ხალხს წითელი ბარათი უნდა ვუჩვენოთ და ჩვენი სტადიონები სამუდამოდ გავწმინდოთ მათგან“ — თქვა მერმა და იქვე დაამატა, რომ მისი ქალაქი რაგბიზე უზომოდაა შეყვარებული და ამიტომ ილზის მისამართით სტვენა და ლანძღვა ასე თუ ისე მაინც გასაგებია. „ვფიქრობ, რომ ქომაგებმა ილზის იმიტომ უსტვინეს, რათა მისთვის ხელი შეეშალათ. ზოგიერთმა ეს გააკეთა კიდეც, სხვებმა კი თავის შეკავება მოახერხეს. ეს უბრალოდ აღზრდაზეა დამოკიდებული“ — თქვა ბატონმა ბლამსკიმ, ის კი აღარ დაამატა, თავად დაუსტვინა თუ არა.

სტადიონის დაცვის უფროსმა მარტი გრენფელმა განაცხადა, რომ კეპლანს სულ 12 საგანი ესროლეს, ძირითადად ლუდის პლასტმასის ბოთლები, რომელთაგან ერთი სამხრეთაფრიკელ მსაჯს მკერდში მოხვედრია. სტადიონზე იმ დროს მხოლოდ ერთი კაცი დაუკავებიათ, შემდეგ ქალაქში კი პოლიციას 33 ადამიანი დაუჭერია. ამ დაკავებულებიდან რამდენმა ხელყო კეპლანის ჯანმრთელობა, ახალზელანდიელები არ იტყობინებიან.

გაიოზ თალაკვაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა



# კაცის გარეშე

სინქრონული ცურვა ქალთა სპორტად ვიცოდით, მაგრამ ამერიკელ ბილ მეის (შუაში) ისე შეჰყვარებია წყალში ცეკვა, რომ უწვალია, უსწავლია და ეროვნულ ნაკრებამდე მიუღწევია. ნამდვილი ლიდერიაო — ამბობენ და ვერცხლიც მოუგია ორი წლის წინ კეთილი ნების თამაშებზე, შარშან კი შვეიცარიის ღია პირველობის ჩემპიონი გამხდარა. მაგრამ რად გინდა? სიდნეის ოლიმპიადაზე ბილი გუნდში ვერ იქნება, რადგან სინქრონული ცურვა ოლიმპიურ დავთრებში აღნიშნულია როგორც „ქალთა სახეობა".



# ერთი და მეორე

სამხრეთ ბელგიაში გამართული 500 კუბურსანტიმეტრძრავიანი მოტოების რბოლისას ავარია შემთხვევია ბელგიელ მარნიკ ბერვესს. მისი თანამემამულე ჟოელ სმეტსს კი რბოლა მოუგია და მსოფლიოს ჩემპიონიც გამხდარა.

# ძველსქოთური, მადლიანი





სქოთი ხალხი რომ მსოფლიოსაა მოდებული, ცნობილია. ჩრდილო ამერიკაში, კერძოდ კი მიჩიგანში, 150 წელიწადია ტარდება წმინდა ანდრიას სახელობის ჰაილენდური (სქოთების მთიანეთი) თამაშები, რაც ძალ-ღონესთან ერთად ახირებულობასაც მოითხოვს. „დეტროიტ რედ უინგზის" ჰოკეისტი დარენ მაკარტი, თავის ოთხი წლის შვილთან, გრიფინთან ერთად მისულა ჰაილენდურ ჩუბინობაში თავის გამოსაჩენად. ერთი რომ დარენი სქოთური ფესვის კაცია და მეორეც, თავის კიბოსთან მებრძოლ ფონდს უწევს პოპულარიზაციას. შეჯიბრებანი კი ნაირგვარია. მაგალითად, ჰეჯისის სროლა. ჰეჯისი კი ნუ გაგიკვირდებათ და ცხვირს გულ-ღვიძლისგან დამზადებული კერძია.

# იქ, სადაც ცხელა



ნად ელ შება, დუბაის ახლოს, არაბულ საამიროებში... 2000 აქლემი და ორიათასი მხედარი ახლომახლო ქვეყნებიდან. დისტანცია 3 კილომეტრია. გამარჯვებულის ვინაობას კი ხვალ გამცნობთ.



# ტასმანიაში

გრძელდება ოლიმპიური ცეცხლის ასდღიანი მოგზაურობა ავსტრალიის მიწაზე. საბერძნეთიდან წამოღებული ჩირაღდანი ზუსტად 15 სექტემბერს უნდა აბრიალდეს სიდნეის ოლიმპიურ სტადიონზე. ამ ჯერზე ცეცხლი კუნძულ ტასმანიაზეა და ლონსესტონის ახლოს, ცნობილ ჯორჯის ტრაქტზე გადააქვთ საბაგირო გზით. ამ მონაკვეთზე ჩირაღდანი ტრეისი ბეილის კიდევ ერთ ჩვეულებრივ ავსტრალიელს უპყრია.


სარბიელი
სპორტული გაზეთი

გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან

გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
მთავარი რედაქტორის მოადგილეები ილია ბაბუნაშვილი ავთანდილ გურასაშვილი
ქართული ფეხბურთის რედაქტორი ვახტანგ ბზიკაძე
უცხოური ფეხბურთის რედაქტორი სოლომონ გულისაშვილი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი სოსო კოტორაშვილი
ტექნიკური რედაქტორი გურამ ხელაშვილი
კალათბურთის განყოფილების გამგე მერაბ რატიშვილი
ფეხბურთის რედაქცია. ქართული განყოფილება კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი; უცხოური განყოფილება გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, ზურაბ მეძველია, ვანო ოქრო-პირიძე; ინფორმაციის რედაქცია გია ახალაძე, დავით გულუა, ირაკლი თავაძე, ავთანდილ სვანიძე; კალათბურთის განყოფილება გიო ახვლედიანი, გიორგი ბიკაშვილი, კორესპონდენტი ქუთაისში იუზა კაციტაძე ფოტორეპორტიორები გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე სტილისტები მაია აბზიანიძე, ნათელა გიო-რგობიანი, ლალი გოზალიშვილი კომპიუტერული ცენტრი ელენე გელუტაშვილი, სვეტა დევაძე, მაგდა დოგრაშვილი, კახა თალაკვაძე, ტრისტან კახურაშვილი, ნინო კედელაშვილი, დავით ნადირა-შვილი, მარიკა ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, თამარ შიოლაშვილი, გიორგი ხარატიშვილი
გამომშვები ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@iberiapac.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge